# ხელოვნება

# 5

## მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

ნანა იოსელიანი ◆ სოფიო ქებურია

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

**ხელოვნება** 5
მასწავლებლის წიგნი
თბილისი, 2018

ავტორები: ნანა იოსელიანი, სოფიო ქებურია

რედაქტორი ნინო გოგალაძე
დიზაინერები: ია მახათაძე, გიორგი მაღრაძე
ილუსტრატორი: გიორგი მაღრაძე
ტექნიკური დიზაინერი გიორგი ლომსაძე

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018
ყველა უფლება დაცულია

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-058-5

ART 5
Teacher’s Book

© Sulakauri Publishing, 2018
all rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

# სარჩევი


ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წლიური პროგრამა ..... 27
V კლასი – წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები ..... 27
სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ..... 32
გაკვეთილების სცენარები ..... 35
პალიტრა ..... 37
ციფრი და ფერი ..... 39
თხზულება „სიზმარი“ ..... 42

I თემა: პორტრეტი ..... 44
პორტრეტის აღწერა ..... 44
„აკტრისა“ და „მეეზოვე“ ..... 46
ანფასი და პროფილი ..... 48
რელიეფური პორტრეტი ..... 50

II თემა: მხატვრობა ..... 52
ესკიზი და ჩანახატი ..... 52
პლატონის სხეულები ..... 54
შუქ-ჩრდილი და მოცულობა ..... 56
პომპეის მოზაიკა ..... 57
მოზაიკის სახელოსნო ..... 58
„მოზაიკოსობანა “ ..... 59
კაკაბაძის ნავები ..... 61
თითებით ხატვა ..... 63
მარკ შაგალის სამყარო ..... 64
გიფი შაგალის თემაზე ..... 66
მონოტიპია ..... 70
„სიცოცხლის ხე“ ..... 71
ბრეიგელის „ანდაზები“ ..... 73
ანიმაცია ..... 75
პირველი არქეოლოგი ..... 77

III თემა: ქანდაკება ..... 79
გფარავდეთ შედუ! ..... 79
ობელისკი და მზის საათი ..... 81
პიგმალიონი და გალათეა ..... 84
მობილი და სტაბილი ..... 86
მავთულის ქანდაკება ..... 89
ჯაკომეტის აჩრდილები ..... 90

IV თემა: არქიტექტურა ..... 92
მალევიჩის არქიტექტონები ..... 92
ქალაქის დაგეგმარება ..... 94
ქალაქური პეიზაჟი ..... 96
ნაჭრის ქალაქი ..... 98
კორპუსი და ძველი სახლი ..... 99

V თემა: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება ..... 100
რას გვიამბობს თიხა ..... 100
შუამდინარეთი ..... 103
ხამურაბის კანონები ..... 105
შუმერული „ომი და მშვიდობა“ ..... 108
შუმერობანა ..... 110
მინანქარი ..... 112

VI თემა: პროექტები ..... 113
პროექტი 1 – მუზათა ტაძარი ..... 113
პროექტი 2 – ჩრდილების თეატრი ..... 118
პლაკატი ..... 120
პროექტი 3 – ფესტივალი ..... 122
სამყაროს ენა ..... 131
სიტყვობანა ..... 132

დანართი ..... 135
აქტიური ბმულები ISTE-ის დავალებებისთვის ..... 151

„ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია შეამჩნიოს სილამაზე იქ, სადაც სხვები ვერაფერს ხედავენ. ყველაფერი მშვენიერია, თუკი გაქვს ამის დანახვის უნარი“.

*კამილ პისარო*

## წინასიტყვაობა

მსგავსად იმისა, როგორც ბავშვი, ლაპარაკის დაწყებამდე, იგროვებს სიტყვათა მარაგს, ხოლო ლაპარაკის დაწყების შემდეგ დაგროვილი ლექსიკური მარაგი მოჰყავს სინტაქსურ სისტემაში, 10-12 წლის ასაკში მოსწავლემ უნდა დაიგროვოს ცნობები სამყაროს შესახებ, რათა საგნის შესწავლის მომდევნო ეტაპზე მიუსადაგოს საკუთარი გამოცდილება და დაგროვილი ინფორმაცია არსებულ სისტემებს; შეძლოს სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის, ფაქტების დაკავშირება, კლასიფიკაცია, ინტერპრეტაცია; თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, ხელოვნების ნაწარმოებებს, ფაქტებსა და მოვლენებს შორის ისტორიული და სტილისტური პარალელების გავლება.

მე-5 კლასში მოსწავლეების შემოქმედებით და კვლევით საქმიანობაში აქტიური ჩაბმით უნდა გამოვუმუშავოთ დაკვირვების, აღქმის, კვლევა-ძიების, ინფორმაციის გაგების, დამუშავებისა და ორგანიზების, ინტერპრეტაციის უნარი; გავუღვუვოთ ხელოვნების ნაწარმოებების შედარების, მათ შორის პარალელების გავლების, კავშირების მოძიების უნარი; კრიტიკული აზროვნების უნარი.

## შესავალი

1-დან 4 კლასამდე, მოსწავლეები ეცნობოდნენ სახვითი ხელოვნების საბაზო კომპონენტებს – დარგებს, ჟანრებს, ელემენტებსა და პრინციპებს, ეუფლებოდნენ სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას, სწავლობდნენ თვითგამოხატვის ხერხებს, ხელოვნების ნაწარმოების ანალიზს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მე-5 კლასში, ჩვენი მიზანია:

- მოსწავლეთა შემოქმედებითი და საინტერპრეტაციო უნარების შემდგომი განვითარება, გაღრმავება და განმტკიცება;
- ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობისადმი და ხელოვნების მეშვეობით კაცობრიობის მიღწევების სხვა სფეროებისადმი ინტერესის გაღვივება;
- სხვადასხვა უნარის განვითარების ერთობლიობით, ინტერესიანი, მოაზროვნე, შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბება;
- სამყაროს ერთიანობის შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბება;
- საკუთარი და სხვათა კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა;
- სხვა კულტურებისა და შემოქმედების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ფორმირება;
- ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის მიმართ პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება;
- კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება;
- ესთეტური გემოვნების ჩამოყალიბება.

მოსწავლეებს უნდა გავუღვივოთ და განვუვითაროთ:

- წარმოსახვის, ფანტაზიის უნარი;
- საკუთარი შთაბეჭდილებების, დამოკიდებულების, შეგრძნებების ვერბალური და სახვითი საშუალებებით გადმოცემის უნარი;
- მშვენიერების აღქმის უნარი;
- ხელოვნების ნაწარმოების / გარემოს ემოციური აღქმის უნარი;
- ხელოვნებისადმი ინტერესი და სიყვარული;
- ძიების, დაკვირვების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- შემოქმედების სურვილი და უნარი;
- სხვადასხვა ტექნიკით ექსპერიმენტირებისა და ნამუშევრის შესრულების უნარი;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი;
- შრომითი უნარ-ჩვევები.

## სახელმძღვანელოს სტრუქტურა

**სახელმძღვანელოს კომპლექტი შედგება:**

მე-5 კლასი:

მასწავლებლის წიგნი;

მოსწავლის წიგნი;

მასწავლებლისთვის დამხმარე საილუსტრაციო მასალა დანართისა და ელექტრონული ვერსიის სახით;

## მასწავლებლის წიგნი:

1. სარჩევი
2. შესავალი
3. მიზნების, შედეგებისა და ინდიკატორების რუკა
4. გაკვეთილების სცენარები
5. ცნობარი
6. დანართი.

## მოსწავლის წიგნი:

1. სარჩევი
2. თემატური ტექსტები ილუსტრაციებითა და აქტივობების ინსტრუქციებით
3. ლექსიკონი

## მასწავლებლის წიგნის სარჩევი:

**სარჩევში მითითებულია:**

- გაკვეთილის რიგითი ნომერი (გვერდი)
- თემის დასახელება
- თემასთან დაკავშირებული აქტივობების რაოდენობა

## შესავალი:

**შესავალი შეიცავს:**

- ავტორების ხედვას დაწყებით კლასებში ხელოვნების სწავლების შესახებ
- ზოგად ინფორმაციას სახელმძღვანელოს სტრუქტურის შესახებ
- პრაქტიკულ რჩევებს
- მოსწავლის შეფასების პრინციპებს

**ცნობარი** შეიცავს:

დამატებით საცნობარო ინფორმაციას

## დანართი:

მოსწავლის შეფასების სქემები

აქტივობებისთვის საჭირო თარგები და სხვა დამხმარე მასალა.

საილუსტრაციო მასალის ელექტრონული ვერსია

## გაკვეთილების სცენარები:

**ყოველი გაკვეთილის სცენარი შეიცავს:**

- კონკრეტული გაკვეთილის მიზნებს
- მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების ჩამონათვალს, რომელთა გაღვივება-განვითარებასაც უწყობს ხელს კონკრეტული გაკვეთილი.
- გაკვეთილზე ასათვისებელი ტერმინების ჩამონათვალს
- ვიზუალური რესურსის ჩამონათვალს
- აქტივობისთვის საჭირო მასალის ჩამონათვალს
- გაკვეთილის მსვლელობის დაწვრილებით სცენარს
- თემის შესაბამისი აქტივობის/აქტივობების ეტაპობრივ აღწერას
- გაკვეთილის თემასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემაჯამებელ კითხვებს
- საშინაო დავალებას
- აქტიურ ინტერნეტბმულებს ვიზუალური მასალით, ვიდეო- და ფოტოინსტრუქციებით, ინტერაქტიული თამაშებით.

გაკვეთილების თემები შერჩეულია ეროვნული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

გაკვეთილები თემატურადაა დაჯგუფებული.

თემების შესაბამისი აქტივობები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მითითებებს, მოსწავლის წიგნში მოცემულია ეტაპობრივი, ილუსტრირებული ინსტრუქციების სახით.

შემაჯამებელი გაკვეთილები ინტერაქტიული აქტივობების სახითაა წარმოდგენილი. მათი საშუალებით მასწავლებელს შეუძლია შეამოწმოს და შეაფასოს მოსწავლეთა მიერ მასალის ათვისებისა და შეძენილი უნარების ხარისხი. გარდა შემაჯამებელი გაკვეთილებისა, სცენარებში მასწავლებელი იხილავს თემასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ სააზროვნო თუ შემაჯამებელ შეკითხვას, რომელიც ასევე დაეხმარება მას მოსწავლეთა მიღწევების შეფასებაში.

წიგნის დასკვნით ნაწილში ჩამოწერილია შემაჯამებელი კითხვები, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს  შერჩევით, გაკვეთილის თემიდან გამომდინარე.

მასწავლებელი არ არის ვალდებული აქტივობები ჩაატაროს სახელმძღვანელოში მოცემული თანმიმდევრობის მიხედვით. მათი თანმიმდევრობა, მონაცვლეობა თუ გამეორება უნდა შეირჩეს ისე, როგორც მასწავლებელი მიიჩნევს მიზანშეწონილად.

## მოსწავლის წიგნი:

მოსწავლის წიგნში, გაკვეთილების თანმიმდევრობა მასწავლებლის წიგნის გაკვეთილების თანმიმდევრობას შეესაბამება მხოლოდ თემების სათაურებით და არა ნუმერაციით.

გაკვეთილები შეიცავენ თემის შესაბამის ილუსტრაციებს, მათ განმარტებებს, სააზროვნო შეკითხვებსა და სხვა, თემასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

რუბრიკაში "სახელოსნო", მოთავსებულია აქტივობების შესრულების ეტაპობრივი ინსტრუქციები.

საჭიროების მიხედვით, გაკვეთილებს დართული აქვს ლექსიკონი, რომელიც შეიცავს გაკვეთილის საკვანძო ტერმინების განმარტებებს.

## პრაქტიკული რჩევები:

1. სივრცის ორგანიზება

აქტივობების ჯგუფური, წყვილებში და ინდივიდუალური დავალებების შესრულება ითხოვს საკლასო სივრცის სხვადასხვანაირ ორგანიზებას. სასურველია, ხელოვნების მასწავლებელს ქონდეს საკუთარი საკლასო ოთახი – სახელოსნო, სადაც მას საშუალება ექნება მაგიდები დაალაგოს ისე, როგორც მოითხოვს აქტივობის პირობა.

## მასალა და იარაღები:

ყოველ აქტივობას თან ახლავს საჭირო მასალისა და იარაღების ჩამონათვალი, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს წინასწარ განსაზღვროს და მოიმარაგოს ისინი. აქტივობებისთვის შერჩეულია ხელმისაწვდომი და მოსწავლეთათვის უსაფრთხო მასალისა და იარაღების აუცილებელი მინიმუმი. მასწავლებელს შეუძლია გაამდიდროს ეს ჩამონათვალი - გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი მასალა, რაც უფრო საინტერესოს გახდის შემოქმედებით პროცესს.

აქტივობების შესრულებისას, მასალის დანაკლისის ან არაერთგვაროვნების გამო, მოსწავლეებს შესაძლოა შეექმნათ არათანაბარი პირობები დავალების შესრულებისთვის, რაც ცხადია, იმოქმედებს ნამუშევრის ხარისხზე. ამისთვის, სასურველია მასწავლებელმა მშობლებთან წინასწარი მოლაპარაკებით უზრუნველყოს კლასში ერთგ-

ვაროვანი საბაზო მასალის (სახატავი ფურცლები, ფერადი ფურცლები, მუყაო, საღებავები, პალიტრები, ფუნჯები, წებო, მაკრატლები, პლასტილინი...) მომარაგება. მასალა შეინახება კლასში. შესაბამისად, მასწავლებელს ყოველთვის ხელთ ექნება დაგეგმილი აქტივობისთვის საჭირო რესურსი.

სპეციფიური მასალის საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეები წინასწარ ჩაინიშნავენ და მოიტანენ მას დათქმული დროისთვის. მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს, თადარიგი დაიჭირონ და კოლოფები, ნაჭრები, ძაფები, ღილები, მძივები და სხვა მსგავსი მასალა წინასწარ მოიმარაგონ და შეინახონ სკოლაში (საერთო ხმარებისთვის), რათა საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის ხელთ ქონდეთ.

მასწავლებელს შეუძლია ნებისმიერი აქტივობის მასალაში, შეიტანოს საკუთარი კორექტივები - უმეტესი აქტივობის მასალის ჩამონათვალში იგულისხმება გარკვეული ალტერნატივები: მაგ. პლასტილინი შეიცვალოს მარილიანი ცომით, ფერადი ქაღალდები ფერადი - ჟურნალებიდან ამოჭრილი გვერდებით და სხვა. მასწავლებელმა უნდა წააქეზოს მოსწავლეები, რათა მათ თავად მოიძიონ, გამოცადონ და გამოიყენონ სხვადასხვა მასალა.

## დროის ორგანიზება:

გაკვეთილის პირველი 15 წუთი ეთმობა დაკვეთილის თეორიულ ნაწილს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც მხოლოდ გაკვეთილის თემის განხილვას, ასევე მოსწავლეების გამოკითხვას, განვლილი მასალის გამეორებას, მოსწავლეთა სეკითხვებზე პასუხებსა თუ დისკუსიებს. გაკვეთილის შემდეგი ნაწილი კი ეთმობა აქტივობის შესრულებას. თუ მასწავლებელი ჩათვლის, რომ გაკვეთილის დრო მთლიანად უნდა დაეთმოს აქტივობას, მაგრამ ამავე დროს საჭიროა მოსწავლეებისთვის რაიმე ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც არ საჭიროებს მათ აქტიურობას, მასწავლებელს შეუძლია თეორიული ინფორმაცია დავალების შესრულების პარალელურად მიაწოდოს. ასეთ შემთხვევაში დროის მოგების მიზნით, სასურველია, გაკვეთილის დაწყებამდე, მასწავლებელმა დაფაზე ჩამოწეროს აქტივობის შესასრულებელი ინსტრუქციის ეტაპები, შესასწავლი ტერმინები, და სხვა საჭირო ინფორმაცია.

**შესწავლის, კვლევის და დამოუკიდებელი აზროვნებისათვის** საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად მასწავლებელმა მოსწავლეებს გარკვეული თემის თუ აქტივობის შემდეგ უნდა დაავალოს მასწავლებლის მიერ შედგენილ კითხვებზე წერილობით პასუხის გაცემა და კონკრეტულ თემაზე საკუთარი შეკითხვების ჩამოყალიბება. მომდევნო გაკვეთილზე ჩანაწერებისა და შეკითხვების განხილვისას მასწავლებელს საშუალება ექნება შეამოწმოს მოსწავლეთა მიერ მასალის ათვისების ხარისხი, შეაფასოს მათი დაინტერესება და ჩართულობა გაკვეთილის პროცესში. მასწავლებელი, მოსწავლეების მიერ დასმული შეკითხვების შებრუნებით უბიძგებს მათ დამოუკიდებელი ანალიზისკენ, კვლევისკენ. მსგავსი დისკუსიები მიაჩვევს მოსწავლეებს მსჯელობას, ლოგიკურ აზროვნებას, გამოუმუშავებს მათ ინტერპრეტაციის უნარს.

## სავარჯიშო რვეულები

რვეული (ან უბის წიგნაკი), რომელშიც მოსწავლე სამახსოვროდ ჩაიწერს ახალ ტერმინებს, სახელებს, ჩაინიშნავს საშინაო დავალებებს, მომდევნო გაკვეთილისთვის მოსატან მასალას... ჩახატავს პატარა ესკიზებს; ჩაინიშნავს შთაბეჭდილებებს ექსკურსიებზე, გააკეთებს ჩანახატებს; ჩაწერს საკუთარ მოსაზრებებს, გაჩენილ შეკითხვებს, რეფერატებს მოცემულ თემაზე, დაწერს პასუხებს შემაჯამებელ კითხვებზე...

სავარჯიშო რვეულების წარმოება დაეხმარება მოსწავლეებს დაიმახსოვრონ და შეაფასონ ნანახი თუ შესწავლილი; მიაჩვევს მათ წერილობით აზრების და იდეების გამოხატვას, ორგანიზებულობას.

მასწავლებელს შეუძლია აწარმოოს საკუთარი ბლოგი (ელექტრონული პორტფოლიო), რომელზეც აიტვირთება მოსწავლეების ნამუშევრების ფოტოები. მოსწავლეებს და მათ მშობლებს საშუალება ექნებათ ბლოგის მეშვეობით თვალყური ადევნონ სასწავლო პროცესს.

## შეფასება

მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლის ხარისხზე ზრუნვა – წინარე ცოდნის დადგენა, მასზე დაყრდნობით სამივე კატეგორიის ახალი ცოდნის (დეკლარატიულის, პროცედურულისა და პირობისეულის) ათვისების, დაუფლების პროცესებსა და გამოყენების უნარ-ჩვევებზე დაკვირვება, მოსწავლის მიერ ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის უნარი და მასწავლებლის დახმარებით, პროგრესის ხელშემწყობი ნაბიჯების გადადგმა.

## განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას. განმავითარებელი შეფასებისას, მასწავლებელი, ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი კომენტარებით, წამახალისებელი მითითებებით, სიმბოლური ნიშნებითა და ა.შ., აღნიშნავს მოსწავლის მიერ განხორციელებულ წინსვლას წინარე შედეგებთან/დონესთან შედარებით. მოსწავლეები ახორციელებენ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას.

**განმსაზღვრელი შეფასება** ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. მისი ამოცანაა სამივე კატეგორიის ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება წარმოებს 1-დან 10-მდე ქულით. ქულას შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი მხარეების აღწერითა და სუსტი მხარეების გამოსასწორებელი რეკომენდაციებით.

V კლასის პირველ სემესტრში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი, ხოლო V კლასის მეორე სემესტრში კი, ორივე - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები.

სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

მთელი წლის მანძილზე მასწავლებელს შეუძლია განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს სამივე კომპონენტში. V კლასის მთელი სასწავლო წლის მანძილზე, საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

V კლასის II სემესტრში, განმავითარებელის გარდა, შემოდის განმსაზღვრელი შეფასებაც. განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან ერთნაირი წონის მქონე შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება

ბ) შემაჯამებელი დავალება

V კლასის მეორე სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

| | V კლასის I სემესტრი | V კლასის II სემესტრი |
|---|---|---|
| **მიმდინარე საშინაო დავალება** | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება |
| მიმდინარე საკლასო დავალება | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება<br>განმსაზღვრელი შეფასება |
| შემაჯამებელი დავალება | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება<br>განმსაზღვრელი შეფასება |

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., პროექტის მომზადება, კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ნამუშევრის შექმნა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის სახელმძღვანელო გთავაზობთ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმებს.

ეროვნული სასწავლო გეგმით, V კლასის მეორე სემესტრში მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ მინიმუმ 2 შემაჯამებელი დავალება.

მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

მეხუთე კლასის წლიური ქულა მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია.

## მიმდინარე (საშინაო და საკლასო) დავალებათა კომპონენტები

შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

**ცოდნა** – ტექნიკის, პროცედურის, მასალის, სახვითი ხერხების თეორიული ცოდნა; ნამუშევრის შესახებ მსჯელობა (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკასა და მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით; საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა; ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების დაკავშირება ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტთან; ხელოვნების დარგებისა და ჟანრების ამოცნობა; და სხვ.

- **შემოქმედებითობა** - გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; საკუთარი ხელწერის, ხედვის დემონსტრირება; ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად; ექსპერიმენტირება და სხვ.

- **უნარების ფლობა** - მასალის, ტექნიკის და მხატვრულ-გამომსხველობითი საშუალებების გამოყენება; კვლევითი უნარები (მასალის მოძიება, დახარისხება, გამოყენება; ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, ციფრული წიგნიერება და სხვ.); კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება;

- **ჩართულობა** - სასწავლო აქტივობებში მონაწილეობა; თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან); ორგანიზებულობა (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა).

## ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:

კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოს შესრულება ან ნამუშევრის შექმნა გარკვეულ თემაზე (მოსწავლეებმა პრაქტიკული სამუშაო შეიძლება შეასრულონ წარმოსახვით, მეხსიერებით, ნიმუშის მიხედვით და ასევე, ასახონ გარემოზე დაკვირვების შედეგები, მაგ., პეიზაჟი, ნატურმორტი და სხვ.);

- საკუთარი და სხვისი ნამუშევრების განხილვა;
- ხელოვნების ნიმუშის შესახებ მსჯელობა;
- გარკვეული ეპოქის, შემოქმედის ან ხელოვნების ნიმუშის ანალიზი ან მის ირგვლივ მსჯელობა;
- ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაციის მომზადება (საკუთარი და სხვების ნამუშევრების პრეზენტაცია, აუდიტორიისთვის წარდგენა და სხვ.);
- დაკვირვება გარემოზე (დაკვირვების შედეგებზე მსჯელობა ან ასახვა ნამუშევარში);
- მასალის მოძიება;
- რეფერატის შედგენა.

## შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარ-ჩვევების წარმოჩენა.

## შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:

სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალი ფორმის გამოყენება:

- პრაქტიკული სამუშაო, მაგ., მასშტაბური ნამუშევარი;
- გამოფენა;
- პროექტი (პროექტის სავარაუდო თემები: პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია რომელიმე ხელოვანის ან გამოჩენილი ადამიანის შემოქმედებასთან, მოღვაწეობასთან, ხელოვნების დარგებთან და ჟანრებთან, მსოფლიოში/ქვეყანაში/ ქალაქში/ რეგიონში და სხვ. მომხდარ მოვლენასთან (ეკოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური და სხვ.), ასევე, გამოფენის ექსპოზიცია, სპექტაკლის გაფორმება, გაზეთის, ჟურნალის, წიგნის მაკეტი; სკვერის, სკოლის, საკლასო ოთახის, ინტერიერის დიზაინი და სხვ.);
- მოხსენება-რეფერატი (გარკვეული ეპოქის, შემოქმედის შესახებ);
- პრეზენტაცია;
- ტესტი
- და სხვ.

## მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

სახელმძღვანელო გთავაზობთ კრიტერიუმების შეფასების სქემას:

## კრიტერიუმი: ცოდნა და წვდომა

მაქსიმალური ქულა – 10

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

1. მოსწავლე ასაბუთებს საკუთარ აზრს და ფლობს შესატყვის ენას (ტერმინებს).
2. მსჯელობს ნამუშევრის შესახებ (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკაზე, მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე, ზოგიერთ დარგსა და ჟანრზე, ხელოვნების გარკვეულ ელემენტებსა და პრინციპებზე);
3. მოსწავლე განიხილავს ნამუშევარს (სხვისას და საკუთარს) მიღებული ცოდნის კონტექსტში: ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს აკავშირებს ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ კონტექსტთან და/ან საკუთარ გამოცდილებასთან;

| ქულა | დესკრიპტორი |
|---|---|
| 0 | მოსწავლე ვერ აღწევს ქვემოთ გათვალისწინებულ ვერც ერთ სტანდარტს |
| 1-2 | მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** ასაბუთებს საკუთარ აზრს და **შეზღუდულად** ფლობს შესატყვის ენას (ტერმინებს).<br>მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** მსჯელობს ნამუშევრის შესახებ (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკაზე, მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე, ზოგიერთ დარგსა და ჟანრზე, ხელოვნების გარკვეულ ელემენტებსა და პრინციპებზე);<br>მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** განიხილავს ნამუშევარს (სხვისას და საკუთარს) მიღებული ცოდნის კონტექსტში: ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს **შეზღუდულად/იშვიათად** აკავშირებს ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ კონტექსტთან და/ან საკუთარ გამოცდილებასთან; |
| 3-4 | მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** ასაბუთებს საკუთარ აზრს და **მისაღებად** ფლობს შესატყვის ენას (ტერმინებს).<br>მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** მსჯელობს ნამუშევრის შესახებ (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკაზე, მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე, ზოგიერთ დარგსა და ჟანრზე, ხელოვნების გარკვეულ ელემენტებსა და პრინციპებზე);<br>მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** განიხილავს ნამუშევარს (სხვისას და საკუთარს) მიღებული ცოდნის კონტექსტში: ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს **მისაღებად/ზოგჯერ** აკავშირებს ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ კონტექსტთან და/ან საკუთარ გამოცდილებასთან; |

| | |
|---|---|
| 5-6 | მოსწავლე **კარგად/ხშირად** ასაბუთებს საკუთარ აზრს და **კარგად** ფლობს შესატყვის ენას (ტერმინებს).<br>მოსწავლე **კარგად/ხშირად** მსჯელობს ნამუშევრის შესახებ (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკაზე, მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე, ზოგიერთ დარგსა და ჟანრზე, ხელოვნების გარკვეულ ელემენტებსა და პრინციპებზე);<br>მოსწავლე **კარგად/ხშირად** განიხილავს ნამუშევარს (სხვისას და საკუთარს) მიღებული ცოდნის კონტექსტში: ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს **კარგად/ხშირად** აკავშირებს ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ კონტექსტთან და/ან საკუთარ გამოცდილებასთან; |
| 7-8 | მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** ასაბუთებს საკუთარ აზრს და **ძალიან კარგად** ფლობს შესატყვის ენას (ტერმინებს).<br>მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** მსჯელობს ნამუშევრის შესახებ (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკაზე, მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე, ზოგიერთ დარგსა და ჟანრზე, ხელოვნების გარკვეულ ელემენტებსა და პრინციპებზე);<br>მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** განიხილავს ნამუშევარს (სხვისას და საკუთარს) მიღებული ცოდნის კონტექსტში: ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** აკავშირებს ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ კონტექსტთან და/ან საკუთარ გამოცდილებასთან; |
| 9-10 | მოსწავლე **ბრწყინვალედ/ყოველთვის** ასაბუთებს საკუთარ აზრს და **ბრწყინვალედ** ფლობს შესატყვის ენას (ტერმინებს).<br>მოსწავლე **ბრწყინვალედ/ყოველთვის** მსჯელობს ნამუშევრის შესახებ (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკაზე, მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე, ზოგიერთ დარგსა და ჟანრზე, ხელოვნების გარკვეულ ელემენტებსა და პრინციპებზე);<br>მოსწავლე **ბრწყინვალედ/ყოველთვის** განიხილავს ნამუშევარს (სხვისას და საკუთარს) მიღებული ცოდნის კონტექსტში: ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს **ბრწყინვალედ/ყოველთვის** აკავშირებს ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ კონტექსტთან და/ან საკუთარ გამოცდილებასთან; |

## კრიტერიუმი: შემოქმედებითობა და თვითგამოხატვა

მაქსიმალური ქულა – 10

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

1. მოსწავლეს შეუძლია შემოქმედებითი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
2. მოსწავლე ამჟღავნებს საკუთარ ხელწერას, ორიგინალურ ხედვას, შემოქმედებით იდეებს;
3. მოსწავლეს შეუძლია ტექნიკის, მასალის, პროცედურისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად;
4. მოსწავლე ამჟღავნებს მასალით, ტექნიკითა და პროცედურით ექსპერიმენტირებისა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ძიებისადმი ინტერესს.

| ქულა | დესკრიპტორი |
|---|---|
| 0 | მოსწავლე ვერ აღწევს ქვემოთ გათვალისწინებულ ვერც ერთ სტანდარტს |
| 1-2 | მოსწავლეს **შეზღუდულად/იშვიათად** შეუძლია შემოქმედებითი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;<br>მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** ამჟღავნებს საკუთარ ხელწერას, ორიგინალურ ხედვას, შემოქმედებით იდეებს;<br>მოსწავლეს **შეზღუდულად/იშვიათად** შეუძლია ტექნიკის, მასალის, პროცედურისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად;<br>მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** ამჟღავნებს მასალით, ტექნიკითა და პროცედურით ექსპერიმენტირებისა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ძიებისადმი ინტერესს. |
| 3-4 | მოსწავლეს **მისაღებად/ზოგჯერ** შეუძლია შემოქმედებითი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;<br>მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** ამჟღავნებს საკუთარ ხელწერას, ორიგინალურ ხედვას, შემოქმედებით იდეებს;<br>მოსწავლეს **მისაღებად/ზოგჯერ** შეუძლია ტექნიკის, მასალის, პროცედურისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად;<br>მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** ამჟღავნებს მასალით, ტექნიკითა და პროცედურით ექსპერიმენტირებისა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ძიებისადმი ინტერესს. |

| | |
|---|---|
| 5-6 | მოსწავლეს **კარგად/ხშირად** შეუძლია შემოქმედებითი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;<br>მოსწავლე **კარგად/ხშირად** ამჟღავნებს საკუთარ ხელწერას, ორიგინალურ ხედვას, შემოქმედებით იდეებს;<br>მოსწავლეს **კარგად/ხშირად** შეუძლია ტექნიკის, მასალის, პროცედურისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად;<br>მოსწავლე **კარგად/ხშირად** ამჟღავნებს მასალით, ტექნიკითა და პროცედურით ექსპერიმენტირებისა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ძიებისადმი ინტერესს. |
| 7-8 | მოსწავლეს **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** შეუძლია შემოქმედებითი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;<br>მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** ამჟღავნებს საკუთარ ხელწერას, ორიგინალურ ხედვას, შემოქმედებით იდეებს;<br>მოსწავლეს **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** შეუძლია ტექნიკის, მასალის, პროცედურისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად;<br>მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** ამჟღავნებს მასალით, ტექნიკითა და პროცედურით ექსპერიმენტირებისა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ხერხების ძიებისადმი ინტერესს. |
| 9-10 | მოსწავლეს **ბრწყინვალედ/ყოველთვის** შეუძლია შემოქმედებითი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;<br>მოსწავლე **ბრწყინვალედ/ყოველთვის** ამჟღავნებს საკუთარ ხელწერას, ორიგინალურ ხედვას, შემოქმედებით იდეებს;<br>მოსწავლეს **ბრწყინვალედ/ყოველთვის** შეუძლია ტექნიკის, მასალის, პროცედურისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად;<br>მოსწავლე **ბრწყინვალედ/ყოველთვის** ამჟღავნებს მასალით, ტექნიკითა და პროცედურით ექსპერიმენტირებისა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ძიებისადმი ინტერესს. |

## კრიტერიუმი: უნარების განვითარება

მაქსიმალური ქულა – 10

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

1. მოსწავლეს შეუძლია ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტურად გამოყენება დავალების შესასრულებლად;
2. მოსწავლე ამჟღავნებს კვლევით უნარებს (მასალის მოძიება, დახარისხება, დამუშავება, გამოყენება;
3. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, ციფრული წიგნიერება, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება;

| ქულა | დესკრიპტორი |
|---|---|
| 0 | მოსწავლე ვერ აღწევს ქვემოთ გათვალისწინებულ ვერც ერთ სტანდარტს |
| 1-2 | მოსწავლეს **შეზღუდულად/იშვიათად** შეუძლია ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტურად გამოყენება დავალების შესასრულებლად;<br>მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** ამჟღავნებს კვლევით უნარებს (მასალის მოძიება, დახარისხება, დამუშავება, გამოყენება;<br>მოსწავლეს **შეზღუდულად/იშვიათად** შეუძლია ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, ციფრული წიგნიერება, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება; |
| 3-4 | მოსწავლეს **მისაღებად/ზოგჯერ** შეუძლია ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტურად გამოყენება დავალების შესასრულებლად;<br>მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** ამჟღავნებს კვლევით უნარებს (მასალის მოძიება, დახარისხება, დამუშავება, გამოყენება;<br>მოსწავლეს **მისაღებად/ზოგჯერ** შეუძლია ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, ციფრული წიგნიერება, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება; |
| 5-6 | მოსწავლეს **კარგად/ხშირად** შეუძლია ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტურად გამოყენება დავალების შესასრულებლად;<br>მოსწავლე **კარგად/ხშირად** ამჟღავნებს კვლევით უნარებს (მასალის მოძიება, დახარისხება, დამუშავება, გამოყენება;<br>მოსწავლეს **კარგად/ხშირად** შეუძლია ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, ციფრული წიგნიერება, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება; |

| | |
|---|---|
| 7-8 | მოსწავლეს **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** შეუძლია ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტურად გამოყენება დავალების შესასრულებლად;<br>მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** ამჟღავნებს კვლევით უნარებს (მასალის მოძიება, დახარისხება, დამუშავება, გამოყენება;<br>მოსწავლეს **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** შეუძლია ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, ციფრული წიგნიერება, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება; |
| 9-10 | მოსწავლეს **ბრწყინვალედ/ყოველთვის** შეუძლია ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტურად გამოყენება დავალების შესასრულებლად;<br>მოსწავლე **ბრწყინვალედ/ყოველთვის** ამჟღავნებს კვლევით უნარებს (მასალის მოძიება, დახარისხება, დამუშავება, გამოყენება;<br>მოსწავლეს **ბრწყინვალედ/ყოველთვის** შეუძლია ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, ციფრული წიგნიერება, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება; |

## კრიტერიუმი: ჩართულობა

მაქსიმალური ქულა – 10

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

1. მოსწავლე მონაწილეობს სასწავლო აქტივობებში;
2. მოსწავლე რეაგირებს მითითებებსა და რჩევებზე;
3. მოსწავლე თანამშრომლობს სხვებთან (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან); მოსწავლე ორგანიზებულია (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა).
4. მოსწავლე იჩენს გონივრულ ინიციატივას.

| ქულა | დესკრიპტორი |
|---|---|
| 0 | მოსწავლე ვერ აღწევს ქვემოთ გათვალისწინებულ ვერც ერთ სტანდარტს |
| 1-2 | მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** მონაწილეობს სასწავლო აქტივობებში;<br>მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** რეაგირებს მითითებებსა და რჩევებზე;<br>მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** თანამშრომლობს სხვებთან (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან); მოსწავლე ორგანიზებულია (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა).<br>მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** იჩენს გონივრულ ინიციატივას. |
| 3-4 | მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** მონაწილეობს სასწავლო აქტივობებში;<br>მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** რეაგირებს მითითებებსა და რჩევებზე;<br>მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** თანამშრომლობს სხვებთან (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან); მოსწავლე ორგანიზებულია (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა).<br>მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** იჩენს გონივრულ ინიციატივას. |
| 5-6 | მოსწავლე **კარგად/ხშირად** მონაწილეობს სასწავლო აქტივობებში;<br>მოსწავლე **კარგად/ხშირად** რეაგირებს მითითებებსა და რჩევებზე;<br>მოსწავლე **კარგად/ხშირად** თანამშრომლობს სხვებთან (მეწყვილესთან, ჯგუფის წევ-რებთან); მოსწავლე ორგანიზებულია (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა).<br>მოსწავლე **კარგად/ხშირად** იჩენს გონივრულ ინიციატივას. |
| 7-8 | მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** მონაწილეობს სასწავლო აქტივობებში;<br>მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** რეაგირებს მითითებებსა და რჩევებზე;<br>მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** თანამშრომლობს სხვებთან (მეწყვილეს-თან, ჯგუფის წევრებთან); მოსწავლე ორგანიზებულია (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა).<br>მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** იჩენს გონივრულ ინიციატივას. |

| | |
|---|---|
| 9-10 | მოსწავლე **აქტიურად/ყოველთვის** მონაწილეობს სასწავლო აქტივობებში;<br>მოსწავლე **აქტიურად/ყოველთვის** რეაგირებს მითითებებსა და რჩევებზე;<br>მოსწავლე **აქტიურად/ყოველთვის** თანამშრომლობს სხვებთან (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან); მოსწავლე ორგანიზებულია (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა).<br>მოსწავლე **აქტიურად/ყოველთვის** იჩენს გონივრულ ინიციატივას. |

## დანართი

გაკვეთილის ბოლოს დასასმელი შემაჯამებელი შეკითხვები:

## სახვითი ხელოვნების შესახებ:

1. როგორი იქნებოდა სამყარო ხელოვნების გარეშე?
2. ხელოვნებამ მარტო მშვენიერება უნდა ასახოს თუ სიმახინჯეც?
3. შეიძლება ხელოვნების ნაწარმოები იყოს უშნო?
4. რისთვის არის საჭირო ხელოვნება?
5. რაში გვეხმარება ხელოვნება?
6. რა არის შთაგონება?
7. რას ნიშნავს შემოქმედებითობა?
8. სახვითი ხელოვნების რა დარგები არსებობს?
9. ხელოვნების რომელი სფერო გაინტერესებს სხვაზე მეტად? რატომ?
10. რას საქმიანობს მხატვარი?
11. ხელოვნების კიდევ რომელ დარგებს სჭირდება მხატვრის პროფესია?
12. რომელ არასახელოვნებო დარგებს სჭირდება მხატვრის პროფესია?
13. რისთვის არის საჭირო გამოყენებითი ხელოვნება?
14. გამოყენებითი ხელოვნების რა დარგები არსებობს?
15. რა საჭიროა ხელოვნების მუზეუმები, გალერეები, საგამოფენო დარბაზები?
16. რას გვიამბობს ხელოვნების ნაწარმოები იმ ისტორიულ პერიოდზე, რომელშიც იგი შეიქმნა?
17. რას ასახავს ხელოვანი თავის ნაწარმოებებში?
18. რატომ არის ხელოვნება ასე განსხვავებული სხვადასხვა დროში/ქვეყანაში?
19. შეუძლია ხელოვნებას შეცვალოს ადამიანის აზროვნება?
20. ხელოვნება ფუფუნებაა თუ აუცილებლობა?
21. ხელოვნებით დაკავებული ადამიანი შრომობს თუ ერთობა?
22. როგორ ცვლის ცოდნა ხელოვნებას?
23. როგორ ცვლის ხელოვნება ცოდნას?
24. ვინ წყვეტს, ნაწარმოები შედევრია თუ არა?
25. რაში ეხმარება ხელოვნება საზოგადოებას? ცალკეულ ადამიანს?
26. როგორ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ გარემო (ოთახი, შენობა, უბანი, ქალაქი) ხელოვნების მეშვეობით?

## მუშაობის პროცესი

1. რას გრძნობ, როცა ხელოვნების ნაწარმოებს უყურებ?
2. რას გრძნობ, როცა ნამუშევარს ქმნი?
3. ნამუშევრის შექმნისას რომელი ეტაპი გიხარია ყველაზე მეტად – პროცესი თუ შედეგი? რატომ?
4. აქამდე გაგიკეთებია მსგავსი სამუშაო? რა გამოცდილება შეიძინე მაშინ?
5. რა გამოცდილება დაგეხმარა ამ ნამუშევრის შექმნისას?
6. გამოგივიდა ის, რასაც აპირებდი თუ რაიმე შეცვალე?
7. ნამუშევრის შექმნამდე იფიქრე თუ არა წინასწარ, რა მასალა მოუხდება მეტად შენს ჩანაფიქრს?
8. რა მასალა შეარჩიე და გამოიყენე? რატომ?
9. რა ფერები შეარჩიე და რატომ?
10. ქაღალდის როგორი ორიენტაცია (ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური) აირჩიე და რატომ?
11. რამდენად შეიცვალა შენი ნახატი ჩანაფიქრიდან საბოლოო, დასრულებულ ნამუშევრამდე?
12. რა შეცვალე და რატომ?
13. ხელახლა რომ იწყებდე იგივეს, რას შეცვლიდი?
14. რისი ცოდნა დაგჭირდა ამ ნამუშევარზე მუშაობისთვის?
15. რა უნარები დაგჭირდა ამ ნამუშევარზე მუშაობისთვის?
16. რა ცოდნა შეიძინე მუშაობის დასრულებისას?
17. რა უნარები შეიძინე და განავითარე ამ ნამუშევარზე მუშაობისას?
18. რა იყო მუშაობისას ყველაზე რთული? ადვილი?
19. რა გამოგივიდა კარგად, რა გაგიჭირდა?
20. ნამუშევრის შექმნისას, გაითვალისწინე მეგობრების აზრი?
21. ნამუშევრის შექმნისას გაითვალისწინე მასწავლებლის რჩევა?
22. ითვალისწინებ მეგობრების ან უფროსების შენიშვნებს? რატომ?
23. როგორ შეაფასებდი ამ ნამუშევარს?
24. როგორ შეაფასებდი ამ ნამუშევარს, მასწავლებელი რომ იყო?
25. შენი ნამუშევრებიდან, რომლებს გამოიტან გამოფენაზე?

## გაკვეთილის შეფასება

1. რა ისწავლე დღევანდელ გაკვეთილზე?
2. დაგაინტერესა თუ არა გაკვეთილის თემამ?
3. რა ინფორმაციას ფლობდი მანამდე?
4. რა გაიგე ახალი?
5. კიდევ რა გაინტერესებთ ამის შესახებ?
6. ვინ ეთანხმება? ვის აქვს განსხვავებული აზრი?
7. შეგვიძლია სხვა კუთხით შევხედოთ ამ საკითხს?
8. ვინმე ხომ არ დაუმატებდა რამეს?
9. ეთანხმები თუ არა კლასის / მეგობრის მოსაზრებას?
10. ეთანხმები თუ არა მასწავლებლის მოსაზრებას?
11. ეთანხმება თუ არა თქვენი აზრი სხვა მოსაზრებებს?
12. რა დაგეხმარა დამახსოვრებაში/სწავლაში?

13. მე შევამჩნიე, რომ... თქვენ რა შეამჩნიეთ?
14. მე მაინტერესებს... თქვენ რა გაინტერესებთ?
15. რითი განსხვავდებოდა ეს გაკვეთილი სხვა გაკვეთილებისგან?
16. გაქვს თუ არა შენიშვნები გაკვეთილის მსვლელობის თაობაზე?

## სახვითი ხელოვნების ნიმუშის ანალიზი:

დააკვირდით, რომელი სახვითი საშუალებები და ხერხები განსაზღვრავს ნამუშევრის თავისებურებას?

გაამახვილეთ ყურადღება მხოლოდ იმ საშუალებებსა და ხერხებზე, რომლებიც წამყვანია ნაწარმოების ხასიათის შესაქმნელად.

**ა. სახვითი ხელოვნების ელემენტები (საშუალებები):**

- **ხაზი** (სწორი, კლაკნილი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ირიბი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, სქელი, წვრილი...)
- **ფერი** (ძირითადი, შედგენილი, მონათესავე, კონტრასტული, აქრომატული, ნეიტრალური, თბილი, ცივი, კაშკაშა, ინტენსიური, გაჯერებული, ხასხასა, მჭახე, მუქი/ღია/ბაცი, ნათელი/ბნელი, მკრთალი, ჩამქრალი, სუფთა/ჭუჭყიანი და სხვ.; ელფერი: მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე, მოწითალო იისფერი და სხვ.) რომელი ფერი გამოიყენა უფრო მეტად, ვიდრე სხვები?
- **ტონი** (ნახევარტონები, გრადაცია ანუ თანდათანობით გადასვლა ღიადან მუქზე). რა არის გამოკვეთილი უფრო ღია ტონით?
- **ფორმა** (ბრტყელი ანუ ორგანზომილებიანი - გეომეტრიული: წრე, მართკუთხედი, სწორკუთხედი, სამკუთხედი, მრავლაკუთხედი, რომბი, ოვალი, წვეტიანი, ბლაგვი, უსწორმასწორო; ორგანული: მცენარეული, ბუნებრივი; მსხვილი, მცირე, წვრილი და სხვ.)
- **მოცულობა** (სფერო, კუბი და სხვ.); სამგანზომილებიანი ფორმის მისაცემად როგორაა გამოყენებული ჩრდილი, ნახევარჩრდილი, დაცემული ჩრდილი და ათინათი?
- **ფაქტურა** (აქტუალური – რელიეფური (პასტოზური მონასმებით მიღწეული, ნაკაწრი, ამობურცული, ჩანაჭდევი), უხეში, ხაოიანი, ხავერდოვანი, გლუვი, პრიალა და სხვა; ილუზორული (სხვადასხვა მასალის იმიტაცია – ხე, ქვა, ლითონი, ქსოვილი (ხავერდი, აბრეშუმი, მაქმანი), თიხა, ბეწვი, თმა, ტყავი, კანი და სხვა).
- **სივრცე** – როგორაა ათვისებული სასურათე არე – ცარიელია, გადატვირთული თუ ზომიერად ათვისებული? როგორ არის გადანაწილებული პოზიტიური (შევსებული) და ნეგატიური (ცარიელი) სივრცეები?

**ბ) სახვითი ხელოვნების პრინციპები (ხერხები):**

- **წონასწორობა** – გამოსახულებები თანაბრადაა განაწილებული სასურათე სიბრტყეზე თუ არათანაბრად? ხომ არ გადაწონის სურათის რომელიმე მხარე მეორეს?
- **აქცენტი** – პირველი რა გხვდება თვალში? როგორ მოახერხა მხატვარმა ჩვენი ყურადღების გამახვილება მთავარზე? რით განსხვავდება ეს ნაწილი დანარჩენისგან (წინა ხედზეა, ყველაზე დიდი და მსხვილია, ფერით გამოირჩევა თუ განათებით და სხვ.)? არის ამ სურათში მნიშვნელოვანებით შემდეგი გამოსახულება? რით გამოირჩევა და რითი ხვდები, რომ ის მეორე აქცენტს წარმოადგენს?
- **ჰარმონია** – როგორ ეხამება ერთმანეთს სურათის ცალკეული ნაწილები? შეხმატკბილებულია თუ პირიქით, დაპირისპირებული/კონფლიქტური?
- **მრავალფეროვნება** – რა „აცოცხლებს“ სურათს? რას შეაქვს მასში ისეთი ნაპერწკალი, რომ მოსაწყენი, მოსაბეზრებელი არ გახდეს?

- **მთლიანობა** – რომელი მხატვრული ხერხით ამთლიანებს და „კრავს“ მხატვარი სურათს, მისი ცალკეული ნაწილები რომ არ დაიშალოს/დაიფანტოს (წონასწორობა, კოლორიტი, განათება, სხვა)?
- **კოლორიტი** – როგორია სურათის საერთო ფერადოვანი გამა (ცივი/თბილი, ნათელი/ბნელი, ჩამქრალი/კაშკაშა და სხვ.)? მონოქრომულია თუ პოლიქრომული?
- **სტატიკა/დინამიკა** – რა განსაზღვრავს სურათში სტატიკას (უძრავი, გაშეშებული, გაყინული, გაქვავებული) ან დინამიკას (მოძრავი, მოუსვენარი)?
- **რიტმი** – არის სურათში რაიმე განმეორებადი, რაც ქმნის რიტმს?
- **პროპორცია/დისპროპორცია** – როგორია გამოსახულების ცალკეული ნაწილების ზომათა თანაფარდობა? განგებ ხომ არ იყენებს მხატვარი საგნის დისპროპორციას ან დეფორმაციას და რა ეფექტის მიღწევა სურს ამ ხერხით?
- **კომპოზიცია** – როგორაა აგებული სურათი? რა განსაზღვრავს მის სტრუქტურას, ჩონჩხს? სიმეტრიულია თუ ასიმეტრიული? მდგრადია თუ არამდგრადი? რა ეფექტის მიღწევა სურს მხატვარს ამ ხერხით?
- **რაკურსი** – სად არის ხედვის წერტილი? ქვემოდან ვხედავთ, ზემოდან თუ პირდაპირ? ახლო კადრია თუ შორი? ხომ არ არის არეული ხედვის წერტილები? თუ არეულია, რატომ - მოცემულ ეპოქაში არასაკმარისი ცოდნის გამო, უბრალოდ არ არის მნიშვნელოვანი თუ მხატვარი განგებ მიმართავს ამ ხერხს და უგულვებელჰყოფს წესებს რაიმე ეფექტის მისაღწევად? ექსპერიმენტი ხომ არ არის?
- **პერსპექტივა** – ა) ჰაეროვანი პერსპექტივა – არის თუ არა დაცული ჰაეროვანი პერსპექტივის წესები (წინა ხედზე, ახლოს მდებარე საგნები მკვეთრია, მკაფიო, დეტალიზებული, ხოლო შორეულ ხედზე მდებარე – მკრთალი, ბუნდოვანი, განზოგადებული) რათა მნახველმა სივრცე, სიღრმე იგრძნოს? ბ) ხაზოვანი პერსპექტივა (პატარავდება საგნები დაშორების მიხედვით თუ წინა, შუა და უკანა ხედზე გამოსახული საგნები ერთი და იგივე ზომისაა? მასშტაბი დაცულია (ცალკეულ გამოსახულებათა ზომების თანაფარდობა ერთმანეთის მიმართ)?
- **ორნამენტი** – არის თუ არა სურათზე განმეორებადი ფორმები? რამდენად მნიშვნელოვანია ისინი და განაპირობებს თუ არა ორნამენტი სურათის დეკორატიულ ხასიათს?

## ცნობარი:

## ძირითადი ტერმინები და მათი განმარტება:

- **ხელოვნების დარგები და სახეობები:** სახვითი ხელოვნება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, კინო, თეატრი, ლიტერატურა, მუსიკა, ქორეოგრაფია, არქიტექტურა.

## სახვითი (პლასტიკური) ხელოვნების დარგები:

**ფერწერა** — დარგი, რომელშიც გამოსახულება საღებავის მეშვეობით იქმნება.
ფერწერის სახეობები:
დაზგური ფერწერა, მინიატურა, ფრესკა, მოზაიკა, ხატწერა.

**გრაფიკა** – დარგი, რომელშიც წამყვანი მნიშვნელობა ნახატს ენიჭება (მაგ., ფანქრით, ტუშით, ნახშირით და ა.შ.)
გრაფიკის სახეობები:
დაზგური გრაფიკა, ბეჭვდური გრაფიკა.

**ქანდაკება** — სხვადასხვა მასალისაგან გამოსახულების ძერწვისა და კვეთის ხელოვნება;
ქანდაკების სახეობები:
მრგვალი ქანდაკება, რელიეფი

**არქიტექტურა** – დაგეგმარებისა და მშენებლობის ხელოვნება

**დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგები:** ყველა დარგი, რომელიც ქმნის დიზაინით გამორჩეულ სააყოფაცხორებო დანიშნულების ნაკეთობებს – ავეჯს, ქსოვილებს, ჭურჭელს, იარაღებს, ტანსაცმელს, სხვადასხვა სახის მოსართავებს და სხვ.

**სახვითი ხელოვნების ელემენტები:** ხაზი, ფერი, ფორმა (სიბრტყობრივი და მოცულობითი), ორნამენტი, სივრცე, შუქ-ჩრდილი, ფაქტურა.

**სახვითი ხელოვნების ძირითადი პრინციპები:** მოძრაობა, წონასწორობა, აქცენტი, რიტმი, კოლორიტი, კონტრასტი, პერსპექტივა, რაკურსი, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა/დინამიკა, ჰარმონია, მთლიანობა, მრავალფეროვნება, კომპოზიცია, პროპორცია/დისპროპორცია, მასშტაბი, ორნამენტი.

## ჟანრები:

**პორტრეტი** — ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გამოსახულება.
**პეიზაჟი** — ბუნების ან ქალაქის ხედი.
**ნატურმორტი** — უსული საგნების ამსახველი ჟანრი.
**ყოფითი ჟანრი** — ყოველდღიური ყოფის ამსახველი ჟანრი.
**ისტორიული ჟანრი** — ისტორიული პირებისა და მოვლენების ამსახველი ჟანრი.
**რელიგიური ჟანრი** — რელიგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი.
**მითოლოგიური ჟანრი** — მითოლოგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი.
**ანიმალისტური ჟანრი** — ცხოველების ამსახველი ჟანრი.

# ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წლიური პროგრამა

## V კლასი – წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

### მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა

**ს.გ.V.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების მიზანმიმართულად გამოყენება ნამუშევარში ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. სხვადასხვაგვარი მონასმებითა და ეფექტებით გადმოსცემს განწყობილებას;
2. იყენებს სხვადასხვა ტიპისა და სისქის ხაზს, კონტურსა და შტრიხს;
3. იყენებს კონტრასტულ ფერებსა და ფერის გრადაციას;
4. ცდილობს შუქ-ჩრდილის, ათინათის და დაცემული ჩრდილის საშუალებით გამოსახოს საგანთა მოცულობა;
5. ირჩევს სასურათე სიბრტყის ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ პოზიციას ჩანაფიქრის უკეთ გადმოსაცემად;
6. გამოსახულებას გააზრებულად ანაწილებს სასურათე სიბრტყეზე;
7. ავლენს პერსპექტივის კანონების ელემენტარულ/საწყის ცოდნას - წინა და უკანა ხედების გამოყენებით;
8. სივრცის გამოსახატავად იყენებს ნახევარტონებს (წინა ხედი - მკვეთრი, უკანა ხედი მკრთალი);
9. ქმნის სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ნამუშევრებს;
10. სხვადასხვა ხერხით (ფორმით, ზომით, ფერით) გამოყოფს ნამუშევარში მთავარს;
11. სხვადასხვა მხატვრული ხერხით ნამუშევარში გადმოსცემს დინამიკასა და სტატიკას (ფიგურების მოძრაობა, ქარი);
12. გადმოსცემს საგნის საერთო პროპორციას.

**ს.გ.V.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის მიზანმიმართულად შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. იყენებს  განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის, ტექნიკის გამოყენებით მოცემულობის  უკეთ შესასრულებლად;
2. ავითარებს მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის (ტრადიციული, არატრადიციული) გამოყენების ხერხებს სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრების შესაქმნელად (პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, ყოფითი ჟანრი);
3. ავითარებს სხვადასხვა მასალის (ბუნებრივი, ხელოვნური) გამოყენების გზებს მცირე პლასტიკის ნიმუშების, მარტივი კომპოზიციებისა  და კონსტრუქციების შესაქმნელად;
4. ქმნის დეკორატიულ და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით;
5. ავითარებს მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენების გზებს გარემოში არსებული განსხვავებული ფაქტურის იმიტაციის/ილუზიის შესაქმნელად;
6. კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში ქმნის რიტმულ, სიმეტრიულ, ასიმეტრიულ ნამუშევრებს, გამოყოფს ნამუშევარში მთავარს, იყენებს კონტრასტულ ფერებს; ირჩევს სასურათე სიბრტყის ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ პოზიციას, გამოსახულებას გააზრებულად ანაწილებს სასურათე სიბრტყეზე.

## მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

**ს.გ.V.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება შემოქმედებითი და საორგანიზაციო პრობლემის გადასაჭრელად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. ერთობლივი მუშაობისას (ღონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;
2. თანამშრომლობს სხვებთან საერთო პრობლემის გადაჭრისას;
3. უზიარებს თანაკლასელებს დაკვირვების შედეგებს და საკუთარ გამოცდილებას;
4. იჩენს სხვებთან თანამშრომლობის ინიციატივას, ეხმარება სხვებს კონკრეტული ამოცანის შესრულებაში;
5. ვირტუალურ ჯგუფებში აზიარებს საკუთარ ციფრულ ნამუშევარს;
6. იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას.

**ს.გ.V.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით საუბარი გამოყენებული ხერხების შესახებ საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებში შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ და გამოყენებულ პრინციპებზე, ელემენტებზე, ხერხებზე, მასალაზე, ტექნიკაზე და სხვ.;
2. საუბრობს ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, აღძრულ შთაბეჭდილებებზე, განწყობილებაზე (რა განწყობილებას უქმნის ესა თუ ის ხაზი, ფერი, ფორმა და სხვ.) და საკუთარ დამოკიდებულებაზე ხელოვნების ნაწარმოების მიმართ;
3. იყენებს შესაბამის ტერმინებს ნამუშევარზე საუბრისას;
4. უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას მსჯელობის, დისკუსიის დროს, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;
5. ნამუშევრის წარდგენისას მხარს უჭერს და ამხნევებს თანაკლასელებს.

## მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

**ს.გ.V.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების დაკავშირება ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტთან.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს სხვადასხვა კულტურის ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს ძირითადი მახასიათებლების მიხედვით (არქიტექტურული ძეგლები, დეტალები, ორნამენტი და სხვ.);
- საუბრობს ცნობილი არქიტექტურული ძეგლების ფუნქციურ დანიშნულებაზე (თავდაცვითი, საკულტო, საყოფაცხოვრებო არქიტექტურა და სხვ.);
- მსჯელობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის (სახვითი, დეკორატიული) ცალკეული ნიმუშის დანიშნულებაზე (გამოყენებითი, რელიგიური, ესთეტიკური, საინფორმაციო);
- გამოთქვამს მოსაზრებას, რომელი სოციალური ფენისთვის იყო განკუთვნილი გამოყენებითი ხელოვნების ესა თუ ის ნიმუში;
- საუბრობს, როგორ აისახება ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების ნიმუშებში (მაგ., დღესასწაული, ისტორიული ფაქტი და სხვ.).

**ს.გ.V.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს ქართულ ხელოვნებასა და ხელოვნების მოღვაწეებზე მსჯელობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს ქართული ქანდაკებისა და არქიტექტურის რამდენიმე ნიმუშზე;
- მსჯელობს მატერიალური კულტურის ძეგლებზე, რომლებიც უნახავს და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას;
- ამოიცნობს რამდენიმე ცნობილი ქართველი მხატვრისა და მოქანდაკის ნამუშევარს და საუბრობს საკუთარ დამოკიდებულებაზე.

## შინაარსი და რეკომენდაციები

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ხაზი: სხვადასხვა ტიპის და სისქის ხაზი, კონტური და შტრიხი.

აქტივობები ხაზით:

მხოლოდ შავი ფანქრის საშუალებით მრავალი დეტალის გამოყენებით მოსწავლე გამოსახავს საკუთარ თავსა და სხვებს სხვადასხვა რეალურ და გამოგონილ სიტუაციაში, იყენებს სხვადასხვა სისქის ხაზს, კონტურს.

ასრულებს გრაფიკულ ნამუშევარს ფუნჯით და ერთი ფერის საღებავით. ამისთვის ჯერ ვარჯიშობს სხვადასხვა ტიპის ხაზის ფუნჯით შესრულებაში (მასწავლებელმა უნდა აჩვენოს, როგორ იცვლება ხაზის სისქე ფუნჯზე დაწოლის რეგულირებით). შთაგონებისთვის შესაძლებელია დაათვალიეროს ჩინური და იაპონური გრაფიკის ნიმუშები.

ფერი: ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული ფერები, ტონალობა - თეთრის ან შავი ფერის დამატებით მიღებული ტონი, ნახევარტონები, ფერის გრადაცია.

აქტივობები ფერით და ხაზით:

მოსწავლე შავი ფლომასტერით ფურცელზე, ხელის აუღებლად ხატავს კონტურულ მონახაზს (ხაზი მრავალჯერ უნდა გადაიკვეთოს ისე, რომ გადაკვეთის ადგილებზე მიღებული ფორმები არ იყოს ძალიან პატარა ზომის). მიღებულ შემოფარგლულ ფორმებს აფერადებს საპირისპირო (კონტრასტული) და მონათესავე ფერებით. იმისთვის, რომ ნახატი უფრო ეფექტური იყოს, გაფერადებული მონაკვეთები შეიძლება დაიშტრიხოს, დაიკოპლოს, ჩაიხატოს რაიმე დეტალები; ხაზებს ზოგ ადგილას დაემატოს სისქე და ა.შ.

ფორმა: 2D და 3D - ბრტყელი და მოცულობითი, სიმეტრიული და ასიმეტრიული.

აქტივობები ფორმით:

მცირე ზომის კოლოფებს (ასანთის, სუნამოს) მოსწავლეები ღებავენ თეთრი საღებავით, ან აწებებენ გარშემო თეთრ ქაღალდს, ასევე, თეთრი ფურცლისგან აკეთებენ კონუსს და პირამიდას. გეომეტრიულ მოდელებზე აკვირდებიან, თუ როგორ ეცემა მათზე სინათლის სხივი. ასევე მასწავლებელმა დაფაზე სქემატურად შეიძლება აჩვენოს საგნები და სხვადასხვა კუთხით დაცემული ჩრდილები. შემდეგ, მოსწავლეები ხატავენ გეომეტრიულ მოდელებს სხვადასხვა განათებით (პირდაპირი და გვერდიდან) და აფერადებენ ჩრდილებს (ჩრდილების გაფერადებისას არ მოეთხოვებათ ჩრდილების გრადაცია – საკმარისია, ერთი გვერდი მეორეზე მუქი დაიხატოს).

პრინციპები: კომპოზიციური განაწილების საფუძველი (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა, ფორმატზე გამოსახულების განაწილება); რიტმი, ძირითადის გამოყოფა, სიმეტრია და ასიმეტრია, სტატიკა, დინამიკა, კონტრასტი, პროპორცია, სივრცე (პერსპექტივის კანონები - წინა და უკანა ხედები).

გამოყენებული პრინციპები:

მოსწავლე გამოსახავს ადამიანის ფიგურას ძირითადი პროპორციების გათვალისწინებით (მარტივად);

აკვირდება, როგორ იცვლება ობიექტის ზომა, ფერი, სიმკვეთრე დამკვირვებლისგან დაშორების მიხედვით და ასახავს ნამუშევარში;

ხატავს პეიზაჟს წინა და უკანა ხედების გამოყენებით.

მოსწავლე ეცნობა სასურათე სიბრტყის გამოყენებისა და კომპოზიციის ელემენტარულ წესებს (ფურცელზე საგნები და ფიგურები უნდა განაწილდეს თანაბრად, ისე, რომ „თვალს არ აღიზიანებდეს“ გადატვირთული, ან ცარიელი ადგილები. გამოსახული საგნები არ უნდა  იყოს ძალიან პატარა, ან ისეთი ზომის, რომ ვერ ეტეოდეს ფურცელზე).

მასალა და იარაღი: ფანქარი (ფერადი, უბრალო), პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული, პლასტილინი, თიხა, ბუნებრივი, ხელოვნური, ტრადიციული და არატრადიციული მასალა (პლასტმასის და მინის ბოთლები, ლითონის ნივთები, მუყაოს და პოლიეთილენის პარკები და სხვ.), ფუნჯი, მაკრატელი, წებო, სადურგლო, სამეთუნეო, საქსოვი, სამკერვალო იარაღი და სხვა.

ტექნიკა და პროცედურა: ფერწერა,  გრაფიკა და მათი ტექნიკები (მონასმი, ლაქა, ანაბეჭდი), გრაფიტი, ძერწვა, აპლიკაცია, ქაღალდის ნაკეთობები, მოზაიკა, კოლაჟი, მონოტიპია, მოდელირება, კონსტრუქცია, ფარდაგი, თექა, გობელენი, ნაქარგობა, კომპიუტერული ტექნოლოგიები (სახატავი პროგრამა, ტექსტური რედაქტორი); დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა.

გამოყენებული მასალა და ტექნიკა:

მოსწავლეს სახლიდან მოაქვს პატარა ზომის ნაჭრები რაიმე მოხატულობით და ზევიდან საღებავით ახატავს, აგრძელებს, ამთავრებს მის მოხატულობას (იმისთვის, რომ გუაშის საღებავი არ გადავიდეს, ფერებს უნდა შეერიოს რამოდენიმე წვეთი წყალგამძლე (პვა) წებო).

პლასტილინის (რომელიც ხმება) ან მარილიანი ცომისგან მოსწავლე ამზადებს ნებისმიერი ფორმის ჩარჩოს – მრგვალი, ოვალური, მართკუთხა... ჩარჩოზე ამოკაწრავს ორნამენტებს. როდესაც ჩარჩო გაშრება, იგი უნდა დაწებდეს შესაფერისი ფორმის მუყაოს ნაჭერზე და გაუკეთდეს საკიდი.

## ზოგადი აქტივობები:

მოსწავლე აკვირდება გარემოში საგნებს, ობიექტებს, მოვლენებს და ასახავს ნამუშევარში;

ხატავს პორტრეტს, ნატურმორტსა და პეიზაჟს ნატურიდან და მეხსიერებით მეტი დეტალის გამოყენებით;

წარმოსახვით ქმნის პერსონაჟებს;

ასახავს თავისი ცხოვრების საინტერესო, ან მნიშვნელოვან მომენტებს და ცდილობს გადმოსცეს საკუთარი გრძნობები მათ მიმართ;

ირჩევს მხატვრულ ხერხებს გარკვეული იდეის გადმოსაცემად (მაგალითად, ქმნის პლაკატს ეკოლოგიურ ან სხვა თემაზე);

გამოსახავს ახლობელ ადამიანებს (ოჯახის წევრები, მეგობრები და სხვ.), საყვარელ ლიტერატურულ გმირებს და ცდილობს მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემას.

სავარაუდო თემები: „მზის ჩასვლა ზღვაში“, „შემოდგომის/გაზაფხულის წვიმა“, „რთველი“, „მშობლიური კუთხე“ „ქვის ხანის ადამიანი“, „დინოზავრები“, „მითოლოგიური გმირები“, „სემირამიდას დაკიდული ბაღები“, „საყვარელი ისტორიული გმირი“, “დედამიწა - ჩემი სახლი“, “ერთგულება“, „ექსკურსია“ და სხვ. (შეიძლება იყოს ადგილობრივი საწარმოს, არქიტექტურული ძეგლის, ადგილობრივი და უცხოური ტრადიციის ამსახველი თემებიც, ყოფითი სცენები, რეალურად მომხდარი საზოგადო მოვლენები, პირადი მნიშვნელობის მქონე ფაქტები, ასევე, თემები საკუთარი ფანტაზიის მიხედვით და სხვა.

| | | სტანდარტის მიმართულებები და შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | შემოქმედებითობა და პრაქტიკა | კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია | ინტერპრეტაცია ადაპტაცია | ინფორმაციის ძიება კონტექსტში |
| **თემები და გაკვეთილები** | **სასწავლო დროის ხანგრძლივობა** | | | | |
| **თემა 1: შესავალი გაკვეთილები** | | | | | |
| პალიტრა | 2 | 1.მოსწავლეს უნდა შეძლოს საკუთარ თანმგზავსებლი და ბავშვისეული ტალღოვანი, სიგრძითი ხელოვნური ბილიკების ელექტრონული ბავშვისეული ბიბლიოთეკების ნაგულისხმევი ჩანაფიქრის, იდეის, გუნებისა-გაბნეცოფის (ეფექტიის) და თბილისტალების გაღმოსაცემად. | X | | |
| ტიფური და ფერი | 1 | | | X | |
| თხზულება სიზმარი | 1 | | | | |
| **თემა 2: პორტრეტი** | | | | | |
| პორტეტის აღწერა | 1 | X | | | |
| ფიროსმანი, „აკტრისა“ და „მეეზოვე“ | 2 | | | X | |
| ანფასი და პროფილი | 1 | X | X | | |
| რელიეფური პორტრეტი | 1 | | X | X | |
| **თემა 3: მხატვრობა** | | | | | |
| ესკიზი და ჩანახატი | 2 | X | | | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პლატონის სხეულები | 1 | X | X | X | | | |
| შუქ-ჩრდილი და მოცულობა | 1 | X | X | | | | |
| პომპეის მოზაიკა | 3 | | | X | | X | |
| კაკაბაძის ნავები | 1 | X | | | | | |
| თითებით ხატვა | 1 | | X | | | | |
| მარკ შაგალის სამყარო, gif ანიმაცია | 2 | X | X | | X | X | |
| მონოტიპია | 1 | | X | | | | |
| სიცოცხლის ხე | 2 | X | X | | | | |
| ბრეიგელის ანდაზები | 1 | X | | | X | X | |
| ანიმაცია, გაცოცხლებული ნახატი | 1-2 | | | | | | |
| პირველი არქეოლოგი | 2 | | | | | | |
| **თემა 3: ქანდაკება** | | | | | | | |
| გფარავდეთ შედუ | 1 | X | X | | X | X | |
| ობელისკი, მზის საათი | 2 | | X | | | X | |
| პიგმალიონი და გალათეა | 1 | | | | | | |
| მობილი | 2 | | X | | | | |
| მავთულის ქანდაკება | 1 | | X | | | | |
| ჯაკომეტის აჩრდილები | 1 | | X | | X | X | |
| **თემა 5: არქიტექტურა** | | | | | | | |
| მალევიჩის არქიტექტონები | 1 | | X | X | | | |
| ქალაქის დაგეგმარება | 2-3 | | | X | X | X | |
| ქალაქური პეიზაჟი | 1 | X | | | | X | X |
| ნაჭრის ქალაქი | 1 | X | X | | | | |
| კორპუსი და ძველი სახლი | 1-2 | X | | | X | X | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **თემა 6: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება** | | | | | | | |
| რას გვიამბობს თიხა | 2-3 | | X | X | | | |
| შუამდინარეთი | 1 | | | | | X | |
| ხამურაბის კანონები | 2 | | X | X | | | |
| შუმერული ომი და მშვიდობა | 2 | | X | X | X | X | |
| შუმერობანა | 2 | | X | | | X | |
| მინანქარი | 1 | X | X | | | X | X |
| **თემა7: პროექტები** | | | | | | | |
| **1. მუზეუმი -** | | | | | | | |
| მუზები | 1 | X | | X | X | | |
| მუსეიონი | 1 | X | | X | | | |
| მუზეუმში ქცევის წესები | 1 | X | | X | X | | |
| საგანურის მცველი | 2 | | X | X | X | X | X |
| **2. წარმოდგენა -** | | | | | | | |
| ჩრდილების თეატრი | 3 | | | X | | | |
| პლაკატი | 2 | X | | X | X | X | |
| **3. ფესტივალი -** | | | | | | | |
| გოძაიმას | 1 | X | X | | | X | |
| ნამასტე | 1 | | X | | | X | |
| გამარჯობა | 1 | | X | | | X | X |
| ფარდაგი | 1 | | X | | | | X |
| ფოტო ხელოვნება | 2 | | | X | | X | |
| კალიმერა | 1 | | X | X | | X | |
| სამყაროს ენა | 2 | X | X | | X | X | X |
| შემაჯამებელი გაკვეთილი | 1 | | | X | X | | |

# გაკვეთილების სცენარები

# შესავალი გაკვეთილები

## პალიტრა

### მიზანი:

საღებავების შეზავებით სასურველი ფერის მიღების უნარი

### შედეგი:

**ს.გ. 5.1. - 3**
**ს.გ. 5.2. - 1**

### მასალა:

მუყაოს ნაჭერი
ფანქარი
მაკრატელი
სახატავი ფურცელი
პალიტრა
ფუნჯი
წყალი

### ვიზუალური მასალა:

მხატვრების პალიტრები
მხატვრების ავტოპორტრეტები პალიტრით ან მათივე ფერწერული ნამუშევარი

## გაკვეთილის მსვლელობა:

- რა არის პალიტრა?

პალიტრა არის დაფა, რომელზეც მხატვრები საღებავებს აზავებენ.

წყლის საღებავების შესაზავებლად, პლასტმასის, ფოსოებიანი პალიტრა გამოიყენება, ზეთის საღებავებს კი, თხელ, გლუვ, ხის ფიცარზე აზავებენ.

- როგორ ვუვლით წყლის საღებავების პალიტრას და რა მოხდება, თუ პალიტრის გარეცხვა დაგვავიწყდება?

წყლის საღებავები წყალში იხსნება, ამიტომ, თუ გუაშის ან აკვარელის საღებავი პალიტრაზე გახმება, დალბობის შემდეგ, ადვილად გაირეცხება. ასევე, გამხმარი წყლის საღებავი თუ კარგად დალბება, სახატავად ვარგისი გახდება.

ზეთის საღებავების პალიტრა უფრო რთული მოსავლელია – ზეთის საღებავის ნარჩენებს წყალი ვერ რეცხავს, რადგამ ეს საღებავი წყალში არ იხსნება. საღებავის ნარჩენები ხის პალიტრიდან სპეციალური დანით უნდა აიფხიკოს და პალიტრა ზეთიანი ნაჭრით გაიწმინდოს. თუ ზეთის საღებავი პალიტრაზე გახმა, იგი ფიცარს მიეწებება და მისი აფხეკა ძალიან ძნელი იქნება.

თავის დროზე, ზოგიერთ მხატვარს დაავიწყდა, ან დაეზარა თავისი პალიტრის გაწმენდა, მუშაობის პროცესში, პალიტრაზე დარჩენილი საღებავები გახმა და პალიტრები გამოუსადეგარი გახდა. ამ მიზეზით, ჩვენამდე ხელუხლებლად მოაღწია რამდენიმე დიდი მხატვრის პალიტრამ, რამაც საშუალება მისცა ხელოვნების ექსპერტებს უფრო

ზუსტად დაედგინათ, თუ როგორ ამზადებდა საღებავებს, როგორი თანმიმდევრობით ალაგებდა მათ პალიტრაზე, რა ფერებით ხატავდა, რა ფერებს აზავებდა ერთმანეთში, ესა თუ ის მხატვარი.

პალიტრიდან აფხეკილი საღებავების ანალიზი გვამცნობს, თუ რა მასალისგან ამზადებდნენ მხატვრები საღებავებს, რისი გარკვევაც შეუძლებელია სურათზე გამოსახული პალიტრით.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მხატვრების პალიტრებს, შეადარონ ისინი იმავე მხატვრების ფერწერულ სურათებს და ამოიცნონ, თუ რომელი მათგანი რა ფერის საღებავებს და ფერთა როგორ გამას ანიჭებდა უპირატესობას.

## აქტივობა:

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს ჩაატარონ პალიტრების კონკურსი და გამოავლინონ შემდეგი ნომინაციები:

1. ყველაზე მოწესრიგებული პალიტრა (დელაკრუა)
2. ყველაზე მოუწესრიგებელი პალიტრა (გოგენი)
3. ყველაზე ჭრელი პალიტრა (შაგალი)
4. ყველაზე ღარიბი პალიტრა (რემბრანდტი)
5. ყველაზე მდიდარი პალიტრა (მონე)
6. ყველაზე ემოციური პალიტრა (ვან გოგი)
7. ყველაზე მშვიდი პალიტრა
8. ყველაზე მუქი პალიტრა
9. ყველაზე ღია პალიტრა (მორანდი)
10. ყველაზე ნაზი პალიტრა (სიორა)
11. პალიტრა სუფთა ფერებით
12. პალიტრა ჭუჭყიანი ფერებით (სეზანი)

კონკურსის ჩასატარებლად, მასწავლბელი დაფაზე ჩამოწერს დანომრილ ნომინაციებს, მოსწავლეები (წყვილებად) დაათვალიერებენ სახელმძღვანელოში პალიტრებს და შეაფასებენ მათ ნომინაციის შესაბამისი ციფრით. მასწავლებელი შეაჯერებს, თუ რომელმა პალიტრამ მიიღო მეტი ერთნაირი შეფასება.

## აქტივობა:

საყვარელი მხატვრის პალიტრა:

მუყაოს ნაჭერზე დაიხატება და გამოიჭრება პალიტრა.

მოსწავლეები ამოარჩევენ რომელიმე მხატვრის ფერწერულ ნამუშევარს და პლასტმასის პალიტრაზე ან თეფშზე ფერების შეზავებით, შეეცდებიან დაამზადონ ნამუშევარში გამოყენებული ფერები, რომლებსაც  რაიმე სისტემით (თბილიდან ცივისკენ, ნათელიდან მუქისკენ, ცისარტყელას თანმიმდევრობით) დაალაგებენ გამოჭრილ პალიტრაზე.

იმისთვის, რომ მოსწავლემ მიაგნოს სასურველ ფერს, საღებავები უნდა შეაზავოს მცირე რაოდენობით და სათადარიგო ფურცელზე მოსინჯოს ყოველი შეზავებული ფერი. თუ შედეგი არ მოეწონება, დაუმატოს იგივე კომპონენტები ან სხვა ფერიც. როდესაც მოსწავლე დარწმუნდება, რომ მიღებული შედეგი შეესაბამება მის მიერ არჩეული მხატვრის ნამუშევარში გამოყენებულ ფერს და ტონალობას, ეს ფერი დაიდება მუყაოს პალიტრაზე.

# ციფრი და ფერი

სტატისტიკური გამოკვლევა

## მიზანი:

კვლევისა და კანონზომიერების დადგენის უნარის განვითარება
მონაცემების სისტემატიზაციის უნარის განვითარება
ადამიანთა შეგრძნებებისა და აღქმის განსხვავებულობის გაცნობიერება

## შედეგი:

ს.გ. 5.3. – 1, 3, 4, 5, 6.

## მასალა:

მოსწავლის კომპიუტერი
სავიზიტო ბარათების ზომის 9 ფურცელი ყოველ მოსწავლეს
ფლომასტერები (12 ფერი)

# გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი დროის ისეთი ინტერვალით, რომ მოსწავლეებმა მოასწრონ დავალების წარმოდგენა და დახატვა, ჩამოთვლის ციფრებს ერთიდან ცხრამდე.

მოსწავლეებმა ყოველი ციფრის დასახელებისას, უნდა დახუჭონ თვალები, წარმოიდგინონ რა ფერთან ასოცირდება მათთვის ეს ციფრი და შემდეგ, სავიზიტო ბარათის ზომის ფურცელზე დახატონ ეს ციფრი შესაბამისი ფერის ფლომასტერით.

როდესაც ცხრავე ციფრი დაიხატება, მოსწავლეები მაგიდებზე დაალაგებენ ციფრებს იმის მიხედვით, თუ რომელი მოსწონთ ან უყვართ უფრო და რომელი ნაკლებად. თანმიმდევრობა ყველაზე საყვარელიდან ყველაზე უსიმპატიურომდე.

მასწავლებელი ჩამოთვლის ციფრებს, მოსწავლეები კი ხელის აწევით აძლევენ პასუხს – ვის უყვარს ციფრი 1? – დათვლიან, რამდენს უყვარს და ჩაიწერენ. ასე დათვლიან ცხრავე ციფრს.

მაგ. ასე ჩამოწერენ
1 – მოსწონს 3 მოსწავლეს
2 – მოსწონს 1 მოსწავლეს
3 – მოსწონს 5 მოსწავლეს
4 – მოსწონს 3 მოსწავლეს
5 – მოსწონს 8 მოსწავლეს
6 – მოეწონა 2 მოსწავლეს
და ა. შ.

გამოიტანენ დასკვნას და ჩაწერენ კომპიუტერში შექმნილ ცხრილში – რომელ ციფრებს ხვდათ მეტი პატივი, რომლები გავიდნენ პირველ ადგილზე, მეორე ადგილზე და ა. შ.

| ადგილი | ციფრი | მოსწავლეთა რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | 5 | 8 |
| 2 | 7 | 6 |
| 3 | 3 | 5 |
| 4 | | |
| 5 | | |
| 6 | | |
| 7 | | |
| 8 | | |
| 9 | | |

„გამარჯვებული“ ციფრები ჩამოიწერება მოპოვებული ქულების რაოდენობის მიხედვით.

პირველი 5 ადგილი შესაძლოა გამოიყოს ფერით, რომელიც აჩვენებს, რომ ამ ზონაში უმრავლესობის მიერ მოწონებული ციფრებია განლაგებული, ქვემოთ კი დაწუნებული.

მეორე ეტაპზე – უნდა გაირკვეს, რომელი ციფრები გააფერადეს მოსწავლეებმა ერთნაირი ფერით, რამდენი დამთხვევაა კლასში.

ერთიანები 3 მოსწავლემ
ორიანები 1 მოსწავლემ
სამიანები 5 მოსწავლემ
და ა. შ.

მესამე და საბოლოო ეტაპი – დადგინდეს, რამდენი სრული დამთხვევაა კლასში – რომელი ერთნაირად გაფერადებული ციფრი გავიდა ერთნაირ ადგილზე. ასეთი ციფრები განსაკუთრებულად განიხილება. მოსწავლეები დაუსვამენ ერთმანეთს შეკითხვებს თუ რატომ მოსწონთ ან არ მოსწონთ ესა თუ ის ციფრი, რატომ არის ეს ციფრი ამ ფერის.

საბოლოოდ გამოიტანენ დასკვნას:

- რამდენი მოსწავლე აღიქვამს ციფრებს და ფერებს ერთნაირად და რამდენს აქვს სრულიად განსხვავებული ხედვა.
- რომელ ციფრებს შეხვდათ უმრავლესობის სიმპათია და რომლები დაიწუნა ყველამ.

მასწავლებელი იკითხავს:

– შეიძლება თუ არა, ერთნაირად გაფერადებული და ერთ ადგილას გასული ციფრები და ფერები კანონზომიერებად ჩავთვალოთ? და ვთქვათ, რომ ადამიანების უმეტესობას უყვარს ეს ფერები და ეს ციფრები?

მოსწავლეები ამოარჩევენ პირველ და ბოლო ადგილებზე გასულ ციფრებს და იმსჯელებენ, თუ რა ფერით არიან ისინი გაფერადებული და რატომ.

რა ფერები გამოვლინდა საყვარელის, სასიამოვნოს გასაფერადებლად და რა ფერებით გაფერადდა ის, რაც არ უყვართ, არ არის სასიამოვნო.

გამოიტანენ დასკვნას, რომ ფერების ეს ჯგუფი სასიამოვნოსთან ასოცირდება, ეს კი უსიამოვნოსთან.

მასწავლებელი დამხმარე შეკითხვებით მიმართავს მოსწავლეების მსჯელობას: რომელი ფერები ჭარბობს სასიამოვნო ფერების ჯგუფში, ცივი თუ თბილი? ღია თუ მუქი?

რომელი ფერებია ნეიტრალური, არც სასიამოვნო და არც უსიამოვნო?

მოსწავლეები, კომპიუტერში, ინდივიდუალურად შეადგენენ ცხრილს, რომელშიც ზედა რიგში განალაგებენ მათთვის სასიამოვნო ფერებს, საშუალო რიგში ნეიტრალურს და ქვედა რიგში უსიამოვნოს.

შეადარებენ ერთმანეთის ცხრილებს და იმსჯელებენ მათ შორის მსგავსებასა თუ განსხვავებაზე.

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ერთმანეთის საყვარელ ფერებს და შეადარონ ისინი პატრონის ხასიათს დაახლოვებით ასეთი კუთხით – ნინო ყოველთვის მხიარულია და ამიტომ ყვითელი პირველ ადგილას დასვა, ნიკოს ჩხუბი უყვარს და მისთვის წითელი ფერია მთავარი, სანდრო წყნარია და მწვანე ფერი სიამოვნებს...

# თხზულება „სიზმარი“

## მიზანი:

წარმოსახვის უნარის განვითარება;

ხელოვნების ნაწარმოების ანალიზისა და ინტერპრეტაციის, აზრის გაზიარების უნარების განვითარება.

## შედეგი:

**ს.გ.V.4. – 1, 2, 3.**

**ს .გ.V.5. – 1, 2, 3, 4.**

**ს .გ.V.6. – 2, 3.**

## მასალა:

საწერი ფურცელი, კალმისტარი, ცნობილ მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციები

## ვიზუალური მასალა:

ცნობილ მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციები (რეკომენდებული მხატვრები და ნამუშევრები: ნიკო ფიროსმანი, გიგო გაბაშვილი, ოსკარ შმერლინგი, ელენე ახვლედიანი, ზურაბ ნიჟარაძე, ლევან ჭოღოშვილი, კარლო კაჭარავა, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები (მამუკა თავაქარაშვილი, მიხაი ზიჩი, სერგო ქობულაძე, ლადო გუდიაშვილი, ლევან ცუცქირიძე, ირაკლი თოიძე, რუსუდან ფეტვიაშვილი), სპარსული მინიატურა, ყაჯარული პორტრეტები)

# გაკვეთილის მსვლელობა:

წარმოიდგინეთ, რომ ხელოვნების რომელიმე ნიმუშმა თქვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იმდენად დიდი, რომ... დაგესიზმრათ!

მასწავლებლის დახმარებით შეარჩიეთ რომელიმე ცნობილი მხატვრის ნახატი. წარმოიდგინეთ, რომ სიზმარში ამ სურათში აღმოჩნდით. გთავაზობთ თხზულების გეგმას:

1. აღწერეთ, რას ხედავთ – მიაქციეთ ყურადღება დეტალებს და გამოიტანეთ დასკვნა – როგორი გარემოა? თუ პეიზაჟია, რა ადგილია: უდაბნო, ოაზისი (პალმები, კაქტუსები), ზღვა (მშვიდი, მღელვარე), მდინარე, ტყე (ფოთლოვანია თუ წიწვოვანი) თუ მინდორი (როგორი მცენარეებია)? თუ ინტერიერია, სასახლეა, ტაძარი თუ სახლი? ქოხია თუ ქალაქური სახლი? მდიდრული თუ ღარიბული? რა დროა (წელიწადის დრო, დღე, ღამე, აწმყო თუ წარსული)?; ცხოველები თუ არიან გამოსახული (შინაური თუ გარეული)? ვისთან ერთად ხართ (რა ასაკის, რომელი სოციალური ფენის, რა ტანსაცმელი აცვიათ)? რა ხდება (რას საქმიანობენ, რა განწყობაზე არიან)? რა შეიძლებოდა მომხდარიყო ამ მომენტამდე; როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?

2. რა გრძნობა დაგეუფლათ? რატომ? როგორ ფიქრობთ, რა მხატვრული საშუალებები გამოიყენა მხატვარმა, რომ თქვენ ასეთი გრძნობა დაგეუფლოთ (შინაარსი, ფერები, კონტრასტი, განათება, სივრცე, დინამიკა/სტატიკა)

3. „გაღვიძების“ შემდეგ მიუთითეთ, სადაური და რომელი მხატვრის, რა ჟანრის, რომელი სურათი „დაგსიზმრებიათ“.

*მუზეუმიდან შთაბეჭდილებებით სავსე დავბრუნდი. დაღლილს მალე ჩამეძინა. უცებ სხვაგან აღმოვჩნდი. დავინახე, რომ . . . . . .*

*ვიგრძენი, რომ. . . . . .*

*გამელვიძა და მივხვდი, რომ დამესიზმრა . . . . . (რა პერიოდის) ცნობილი (სადაური). . . . . .მხატვრის (სახელი და გვარი), . . . . . ., (რომელი ჟანრის) . . . . . სურათი, სახელწოდებით . . . . . .*

*თხზულების ავტორი . . . . . მე-5 კლასის მოსწავლე . . . . . თარიღი . . . .*

## აქტივობა:

მოსწავლეები შეარჩევენ რეპროდუქციებს და დაწერენ თხზულებას.

**შენიშვნა:**

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს ბმულს: http://kargiskola.ge/dawere/ სადაც ჩატვირთულია მარტივი პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დაწერონ ტექსტი, გააფორმონ  იგი დახატული ან ატვირთული ილუსტრაციებით  და ამობეჭდონ და გააზიარონ წიგნის ან სტატიის ფორმატში.

# პორტრეტის აღწერა

## მიზანი:

ხელოვნების ნაწარმოების აღწერის უნარი
ფანტაზიის განვითარება

## შედეგი:

ს.გ. 5.1.
ს.გ. 5.4.
ს.გ. 5.5.

## ვიზუალური მასალა:

ილია რეპინის პორტრეტები:
პავლე ტრეტიაკოვი
ანტონ რუბინშტეინი
დიმიტრი მენდელეევი
მიხაილ გლინკა
ლევ ტოლსტოი
ილია რეპინის ავტოპორტრეტი

# გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში.

წყვილები უნდა დააკვირდნენ პორტრეტებს, მოილაპარაკონ და წერილობით ჩამოაყალიბონ, როგორი ადამიანია გამოსახული სურათზე – აღწერონ მისი გარეგნობა, ხასიათი, სავარაუდო საქმიანობა. მოსწავლეები იმსჯელებენ იმაზე, თუ რა ნიშნებით მიანიჭეს პორტრეტზე გამოსახულ ამა თუ იმ პიროვნებას გარკვეული თვისებები.

მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ ვერსიებს, მასწავლებელი კი მოუყვება მათ, თუ ვინ იყვნენ სინამდვილეში ეს ადამიანები.

მოსწავლეები იმსჯელებენ, რამდენად დაემთხვა მათი შთაბეჭდილება სინამდვილეს.

## აქტივობა:

მასწავლებელი გამოკითხავს მოსწავლეებს, თუ რომელი ისტორიული გმირი, მწერალი ან სხვა გამოჩენილი ადამიანი მოწონთ და რატომ, ვისგან აიღებდნენ მაგალითს. მოსწავლეები სიტყვიერად აღწერენ, როგორია ეს ადამიანი მათ წარმოსახვაში და დახატავენ მის პორტრეტს.

**ილია რეპინის პორტრეტებზე გამოსახული პიროვნებები:**

**პავლე ტრეტიაკოვი** – 19-ე საუკუნის რუსი ვაჭარი და მეწარმე, ქველმოქმედი.

20 წლისამ დაიწყო რუსული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების შეგროვება. 10 წელიწადში კი, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, როცა უკვე საკმაოდ დიდ კოლექციას ფლობდა, დაწერა ანდერძი – „ჩემთვის, ფერწერის ჭეშმარიტი მოყვარულისთვის, არ არსებობს უკეთესი სურვილი, ვიდრე საფუძველი ჩავუყარო საზოგადო, ყველასთვის მისაწვდომი, ნატიფი ხელოვნების ნიმუშების საცავის შექმნას. საცავის, რომელიც სარგებლობას მოუტანს და სიამოვნებას მიანიჭებს ადამიანებს“.

ტრეტიაკოვმა თავისი კოლექციისთვის ააშენა გალერეა და შენობაცა და კილექციაც აჩუქა ქალაქ მოსკოვის მოსახლეობას.

ტრეტიაკოვის უკანასკნელი სიტყვები იყო – „გაუფრთხილდით გალერეას და იყავით ჯანმრთელნი“.

**ანტონ რუბინშტეინი** – მე-19-20 საუკუნის რუსი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი.

1891 წელს მოაწყო დიდი საქველმოქმედო კონცერტი. ამ კონცერტიდან შემოსული თანხით დააარსა თბილისში პირველი სამუსიკო სასწავლებელი, რომლის საფუძველზეც, 1924 წელს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. მანამდე, ქართველი ახალგაზრდები საზღვარგარეთ ღებულობდნენ მუსიკალურ გამათლებას. ცხადია, ეს ბევრისთვის ხელმიუწვდომელი ფუფუნება იყო. რომ არა ანტონ რუბინშტეინი, გვეყოლებოდა დღეს ამდენი სახელოვანი მუსიკოსი?

**დიმიტრი მენდელეევი** – მე-19 საუკუნის მეცნიერი ქიმიის, ფიზიკის, გეოლოგიის დარგში, მეტეოროლოგიის და ჰიდროდინამიკის მკვლევარი.

ეს დიდი მეცნიერი სკოლაში ძალიან ცუდად სწავლობდა. სტუდენტობისას, მოახერხა და პირველ კურსზე ჩარჩა იმის გამო, რომ მათემატიკის გარდა, ყველა საგანში ორიანი მიიღო. თუმცა, მდგომარეობა მალევე გამოასწორა და ინსტიტუტი ოქროს მედლით დაამთავრა.

მენდელეევის საყვარელი საქმიანობა დაფლეთილი წიგნების შეკეთება, ლამაზი ჩარჩოების და ჩემოდნების დამზადება იყო. ჩემოდნებით ისე გაითქვა სახელი, რომ მათი მფლობელები ისევე ამაყობდნენ შენაძენით, როგორც ჩვენ ვამაყობთ დღეს ლუი ვიუტონის ბრენდის ჩანთებით.

მენდელეევმა შექმნა ცხრილი, რომელზეც სამყაროს შემადგენელი ყველა ცნობილი და ჯერ არაღმოჩენილი ქიმიური ელემენტი განალაგა.

**ლევ ტოლსტოი** – ამ მწერლის წიგნებს – „ომი და მშვიდობა“ და „ანა კარენინას“ დღესაც კითხულობენ მსოფლიოს ყველა კუთხეში. ძნელია მოიძებნოს ადამიანი, რომელსაც მისი სახელი გაეგოს.

**მიხაილ გლინკა** – ისტორიაში შევიდა, როგორც რუსული ოპერის ფუძემდებელი.

## ფიროსმანი, „აკტრისა“ და „მეეზოვე“

### მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს ნიკო ფიროსმანის შემოქმედება

### შედეგი:

ს.გ. 5.3. – 3, 4.
ს.გ. 5.5. – 4.
ს.გ. 5.6. – 3

### მასალა:

სახატავი ფურცლები
უბრალო ფანქრები
საღებავები ან ფერადი ფანქრები

### ვიზუალური რესურსი:

ნიკო ფიროსმანის „მეეზოვე“, „აკტრისა მარგარიტა“ და სხვა ნამუშევრები

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და ფოტოები:
http://www.slideshare.net/KetevanKalatozishvili/ss-8040536

## გაკვეთილის მსვლელობა:

გაკვეთილამდე ერთი კვირით ადრე, მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს, მოიძიონ და დაათვალიერონ ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის სურათები და ერთმანეთს გაუზიარონ მოძიებული ინფორმაცია მის შესახებ.

გაკვეთილის დასაწყისში, მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს, თუ რა იციან ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის შესახებ, სთხოვს მათ დაასახელონ ამ მხატვრის რამდენიმე ნამუშევარი და დასვამს შეკითხვას:

- გაიხსენეთ ფიროსმანის ნახატები და მითხარით, რომელ ჟანრებს შეიძლება მივაკუთვნოთ ისინი?

მასწავლებელი მოისმენს მოსწავლეების მოსაზრებებს და გააკეთებს შემაჯამებელ დასკვნას:

ნიკო ფიროსმანის შემოქმედება სხვა ქართველი მხატვრებისგან გამოირჩევა ჟანრების მრავალფეროვნებით – ეს მხატვარი ხატავდა პორტრეტებს, პეიზაჟებს, ყოფით და ბატალურ სცენებს, ნატურმორტებს, ცხოველებს, აბრებს.

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს სადისკუსიო თემას – რა მოხდებოდა, თვითნასწავლ მხატვარს, ნიკო ფიროსმანაშვილს, მხატვრობაში, კლასიკური განათლება რომ მიეღო“.

ამ დისკუსიის მიზანია, მოსწავლეებმა, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები. ვინაიდან დასმულ შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს, მოსწავლეების გამოთქმული ყველა ვერსია მისაღებია.

დისკუსიის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით დაათვალიერონ ფიროსმანის ორი ნახატი – „მეეზოვე“ და „აკტრისა მარგარიტა“, გაეცნონ ამ ორი სურათის შექმნის ისტორიას და დახატონ ამ მათი ასლები (ამორჩევით).

## აქტივობა 1:

მოსწავლეები დახატავენ ნიკო ფიროსმანის „მეეზოვის“ ან „აკტრისა მარგარიტას“ ასლს.

## საშინაო დავალება:

ყოველი მოსწავლე დაწერს მოკლე თხზულებას თემაზე „რას ვფიქრობ ფიროსმანის მხატვრობაზე“.

(მასწავლებელი გააფრთხილებს მოსწავლეებს, რომ თხზულება უნდა ასახავდეს მათ დამოკიდებულებას ამ შემოქმედის მიმართ და არა ბიოგრაფიულ ცნობებს). ასევე, თხზულებები უნდა დაიწეროს ლამაზი კალიგრაფით.

ყოველი მოსწავლე დახატავს ფიროსმანის კიდევ რომელიმე ნამუშევრის ასლს.

## აქტივობა 2:

მოსწავლეები მოამზადებენ მასალას გამოფენისთვის „ჩემი ფიროსმანი“. რომელზეც გამოიფინება მოსწავ-ლეების მიერ გაკეთებული ფიროსმანის ნამუშევრების ასლები (შეძლებისდაგვარად ორიგინალების ფოტოების თანხლებით), და მოსწავლეთა მიერ დაწერილი თხზულებები თემაზე „რას ვფიქრობ ფიროსმანის მხატვრობაზე“.

თხზულებები და ასლები გაფორმდება, მომზადდება გამოფენისთვის. სასურველია, მოსწავლეებმა მოამზადონ გამოფენისთვის პლაკატი.

# ანფასი და პროფილი

## მიზანი:

ვასწავლოთ მოსწავლეებს პორტრეტის სხვადასხვა რაკურსით დახატვა

## შედეგი:

**ს.გ. 5.1. – 4, 5, 6, 12.**
**ს.გ. 5.2. – 2.**
**ს.გ. 5.6. – 3.**

## ასათვისებელი ტერმინები:

პროფილი
ანფასი

## მასალა:

სახატავი ფურცლები,
უბრალო რბილი ფანქრები

## ვიზუალური რესურსი:

დიმიტრი ხახუტაშვილის ნახატები

# გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები დაათვალიერებენ დიმიტრი ხახუტაშვილის ნახატებს და უპასუხებენ მასწავლებლის შეკითხვებს:

- მხატვრობის რომელ დარგს მიეკუთვნება სურათები,
- რა არის გამოსახული და მხატვრობის რომელ ჟანრს მიეკუთვნება ეს ნახატები,
- რომელი მათგანია შესრულებული კონტურით და რომელი შტრიხებით,
- რომელი მათგანია შესრულებილი ფანქრით, რომელი კალმით,
- საით არის მიმართული პორტრეტებზე გამოსახული ადამიანების მზერა (მარცხნივ, მარჯვნივ, პირდაპირ, ქვევით, ზევით),
- რომელ ნახატზე ჩანს სახე მთლიანად, რომელზე ჩანს სახის სამი მეოთხედი და რომელზე ნახევარი სახე.

გამოსახულებას, რომელიც წინიდან, სახით მაყურებლისკენ არის დახატული, **ანფასი** ეწოდება.

გამოსახულებას, რომელზეც ადამიანი ან ცხოველი გვერდიდან არის დახატული, **პროფილი** ეწოდება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენ დიმიტრი ხახუტაშვილის პორტრეტებს – რომელი მათგანია დახატული პროფილში და რომელი ანფასში.

უთუოდ შეამნევდით, რომ ამ პორტრეტებს შორის, რამდენიმე არც პროფილია და არც ანფასი. სახეები ოდნავ მიბრუნებულია გვერდზე ისე, რომ ადამიანის ერთი ლოყა მთლიანად ჩანს, მეორე კი ნაკლებად. ანფასში, ორივე ლოყა თანაბარია, პროფილში კი მეორე ლოყა სრულებით არ ჩანს. გამოსახულების ისეთ რაკურსს, სადაც სახე ოდნავ მიტრიალებულია, სამ მეოთხედს უწოდებენ.

## აქტივობა:

მოსწავლეები დასხდებიან ერთმანეთის პირისპირ და დახატავენ ერთმანეთის პორტრეტებს პროფილში ან სამ მეოთხედში. დახატულ პორტრეტებს, მოცულობის მისაცემად, მარტივად, შტრიხებით დაუხატავენ ჩრდილებს.

## საშინაო დავალება:

მოსწავლეები უბრალო ფანქრით დახატავენ ოჯახის წევრის პორტრეტს პროფილში.

# რელიეფური პორტრეტი

## მიზანი:

ვასწავლოთ მოსწავლეებს პროფილში ადამიანის რელიეფური პორტრეტის ძერწვა

## შედეგი:

ს.გ. 5.2. – 2, 3, 4.
ს.გ. 5.5. - 3

## მასალა:

მუყაოს პატარა ნაჭრები
2 ფერის პლასტილინი
ხის ჩხირი
პლასტილინის დანა
პლასტილინის დაფა

# გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი გამოკითხავს მოსწავლეებს, როგორ გამოსახულებას ეწოდება პროფილი და როგორს ანფასი. მოსწავლეებს შეუძლიათ გაიხსენონ, ხელოვნების რომელიმე ნაწარმოები, რომელზეც ადამიანი პროფილში ან ანფასშია გამოსახული.

პროფილიში, მსგავსების გამოსახვა უფრო ადვილია, ვიდრე ანფასში. ამიტომ, ხეზე, ქვაზე, ძვალზე ამოჭრილ რელიეფებზე, უფრო ხშირად, ადამიანები და ცხოველები, პროფილშია გამოსახული.

ძველი ეგვიპტის ბარელიეფებზე, ისევე, როგორც მხატვრობაში, როგორც წესი, ადამიანების სახეები პროფილში გამოისახებოდა, სხეული კი უფრო ხშირად ანფასში.

მოსწავლეები დაათვალიერებენ სახელმძღვანელოში ილუსტრაციებს, რის შემდეგაც მასწავლებელი სთხოვს მათ დაასახელონ, თუ რომელი ილუსტრაცია მიეკუთვნება სახვით ხელოვნებას და რომელი დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას.

თასი, მონეტები და სამკაული დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას მიეკუთვნება.

„ნომისმა“ ლათინურად მონეტას ნიშნავს. **ნუმიზმატიკა** ძველებური მონეტების შემსწავლელი მეცნიერებაა, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ისტორიულ მეცნიერებას. მონეტის გამოგონება, კაცობრიობის ისტორიის ერთერთი დიდი მონაპოვარია. მონეტა, ძველი წელთაღრიცხვით მე-8 საუკუნის მიწურულს გაჩნდა ერთდროულად ორ ქვეყანაში - საბერძნეთსა და ლიდიაში. უძველესი ქართული მონეტა – „კოლხური თეთრი“ ძველი წელთაღრიცხვით მე-6 საუკუნით თარიღდება.

**გლიპტიკა** ძველი ბერძნების ენაზე ამოკვეთას ნიშნავს. გლიპტიკა, ძვირფას ქვებზე გამოსახულების ამოჭრის ხელოვნება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთერთი სახეა.

ძვირფას ქვას, რომელზეც გამოსახულებაა ამოკვეთილი, **გემა** ეწოდება. თუ გემაზე გამოსახულება ჩაღრმავებულია, მას **ინტალიოს** უწოდებენ, ამობურცულ გამოსახულებიან გემას კი **კამეას** უწოდებენ.

გლიპტიკის ხელოვნება შუამდინარეთსა და ეგვიპტეში ჩაისახა, ძველი წელთაღრიცხვით IV ათასწლეულში.

გემას საქართველოში ნაპოვნი უძველესი ნიმუშები, ძველი წელთაღრიცხვით II ათასწლეულით თარიღდება.

## აქტივობა:

მოსწავლეები მუყაოს ოვალურ ან მრგვალ ნაჭერზე პლასტილინით გააკეთებენ ბარელიეფს ადამიანის პროფილით:

მუყაოს ნაჭერზე ფანქრით დახატავენ ოვალს ან წრეს, გამოჭრიან მას და დაფარავენ პლასტილინის თხელი ფენით.

ხის წვრილი ჩხირით დახატავენ ადამიანის პროფილს და ამოავსებენ მას სხვა ფერის პლასტილინით.

ამავე ფერის პლასტილინით გაუკეთებენ ნამუშევარს ჩარჩოს.

ჩარჩოზე ნაჭდევებით გამოსახავენ ორნამენტს.

## რეკომენდაცია:

სურათის ოვალური ჩარჩოს დასახატად, მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეებს გამოიყენონ შემდეგი ხერხი:

ფარგლის გარეშე ოვალის დახატვის ხერხი:




წრის დასახატად კი საკმარისია ერთი ჭიკარტი.

## ესკიზი და ჩანახატი

### მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს შტრიხებით შუქ-ჩრდილისა და მოცულობის გადმოცემის ხერხები

### შედეგი:

ს.გ. 5.1. – 2, 3, 4, 5, 6

### მასალა:

სახატავი ფურცლები,
უბრალო რბილი ფანქრები,
ორჯერ მოკეცილი და გაშლილი თეთრი ქაღალდები

### ვიზუალური მასალა

სხვადასხვა მხატვრის ესკიზები და შესაბამისი დასრულებული სურათები

## გაკვეთილის მსვლელობა:

გაკვეთილის დასაწყისში, მოსწავლეები დაათვალიერებენ დიდი მხატვრების მიერ გაკეთებულ ჩანახატებსა და ესკიზებს. მასწავლებელი იკითხავს, თუ რა არის გამოსახული ამ ნახატებზე, როგორ შეიძლება მათი დახასიათება ( ნახატები დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ქმნიან). მოსწავლეები შეადარებენ ესკიზებსა და დასრულებულ სურათებს და ომსჯელებენ, თუ რა განსხვავება და მსგავსებას ხედავენ მათ შორის.

ჩანახატი არის სწრაფად გაკეთებული ნახატი, რომელსაც მხატვარი ქმნის ხელის გასავარჯიშებლად, მოძრაობის, ხასიათის, საინტერესო დეტალის დასამახსოვრებლად.

ჩანახატის კეთებისას, მხატვარი არ ფიქრობს სურათის კომპოზიციაზე, მხატვრულ შინაარსზე.

ესკიზი კი არის მოსამზადებელო სამუშაო, წინასწარი მონახაზი მომავალი სურათის შექმნისთვის. ესკიზი ეხმარება მხატვარს გაიაზროს სურათის კომპოზიცია, დეტალები.

### აქტივობა 1:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ხელის გასავარჯიშებლად, სახატავ ფურცელზე, დახატონ სხვადასხვა მიმართულების და სიძლიერის შტრიხები – ირიბი, სწორი, ხვეული, წრიული, მუქი, ღია, 2-3 ფენა ერთი მიმართულებით, 2-3 ფენა ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით.

მასწავლებელი დაარიგებს ოთხად მოკეცილ და შემდეგ გაშლილ, თეთრ (1/4 სახატავი ფურცელი) ქაღალდებს და დაალაგებს მათ მოსწავლეების წინ მერხებზე ან სამუშაო მაგიდებზე ისე, რომ თითო ფურცელს რამოდენიმე მოსწავლე ხედავდეს. მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ დაკუჭულ ქაღალდებს, შეადარონ, თუ რომელი მონაკვეთებია მეტად განათებული და რომელია ჩრდილში, რომელია ადგილია ყველაზე ნათელი და რომელია ყველაზე

ბნელი. მასწავლებელმა უნდა მიაქციოს მოსწავლეების ყურადღება იმას, რომ ჩრდილი ყველგან ერთი სიმუქის არ არის – ქაღალდის ის მონაკვეთები (განსაკუთრებით მაგიდაზე დაცემული ჩრდილი), რომლებსაც სინათლის სხივი ნაკლებად ხვდება, უფრო მუქია, ვიდრე სხვა, მაგ. ფურცლის ზედაპირის ზემოდან ჩრდილში მყოფი მონაკვეთები. მაგიდა, რომელზეც თეთრი ქაღალდი დევს, თავისთავად ქაღალდზე უფრო მუქია, მით უფრო იმ ადგილებში, სადაც მას ქაღალდის ჩრდილი ეცემა. ამიტომ, ქაღალდის გარშემო, მაგიდის რაღაც მონაკვეთიც უნდა დაიშტრიხოს, რათა მის ფონზე ქაღალდის სითეთრე უკეთ გამოჩნდეს.



ყველაზე მეტად განათებული ადგილები არ უნდა დაიშტრიხოს – უნდა დარჩეს თეთრად; მაგიდა და განსაკუთრებით მაგიდის ის ნაწილი, სადაც მას ქაღალდის ჩრდილი ეცემა, უნდა დაიშტრიხოს ყველაზე მუქად (ინტენსიურად).

მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ ფანქარს მაგრად არ დააწვენ - სიმუქე ფანქარზე დაწოლით კი არა, თანდათანობით, ფენა-ფენა, ერთმანეთზე დადებული შტრიხებით მიიღწევა. ასეთი სიმუქე ჰაეროვნებას მისცემს ნახატს.

## აქტივობა 2:

მოსწავლეები გადაიხატავენ დაკეცილი ქაღალდის მოხაზულობას.

პირობითად, მკრთალად აღნიშნავენ ნაკეცებს და დაშტრიხავენ ჩრდილში მყოფ მონაკვეთებს.

დაშტრიხვა იწყება ყველაზე მუქი, მონაკვეთიდან.

## საშინაო დავალება:

ასეთივე მეთოდით, მოსწავლეები დახატავენ ნახატს თემაზე „ხედი ჩემი ფანჯრიდან“.

**დავალების პირობა:**

ნახატზე ფანჯარა, რომლის მიღმა რამე ხედი იქნება დახატული, უნდა ჩანდეს მთელ სიგრძეზე და აუცილებლად უნდა დაიხატოს დრაპირებული ფარდა.

# პლატონის სხეულები

## მიზანი:

თარგებით ფიგურების აწყობის უნარის განვითარება
გავაცნოთ მოსწავლეებს ხუთი წესიერი მრავალწახნაგა
ვასწავლოთ ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვა და განაწილება

## შედეგი:

ს.გ. 5.2. – 3.
ს.გ. 5.3. – 1, 2, 3.

## ასათვისებელი ტერმინები:

წახნაგი
წიბო
ტეტრაედრი
ჰექსაედრი
ოქტაედრი
იკოსაედრი
დოდეკაედრი

## მასალა:

მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებული ხუთივე მრავალწახნაგას ნიმუში,
მრავალწახნაგების (თეთრ ფურცლებზე დაბეჭდილი) ამოსაჭრელი თარგები (იხ. დანართი)
ფანქარი
მაკრატელი
წებო

# გაკვეთილის მსვლელობა:

გაკვეთილის დასაწყისში, მასწავლებელი აუხსნის ბავშვებს, თუ რა არის მოცულობა, რა განსხვავებაა სიბრტყობრივ და მოცულობით გამოსახულებებს შორის, აჩვენებს მოსწავლეებს მრავალწახნაგების მოდელებს და მოუყვება მათ ხუთი წესიერი მრავალწახნაგას შესახებ:

ამ სხეულებს მრავალწახნაგებს ეძახიან იმიტომ, რომ მათ ბევრი წახნაგი, ანუ გვერდი აქვთ. ჩვენს გარშემო უამრავი სხვადასხვა ფორმის მრავალწახნაგა არსებოს - ნაირნაირი შენობები, სათამაშო კუბები, კარადები, მარილის და შაქრის პაწაწუნა კრისტალები, სამკაულებში ჩასმული ლამაზი თვლები...

ბუნებაში, მრავალწახნაგების ფორმა უსასრულოდ ბევრია, მაგრამ წესიერი მრავალწახნაგა მხოლოდ ხუთია. ამ სხეულებს წესიერი ეწოდათ იმიტომ, რომ ყოველ მათგანს ერთი ფორმის და ზომის წახნაგები (გვერდები) აქვს და თანაც, ყოველი წახნაგის ყველა წიბო ერთი სიგრძისაა.

ითვლება, რომ ტეტრაედრი, ოქტაედრი და კუბი პითაგორას აღმოჩენილია, დოდეკაედრი და იკოსაედრი კი პლატონის თანამედროვე მეცნიერმა ტეეტეტმა აღმოაჩინა. მანვე აღწერა მათემატიკურად ხუთივე მრავალწახნაგა და დაამტკიცა რომ ბუნებაში წესიერი მრავალწახნაგა მხოლოდ ხუთია.

წესიერ მრავალწახნაგებს პლატონის სხეულებს უწოდებენ იმიტომ, რომ ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის სწავლებაში მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ითვლებოდა, რომ ტეტრაედრი – ცეცხლის, კუბი – მიწის, ოქტაედრი – ჰაერის, იკოსაედრი – წყლის, დოდეკაედრი კი სამყაროს სიმბოლოა.

**შენიშვნა:** მოსწავლეებისთვის არაა სავალდებულო მრავალწახნაგების სახელების დამახსოვრება

## აქტივობა:

მასწავლებელი დაურიგებს მოსწავლეებს მრავალწახნაგების თარგებს. მოსწავლეები გამოჭრიან თარგებს, გადაკეცავენ ნახაზის მიხედვით და ააწყობენ მრავალწახნაგებს. თარგების ყოველი გვერდი უნდა გადაიკეცოს ერთი მიმართულებით. თარგის დასაწებებლად გამოყოფილ ნაწილებს უნდა წაესვას წებო და შეიკრას ფიგურები.

მრავალწახნაგები უნდა გაკეთდეს თეთრი ქაღალდისგან რათა მომდევნო აქტივობაზე მოსწავლეებმა უკეთ დაინახონ ამ სხეულების მოცულობა და ფიგურების წახნაგებზე შუქ-ჩრდილის განაწილება.

მოსწავლეები გაინაწილებენ სამუშაოს, რათა დაამზადონ ბევრი ერთნაირი მრავალწახნაგა (განსაკუთრებით მოხერხებულებმა უნდა ითავონ შედარებით ძნელი თარგების გამოჭრა – მოსწავლეების ნაწილი გამოჭრის, ნაწილი გადაკეცავს, ნაწილი კი დააწებებს გამოჭრილ და გადაკეცილ თარგებს. სამუშაოს ასეთი გადანაწილების შედეგად უფრო მეტი და ხარისხიანი ფიგურების გაკეთება შეიძლება.

საბოლოოდ, მოსწავლეებს ექნებათ ბევრი ერთნაირი ფიგურა, რომლებითაც შეუძლიათ ააწყონ ახალი ფიგურები: მოსწავლეებმა უნდა ჩაატარონ ცდები – დაადონ ერთმანეთს სხვადასხვა ხერხით ერთნაირი, შემდეგ განსხვავებული მრავალწახნაგები და ნახონ, თუ როგორ ფორმებს მიიღებენ ისინი - მაგ. კუბებით კეთდება უფრო დიდი კუბი, ან პარალელეპიპედი; ნახონ რა მოხდება, თუ ერთმანეთს დაადებენ ორ ტეტრაედრს, სამს, ოთხს... ძალიან ლამაზი ფორმები მიიღება ოქტაედრებით, დოდეკაედრებით...

მოსწავლეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ერთმანეთში, და ფიგურები, რომელთა ფორმაც მოეწონებათ, დააწებონ ერთმანეთს და ააგონ სხვადასხვა საინტერესო კონსტრუქცია. შესაძლოა გაკეთდეს ერთი მთლიანი ნამუშევარი – ყველა მრავალწახნაგა ერთ დიდ ობიექტად შეიკრას.

(სხვა დროს, მოსწავლეებს შეუძლიათ გააფერადონ ან ფერადი ქაღალდით დაამზადონ მრავალწახნაგები, გაუკეთონ მათ ყუნწები და გააკეთონ საახალწლო მოსართავები).

დამზადებული ფიგურებიდან მასწავლებელი ამოარჩევს და შეინახავს მომდევნო გაკვეთილისთვის რამოდენიმე კუბს და რამოდენიმე ტეტრაედრს.

# შუქ-ჩრდილი და მოცულობა

## მიზანი:

ვასწავლოთ მოსწავლეებს შუქ-ჩრდილით მარტივი ფიგურების მოცულობის გადმოცემა

## შედეგი:

ს.გ. 5.1
ს.გ. 5.2.

## მასალა:

მრავალწახნაგების მოდელები – მოსწავლეების მიერ დამზადებული კუბები და ტეტრაედრები,
თეთრი ფურცლები რომლებზეც დაიდება ფიგურები,
სახატავი ფურცლები
უბრალო რბილი შავი ფანქრები.

# გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები დაიყოფიან ჯგუფებად.

ყოველ ჯგუფს წინ უდევს  პირველ აქტივობაზე დამზადებული, თეთრ ფურცელზე დალაგებული მრავალწახნაგები – კუბი და ტეტრაედრი.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მრავალწახნაგების მოდელებს და სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ თუ რომელი გვერდი არის ყველაზე მუქი, რომელია ყველაზე ღია და გამოთქვან აზრი, თუ რატომ არის ასე.

შემდეგ მოსწავლეები ასეთივე დაკვირვებას აწარმოებენ მათ წინ დალაგებულ ფიგურებზე – მათ შეუძლიათ ფიგურებს რამდენჯერმე შეუცვალონ ადგილი, დაატრიალონ, ასწიონ მაღლა, დახარონ, შეხედონ მარცხნიდან, მარჯვნიდან... დააკვირდნენ, თუ როგორ იცვლება განათება ფიგურების წახნაგებზე, როგორ იცვლება ფიგურებიდან დაცემული ჩრდილის ფორმა და სიმუქე – ფიგურის ძირთან და ფიგურის მოშორებით.

## აქტივობა:

მოსწავლეები მოხერხებულად დაილაგებენ მაგიდაზე მრავალწახნაგებს და უბრალო ფანქრით დახატავენ მარტივ (ან კუბი ან ტეტრაედრი) მოცულობით სხეულებს – ჯერ მკრთალად დახატავენ მათ კონტურს, განსაზღვრავენ, რომელი მხარეა განათებული, საით ეცემა ჩრდილი. შემდეგ კი დაშტრიხავენ ჩრდილიან წახნაგებს. მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს, თუ როგორ დაშტრიხონ ფიგურები: განათებული გვერდი დატოვონ თეთრად, ყველაზე მუქი გვერდი დაშტრიხონ რამდენიმე, ერთი მიმართულების ან ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულების შტრიხების 2-4 ფენით,  უფრო ღია წახნაგი – შედარებით ნაკლები სიმუქის შტრიხებით... ასევე დაშტრიხონ დაცემული ჩრდილიც – დააკვირდნენ მის ფორმას, მიმართულებას და ჩრდილის სიმუქის ინტენსივობას.

# პომპეის მოზაიკა

## გაკვეთილი I

### მიზანი:

მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობასთან – პომპეის ხელოვნებასთან გაცნობა
მოზაიკის ტექნიკასთან გაცნობა;
მშვენიერების განცდის უნარის განვითარება;
ხელოვნების ნიმუშების აღქმის უნარის ჩამოყალიბება.

### შედეგი:

ს.გ.V.3. – 1, 3.
ს.გ.V.5. – 3, 4

### მასალა:

კროსვორდის დასაქსეროქსებელი ნიმუში (იხ. დანართი)

### ვიზუალური მასალა:

პომპეის ანიმალისტური მოზაიკები, ბმული: http://www.mathcats.com/explore/tessellations/tesspeople.html

### გაკვეთილის მსვლელობა:

სახელმძღვანელოს ტექსტის კითხვის შემდეგ მასწავლებელი დაყოფს კლასს ჯგუფებად, ურიგებს ჯგუფებს ცარიელი კროსვორდის ქსეროასლებს და მოსწავლეები ავსებენ კროსვორდს. მასწავლებელი გამოავლენს გამარ-ჯვებულ ჯგუფს, რომელმაც სწორად და უფრო სწრაფად შეავსო კროსვორდი.

შემდეგ მასწავლებელი ეტყვის კლასს, რა მასალა დასჭირდებათ შემდეგ გაკვეთილზე, რომ წინასწარ დაიჭირონ თადარიგი.

### კროსვორდის სწორი პასუხები:

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | ა | რ | ე | ნ | ა | | | | | |
| 2 | პ | ა | ლ | ე | ს | ტ | რ | ა | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | ქ | ვ | ა | | | | | | | |
| 4 | | | პ | ო | მ | პ | ე | ი | | | | | | | | |
| 5 | | | ნ | ე | ა | პ | ო | ლ | ი | | | | | | | |
| 6 | | ჰ | ე | რ | კ | უ | ლ | ა | ნ | უ | მ | ი | | | | |
| 7 | | | | | | მ | ო | ზ | ა | ი | კ | ა | | | | |
| 8 | | | | | | | გ | ლ | ა | დ | ი | ა | ტ | ო | რ | ი |
| 9 | | | ს | ტ | ა | ბ | ი | ა | | | | | | | | |
| 10 | | | | ვ | ი | ლ | ა | | | | | | | | | |

### აქტივობა:

მოსწავლეები ავსებენ კროსვორდს. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც სწორად და უფრო სწრაფად შეავსებს ყველა გრაფას.

# მოზაიკის სახელოსნო

## გაკვეთილი II

### მიზანი:

ხელოვნების ნამუშევარში არატრადიციული მასალების შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარება
მარტივი მოზაიკური კომპოზიციის შექმნის უნარის განვითარება
ფანტაზიისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება.

### შედეგი:

**ს.გ.V.2. – 1, 2, 3, 4, 5.**

### მასალა:

მუყაო, თხევადი წებო, სხვადასხვა ფერის მარცვლეული (სიმინდი, მწვანე და ნარინჯისფერი მუხუდო, სხვადასხვა ჯიშის ლობიო, ბრინჯი და წიწიბურა. ძაღლის გამოსახულებას ასევე, ძალიან უხდება ჩაის ხმელი ფოთლები – ბეწვი ფაქტურული გამოდის), პურის ფქვილი, სუფრის მარილი, წყალი, ჯამი.

### ვიზუალური მასალა:

მოსწავლეების მოზაიკური ნამუშევრები

## გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აკონტროლებს მოსწავლეებს და ეხმარება მათ მოზაიკის შექმნის პროცესში.

ინსტრუქცია:

- ჯამში ჩაყარეთ 1/3 ჩაის ჭიქა ფქვილი, 1/3 მარილი და 1/3 წყალი ანუ თანაბარი რაოდენობით (1 ჭიქა ერთ მომცრო ფირფიტას ყოფნის).
- მოზილეთ ცომი და მუყაოს ნაჭერზე გააბრტყელეთ ნეკის სისქის ფირფიტად.
- ამოკაწრეთ ფირფიტაზე რაიმე მარტივი, სილუეტური გამოსახულების კონტურები. ერიდეთ წვრილმან დეტალებს.
- დაასხით ფირფიტას ცოტა თხევადი წებო და ფუნჯით თანაბრად გაანაწილეთ მთელ ზედაპირზე.
- ცომში ჩაწნეხით (თითის დაჭერით) მჭიდროდ ჩასვით ერთი ფერის მარცვლები, ხოლო გამოსახულების სილუეტის არეში – განსხვავებული ფერისა. თუ ფონი და სილუეტი ერთი და იგივე ფერისა გსურთ, მაშინ გამოსახულებას სხვა, კონტრასტული ფერის მარცვლების კონტური გაუკეთეთ. ლობიოს მარცვლები სხვებზე უფრო მოზრდილია და მათი განლება მოზაიკაზე გრძელ მონასმს ემსგავსება. მონასმის მიმართულებას კი, საგნის ფორმის გამოვლენაში, მნიშვნელობა აქვს (გაიხსენეთ ვარსკვლავების ნათების აღმნიშვნელი მონასმები ვან გოგის „ვარსკვლავებიან ღამეში – ისინი მანათობლის გარშემო წრიულად მოძრაობის შთაბეჭდილებას ქმნის). ამიტომ, ყურადღება მიაქციეთ იმას, რა მიმართულებით დებთ ლობიოს მარცვალს.
- ნაპირებში ჩაწნეხეთ განსხვავებული მარცვლები. ეს – ჩარჩო იქნება.
- გახვრიტეთ ზედა კუთხეებში.

- 2-5 დღის განმავლობაში (დამოკიდებულია ტემპერატურაზე) დააცადეთ გაშრობა და შემდეგ ზემოდან გადაუსვით უფერო ლაქი.
- მოაშორეთ ნამუშევარს მუყაოს ფენა.
- გაუყარეთ ნახვრეტში თასმა და დაკიდეთ კედელზე.
- შემდეგი გაკვეთილისთვის წინასწარ მოიფიქრეთ, რას ეტყვით დამკვეთს, რატომ არის თქვენი ნამუშევარი კარგი? ეცადეთ, თქვენი ნახელავით მოხიბლოთ, დაინტერესოთ. ამას წარდგენა ანუ პრეზენტაცია ჰქვია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საკუთარის წარდგენისას სხვის ნამუშევრებზე აუგი არ თქვათ. მხოლოდ თქვენი მოზაიკის კარგ მხარეებზე ისაუბრეთ. თუ თქვენს ნახელავს რაიმე წუნი აქვს, უთხარით დამკვეთს, რაში მდგომარეობს ნაკლი (ვთქვათ, მოზაიკაზე ბუნდოვნად ჩანს გამოსახულება, არააკურატულია, მოზაიკა ამოცვივდა ან რაიმე მსგავსი) და შეკვეთის შემთხვევაში როგორ შეძლებთ ამის გამოსწორებას. პრეზენტაციისთვის 1-2 წუთი გეძლევათ. თქვენი სათქმელი ამ დროში უნდა ჩაატიოთ. ამიტომ, დაინიშნეთ დრო და წინასწარ სახლში ივარჯიშეთ სარკის წინ ან ოჯახის წევრებთან. ნუ დაანაგვიანებთ სათქმელს ისეთი „უსაქმური“ სიტყვებით, როგორიცაა „ანუ“, „ხოდა“, „ისა, რა ქვია“ და ა.შ. წარმატებას გისურვებთ!

### აქტივობა:

მოსწავლეები, ინსტრუქციის მიხედვით, აკეთებენ მოზაიკას.

## „მოზაიკოსობანა“

## გაკვეთილი III

### მიზანი:

- ნამუშევარზე საუბრისას ტერმინების ადეკვატურად გამოყენების უნარის განვითარება;
- საკუთარი ნამუშევრის ობიექტურად შეფასების უნარის განვითარება.
- წარდგენის უნარის განვითარება.

### შედეგი:

**ს.გ.V.4. – 1, 2, 3, 4, 5.**

### მასალა:

მოსწავლეების მიერ წინა გაკვეთილზე შექმნილი მოზაიკური ნამუშევრები.

## გაკვეთილის მსვლელობა:

- კაკ-კუკ!
- ვინ არის?
- დამკვეთი.
- რა გნებავთ?

- მოზაიკა.
- რა გამოსახულებით?
- მაჩვენეთ, რა შეგიძლიათ...

მასწავლებელი წერს მოცემული შემაჯამებელი დავალების კომენტარებს შემოქმედებითობის, ინსტრუქციის შესრულების, ჩართულობის და პრეზენტაციის უნარების შესახებ (იხ. დანართი)

## აქტივობა:

მოსწავლეები ატარებენ პრეზენტაციას.

# კაკაბაძის ნავები

## მიზანი:

განზოგადების უნარის განვითარება,
მარინისტულ ჟანრთან გაცნობა,
ქართულ ხელოვნებასთან გაცნობა (დავით კაკაბაძის შემოქმედება)
ბუნებრივი ფორმებით კომპოზიციის შექმნის უნარის განვითარება.

## შედეგი:

ს.გ.V.1. – 1, 5, 6, 10, 11

## ასათვისებელი ტერმინები:

მარინისტული პეიზაჟი
განზოგადება
აბსტრაქცია
სილუეტი

## მასალა:

სახატავი ფურცელი,
უბრალო ფანქარი,
აკვარელის საღებავები,
ფუნჯი,
პალიტრა, წყალი,
წინსაფარი, სამკლავურები.

## ვიზუალური მასალა:

დავით კაკაბაძის იალქნიანი ნავები
ჟან არპის აბსტრაქციები

# გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ ილუსტრაციებს და გამოთქვან აზრი, დინამიკურია თუ სტატიკური ეს კომპოზიციები, რა ქმნის ამ შთაბეჭდილებას (ტალღოვანი, ღრუბლებისა და იალქნების უსწორმასწორო ფორმები, ტალღების აცდენილი მიმართულებები, მსხვილი და მომცრო ფორმების მონაცვლეობა).

მოსწავლეები შეადარებენ დავით კაკაბაძისა და ჟან არპის კომპოზიციებს და იმსჯელებენ მათ სხვაობასა და განსხვავებაზე. მასწავლებელი განმარტავს, რომ ჟან არპის ნამუშევრები სუფთა აბსტრაქციაა, ანუ უსაგნო ხელოვნება, რომელზეც რაიმე საგანი კი არ არის გამოსახული, არამედ უბრალოდ ფორმები და ფერები.

## აქტივობა:

მოსწავლეები წარმოსახვით ხატავენ მარინისტულ პეიზაჟს დავით კაკაბაძის სტილში.

## შემაჯამებელი კითხვები:

- რას ნიშნავს მარინისტული პეიზაჟი?
- რას ნიშნავს განზოგადება? აბსტრაქცია?
- რას ნიშნავს სილუეტი?
- რა სხვაობა ან მსგავსებაა დავით კაკაბაძის მარინისტულ სურათებს შორის?
- შეიძლება თუ არა, დავით კაკაბაძის სურათები (II და III რიგი მოსწავლის სახელმძღვანელოში) აბსტრაქტულ ნამუშევრებს მივაკუთვნოთ?

# თითებით ხატვა

## მიზანი:

არატრადიციული მხატვრული ხერხების ათვისება

მსოფლიოს შედევრებთან, კლოდ მონეს შემოქმედებასთან და იმპრესიონიზმის ტექნიკის ერთ-ერთ მახასიათებელთან გაცნობა.

## შედეგი:

ს.გ.V.2. – 1, 2, 5.

## ასათვისებელი ტერმინები:

მონასმი

## მასალა:

სახატავი ფურცელი, გუაშის საღებავები, ხელსაწმენდი, წინსაფარი, სამკლაურები.

## ვიზუალური მასალა:

კლოდ მონე, იაპონური ხიდი ჟივერნის ბაღში

# გაკვეთილის მსვლელობა:

ტექსტის წაკითხვის პარალელურად, მასწავლებელი ათვალიერებინებს მოსწავლეებს ილუსტრაციებს – ჯერ ჟივერნის ფოტოს, შემდეგ ამავე კადრის ფერწერულ ნამუშევრებს.

- წინასწარ რომ არ გენახათ იაპონური ხიდის ფოტო და მონეს პეიზაჟი, გვიანდელი ნამუშევრებით მიხვდებოდით, რა არის გამოსახული? (ვერ მიხვდებოდნენ). ახლა, როცა უკვე იცით მონესეული, ჟივერნის პირველი პეიზაჟები, ამ ორ მრუდში იოლად ამოიცნობთ იაპონურ ხიდსა და მის მოაჯირებს.

მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეათანხმოს მოსწავლეებთან, რომ ეს სპეციფიური აქტივობაა და ქცევის სპეციფიურ წესებს მოითხოვს. მასწავლებელმა უნდა ჰკითოს მოსწავლეებს, რა მოხდება, მათ რომ ტანსაცმელი ან ერთმანეთი დასვარონ (განწყობა გაუფუჭდებათ, მშობლებს ეწყინებათ...). ამიტომ, ხატვის დროს ერთმანეთისგან ცოტა მოშორებით დასხდნენ და ხელები არ იქნიონ.

## აქტივობა:

მოსწავლეები ხატავენ პეიზაჟს თითებით.

# მარკ შაგალის სამყარო

## I გაკვეთილი

### მიზანი:

ხელოვნების ნიმუშის აღქმის უნარის ჩამოყალიბება;
ხელოვნების ნაწამოების შემოქმედებითი ინტერპრეტაციის უნარის განვითარება;
ხელოვნების შედევრებთან (მარკ შაგალის შემოქმედებასთან) გაცნობა;
აპლიკაციის ტექნიკით მუშაობის, ჩანაფიქრის, გრძნობებისა და შთაბეჭდილებების ასახვის უნარის გაღრმავება.

### შედეგი:

**ს.გ.V.1. – 5, 6, 10, 11, 12**
**ს.გ.V.2. – 1,**
**ს.გ.V.4. – 1, 2, 3, 5**
**ს.გ.V.5. – 1**

### მასალა:

თითო მოსწავლეზე ორი თეთრი ფურცელი, უბრალო ფანქარი, ფერადი ფანქრები, ლურჯი და თეთრი ფერის გუაშის საღებავი, პალიტრა, ფუნჯი, მაკრატელი, წებო, წინსაფარი, სამკლავურები.

### ვიზუალური მასალა:

მარკ შაგალისა და მოსწავლეების ნამუშევრები

## გაკვეთილის მსვლელობა:

- გაქვთ საყვარელი ადგილი, ნივთი? რა გენატრებათ ხოლმე ყველაზე ხშირად – ადამიანი, რომელიც გიყვართ და იშვიათად ნახულობთ; ადგილი, სადაც ბედნიერად გრძნობდით თავს და იქ ყოფნა გენატრებათ, შინაური ცხოველი, რომელიც ადრე გყავდათ და ხშირად იხსენებთ; ნივთი, რომელსაც სათუთად ინახავთ, რადგან ბედნიერ წუთებს გაგონებთ (წარმოიდგინეთ, რომ სადღაც შორს გიწევთ დიდი ხნით გადასახლება, რომელ საყვარელ ნივთს წაიღებდით თან)?

მოსწავლეები ასახელებენ ვარიანტებს. მასწავლებელი ჩამოწერს მათ დაფაზე.

- დააკვირდით, რა გამოსახულებები მეორდება მარკ შაგალის ფერწერულ ტილოებზე – შეყვარებული წყვილი, მევიოლინე, სოფლის სახლები, ეიფელის კოშკი და ტრიუმფალური თაღი, თაიგული, მამალი, ძროხა და ცხენი, მზე და მთვარე.

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს სახელმძღვანელოში. მასწავლებელი სთხოვს, ტექსტში იპოვონ პასუხი კითხვაზე, შაგალის ბიოგრაფიის რომელ ეტაპებს უკავშირდება მისი ნამუშევრების განმეორებადი გამოსახულებები (შაგალის „სიყვარულს“, ვიტებსკის პროვინციულ ხედებს, ებრაულ კულტურას, პარიზში ცხოვრებას). მოსწავლეები ეცნობიან ინსტრუქციას.

– ამ ნამუშევარში თქვენ მარკ შაგალის ნახატების ასლები კი არ უნდა შექმნათ, არამედ თქვენი საკუთარი თვალით დანახული ბედნიერება, სიყვარული და მონატრება წარმოადგინოთ.

შემდეგ მოსწავლეები იწყებენ დავალების შესრულებას.

## სამუშაოს თანმიმდევრობა:

- დადეთ პალიტრაზე ჯერ თეთრი, შემდეგ ლურჯი ფერის გუაშის საღებავები. ყურადღება მიაქციეთ ამ თანმიმდევრობას, რადგან მნიშვნელოვანია, რომ ლურჯი ფერის საღებავიანი ფუნჯი აღარ ჩადოთ თეთრი საღებავის ქილაში. თეთრი თუ დაისვარა, ის შემდეგ სხვა ფერების გასაღიავებლად აღარ გამოგადგებათ.
- თეთრი და ლურჯი ფერის გუაშის საღებავის შეზავებით მოამზადეთ ცისფერი ფერი.
- დაფერეთ სახატავი ფურცელი ცისფერი საღებავით. ნუ შეეცდებით, რომ ის ერთგვაროვნად დაფეროთ. იყოს ალაგ ღია, ალაგ – მუქი. ასე ცა უფრო ცოცხალი, მოუსვენარი და მღელვარე გამოჩნდება.
- გადადეთ ცისფერი ფონისთვის გამზადებული ქაღალდი გასაშრობად.
- ცალკე ფურცელზე, უბრალო ფანქრით დახატეთ რამდენიმე გამოსახულება შაგალის საყვარელი რეპერ-ტუარიდან: შეყვარებული წყვილი, მევიოლინე, სოფლის სახლები, ეიფელის კოშკი და ტრიუმფალური თაღი, თაიგული, მამალი, ძროხა და ცხენი, მზე და მთვარე. ასევე, შეგიძლიათ დახატოთ ის გამოსახულებები, რაც თქვენთვის სიყვარულთან და მონატრებასთან ასოცირდება.
- გააფერადეთ ეს გამოსახულებები ფერადი ფანქრებით.
- გაფერადებული გამოსახულებები გამოჭერით მაკრატლით.
- ამასობაში თქვენი ფონი უკვე მშრალია. დაალაგეთ მასზე გამოჭრილი გამოსახულებები. ნუ ეცდებით, რომ ისინი ფეხებით დაბლა და თავით მაღლა დააწყოთ. პირიქით, გაიხსენეთ, შაგალთან ისინი ხშირად, თავდაყირა ან გვერდულად არიან გამოსახულნი, თავისუფალი ფრენის მდგომარეობაში.
- წაუსვით წებო ფიგურების უკანა მხარეს და დააწებეთ ისინი მათთვის განკუთვნილ ადგილებზე.
- წარუდგინეთ ნამუშევრები თანაკლასელებს, მოაწყეთ მარკ შაგალის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ერთი სტენდი, სადაც მარკ შაგალის სტილში შექმნილი ნახატების გვერდით საკუთარ ნამუშევრებსაც გამოფენთ.

## აქტივობა:

მოსწავლეები ინსტრუქციის მიხედვით ქმნიან ნამუშევრებს მარკ შაგალის სტილში (ინტერპრეტაციებს).

### II გაკვეთილი

### მიზანი:

საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისება და გამოყენების უნარის განვითარება.

### შედეგი:

**ს.გ.V.2. 1, 6**

### მასალა:

კომპიუტერი – პროგრამა Ms Paint და ინტერნეტი: GIF Maker http://gifmaker.me/
ან: ანიმაციის პროგრამა: http://www.abcya.com/animate.htm

### ვიზუალური მასალა:

## გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი წინასწარ მოსინჯავს რეკომენდებულ, ანიმაციის ონლაინ პროგრამაში მუშაობას, გაკვეთილზე უხსნის მოსწავლეებს და ავალებს, შექმნან საკუთარი გიფ-ანიმაცია.

იყო დრო, როდესაც მულტიპლიკატორები ნახატი ფილმის სათითაოდ ყველა კადრს ცალკე ხატავდნენ. დღეს ამას ციფრული პროგრამები წამში უმკლავდებიან.

მარკ შაგალის პერსონაჟები ცაში თავისუფალი ნავარდის შთაბეჭდილებას ტოვებენ. დღესშეგიძლიათ ეს შთაბეჭდილება ანიმაციით გააცოცხლოთ, მის სტილში შესრულებული თქვენივე ნახატებით. ამისთვის თქვენი ნამუშევრის ელექტრონული ვერსია დაგჭირდებათ.

კომპიუტერის სახატავ პროგრამას საკმაოდ ფართო შესაძლებლობები აქვს. ნახატზე გამოსახულებას შეგიძლიათ ადგილი შეუცვალოთ, შეატრიალოთ, თავდაყირა დაკიდოთ, გაადიდოთ და დააპატარაოთ. გადიდებისას ფიგურა ზომაში გაიზრდება, თითქოს უფრო მოგიახლოვდებათ, შემცირებისას კი თითქოს სიღრმეში, შორს გაფრინდება. თუ ამ პროგრამის მენიუს გამოყენებით თქვენი რომელიმე ნახატის რამდენიმე განსხვავებულ ვარიანტს დაამუშავებთ, ხოლო შემდეგ ინტერნეტის მეშვეობით მათ ანიმირებული სურათის, ე.წ. გიფის შემქმნელ პროგრამაში ატვირთავთ, გამოვა მოძრავი, სახალისო ნამუშევარი.

**ინსტრუმენტების ვერტიკალური პანელი:**




**ინსტრუმენტების ჰორიზონტალური პანელი:**




**რედაქტორი:**




**გამოსახულებაში ცვლილებების შეტანა:**



## ინსტრუქცია:

- სახატავ პროგრამაში გახსენით თქვენი ნახატი: File (საქაღალდე) – Open (გახსნა) – მოძებნეთ ნახატი მისი დასახელების მიხედვით და დააწკაპუნეთ ზედ კურსორი. სახატავ არეზე გაჩნდება თქვენი ნახატი.
- ვერტიკალურ პანელზე ზედა მარცხენა კუთხეში მდებარეობს უსწორმასწორო ფორმის მონიშვნის სიმბოლო. კურსორის დაწკაპუნებით აირჩიეთ ეს ინსტრუმენტი. მიიტანეთ კურსორი ნახატის სასურველ გამოსახულებასთან და თითის აუღებლად შემოავლეთ მის გარშემო ხაზი. გაჩნდება წყვეტილი ხაზით აღნიშნული მართკუთხედი.
- დააწკაპუნეთ ფიგურაზე და თაგვიდან თითის აუღებლად გადაიტანეთ გამოსახულება სასურველ ადგილზე.
- ან: ვერტიკალურ პანელზე მარჯვენა ზედა კუთხეში მდებარეობს სწორკუთხა ფორმის მონიშვნის სიმბოლო. მასზე კურსორის დაწკაპუნებით აირჩიეთ ეს ინსტრუმენტი. მიიტანეთ კურსორი სასურველ გამოსახულებაზე. დააკვირდით, სად არის გამოსახულების ყველაზე მაღალი და ყველაზე კიდურა წერტილები და დააწკაპუნეთ მათ გადაკვეთაზე. თაგვიდან თითის აუღებლად მონიშნეთ მის გარშემო წყვეტილი მართკუთხედი ისე, რომ გამოსახულება არსად მოიჭრას.დააწკაპუნეთ ფიგურაზე და თაგვიდან თითის აუღებლად გადაიტანეთ გამოსახულება სასურველ ადგილზე.
- თუ გამოსახულების შემცირება ან გადიდება გსურთ, ზემოთ აღწერილი წესით მონიშნეთ იგი. წყვეტილი ხაზის კუთხესთან მიიტანეთ კურსორი. გაჩნდება ირიბი ისარი. დააწკაპუნეთ ისარზე და თაგვიდან თითის აუღებლად შეამცირეთ ან გაზარდეთ გამოსახულების ზომა.
- თუ გსურთ ნახატის რომელიმე გამოსახულების შეტრიალება ან სარკისებურად მობრუნება, დააწკაპუნეთ ჰორიზონტალური პანელის Image (გამოსახულება) სიმბოლოზე. გაიხსნება დამატებითი იარაღების ჩამონათვალი. აირჩიეთ სასურველი – Flip/Rotate (არჩეულის სარკისებურად მობრუნება/გარკვეული კუთხით შეტრიალება) ან Stretch/Skew (არჩეულის გაწელვა/შეკუმშვა) და დააწკაპუნეთ სასურველ ინსტრუმენტზე. სარკისებურად მობრუნება შეიძლება ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად ან გარკვეული გრადუსის მქონე კუთხით (900, 1800, 2700)
- ფიგურების ადგილმდებარეობის შეცვლისას, მის საწყის ადგილზე, ნახატის ფონზე რჩება თეთრი ლაქა. ლაქის შესავსებად, ვერტიკალური პანელის ზედა მარჯვენა კუთხეში მდებარე ოთხკუთხა მონიშვნის ინსტრუმენტით, ფონზე მონიშნეთ გამოსახულებებისგან თავისუფალი ფრაგმენტი. ჰორიზონტალური პანელის რედაქტირების (Edit) სარკმელზე დაწკაპუნებისას გაიხსნება ინსტრუმენტების ჩამონათვალი. აირჩიეთ ასლის შექმნა (Copy). შემდეგ დააწკაპუნეთ ამავე ჩამონათვალის ჩასმის ინსტრუმენტზე (Paste). სასურათე არეზე გაჩნდება ფონის ფრაგმენტის ასლი, შემოსაზღვრული წყვეტილი მართკუთხედით. დააწკაპუნეთ მასზე და თითის აუღებლად, გადაიტანეთ ცარიელ ადგილზე.
- როდესაც GIF-ისთვის მეორე კადრზე მუშაობას დაასრულებთ, დააწკაპუნეთ ჰორიზონტალური პანელის მარცხენა კიდურა სარკმელზე – საქაღალდე (File). გაიხსნება ახალი ფანჯარა ინსტუმენტების ჩამონათვალით. დააწკაპუნეთ ინსტრუმენტზე შავე ას (შეინახეთ, როგორც...), აირჩიეთ შენახვის აადგილი (საქაღალდე) და შეუცვალეთ სახელწოდება. ვთქვათ, თუ პირველს ერქვა XXX, მეორეს დაარქვით XXX1.
- ამავე წესით შექმენით სხვა, 2-3 ვარიანტი და დაარქვით XXX2, XXX3 და ა.შ.
- როდესაც ვერსიებზე მუშაობა დასრულდება, ინტერნეტში გახსენით http://gifmaker.me/
- ატვირთეთ თქვენს მიერ შექმნილი ვერსიები (Upload Images).
- დააწკაპუნეთ ბრძანებაზე Create Gif animation და შემდეგ– Download Gif Animation-ზე.
- ჩამოტვირთული ანიმაცია გაუგზავნეთ მასწავლებელს ელექტრონული ფოსტით.

## აქტივობა:

მოსწავლეები ამუშავებენ საკუთარ ნახატებს (ვთქვათ, მარკ შაგალის მიხედვით დახატულს, რომ შექმნან ამ გამოსახულებების ცაში ფრენის შთაბეჭდილება) Ms Paint-ის პროგრამაში და ატვირთავენ მათ ინტერნეტის რეკომენდებულ პროგრამაში, მზა გიფს ჩამოტვირთავენ და გაუგზავნიან მასწავლებელს ელექტრონული ფოსტით.

# მონოტიპია

## მიზანი:

- ანაბეჭდის ტექნიკისთვის მასალების რეპერტუარის გაფართოვება;
- აკვარელის შესაძლებლობებთან გაცნობა;
- ასლის გადაღების ერთ-ერთ ტექნიკასთან გაცნობა.

## შედეგი:

ს.გ.V.2. – 1, 2. 5.

## ასათვისებელი ტერმინები:

მონოტიპიამასალა:

სახატავი ფურცელი, ნახატის რეპროდუქცია, აკვარელის საღებავები, ფუნჯი, წყალი, პოლიეთილენის ფაილი.

## ვიზუალური მასალა:

რაულ დიუფი

რაულ დიუფის აკვარელური ნატურმორტების გალერეა:

# გაკვეთილის მსვლელობა:

მონოტიპია, ერთადერთი, უნიკალური ანაბეჭდის შექმნის ტექნიკაა.

გლუვ ზედაპირზე, წყლის საღებავებით იხატება სურათი. მისი ანაბეჭდი, გრავიურისგან განსხვავებით, ყოველთ-ვის ერთადერთია და განუმეორებელი, რადგან ქაღალდი შეიწოვს საღებავს და მეორე ანაბეჭდის გასაკეთებლად ახალი ნახატი უნდა დაიხატოს.

- რატომ შეიძლება გრავიურის ტექნიკით ბევრი ერთნაირი ანაბეჭდის გაკეთება?

მონოტიპიის გასაკეთებლად, გლუვი ზედაპირის მაგივრობას ცელოფანი გაგვიწევს. დააფარეთ ცელოფანი თაიგულის ილუსტრაციას, საღებავებით გადაიხატეთ ცელოფანზე ნახატი, დაადეთ მას სუფთა ფურცელი და გაა-კეთეთ ანაბეჭდი. ამავე ხერხით, სახლში გააკეთეთ სხვა მხატვრების ნამუშევრების ანაბეჭდები. ( დავით კაკაბაძის ბრეტანის აკვარელური პეიზაჟები, უტაგავა ჰიროშიგეს ყვავილები და სხვ.)

## აქტივობა:

მოსწავლეები აკეთებენ ნახატს აკვარელის ანაბეჭდით.

## შემაჯამებელი კითხვები:

- რა სირთულეებს წააწყდით ამ ტექნიკით მუშაობისას?
- როგორი ნახატების ასლის ასაღებად ივარგებს ეს ტექნიკა და როგორის – არა? რატომ?
- რა გამოგივიდათ კარგად? რას გააკეთებდით განსხვავებულად, ხელახლა რომ გიწევდეთ ამ ტექნიკით მუშაობა?

# „სიცოცხლის ხე“

2 გაკვეთილი

## მიზანი:

ახალი ტერმინების ათვისება და უკვე ნაცნობი ტერმინების გახსენება;
გუსტავ კლიმტის შემოქმედებასთან გაცნობა;
აპლიკაციის ტექნიკით მუშაობის უნარის გაღრმავება

## შედეგი:

**ს.გ.V.1. – 2, 5, 6, 9.**
**ს.გ.V.2. – 1, 2, 3.**

## ასათვისებელი ტერმინები:

სიმბოლო, დეკორატიული, ორნამენტი, მოზაიკა, აპლიკაცია.

## მასალა:

თითო მოსწავლეზე თითო მშვიდი, არაჭყეტელა ყვითელი ქაღალდი და თითო ღია ნარინჯისფერი ქაღალდი (თუ ფერადი ქაღალდები არ გაქვთ, მოსწავლეებს შეუძლიათ წინასწარ, სახლში, გუაშის საღებავებით მოამზადონ შესაბამისი ელფერი, რათა გაკვეთილზე უკვე გამშრალი ფურცლები ქონდეთ. ასე იქცეოდა ანრი მატისი დეკუპაჟის ტექნიკით მუშაობისას);
წებო, მაკრატელი, მსხვილი შავი მარკერი, ფლომასტერები, კორექტორი, ოჯახის წევრების ფოტოები.

## ვიზუალური მასალა:

გუსტავ კლიმტის „სიცოცხლის ხე“, სქემები ეტაპობრივი მუშაობისთვის.

# გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რა არის მოზაიკა. თუ ბავშვებმა სწორად ვერ უპასუხეს, მასწავლებელი სთხოვს შეახსენებს, რომ მოზაიკა არის დაფერილი კენჭებით ან ფერადი მინის ნამსხვრევებით აწყობილი გამოსახულება. შემდეგ ეკითხება, უნახავთ თუ არა სადმე მოზაიკა, სად, და რა იყო ზედ გამოსახული.

მასწავლებელი აჩვენებს ბიზანტიურ მოზაიკის რამდენიმე ნიმუშს (ელექტრონული რესურსებიდან). ჩვენებისას მასწავლებელი გაამახვილებს ყურადღებას ოქროსფერი კენჭების ლიცლიცზე, ბზინვარებაზე, შუქ-ჩრდილის თამაშზე, ორნამენტების სიუხვეზე, რაც სადღესასწაულო იერს აძლევს ბიზანტიურ მოზაიკას.

შემდეგ აცნობს მათ ინსტრუქციას, რის მიხედვითაც ამავე გაკვეთილზე იწყებენ მუშაობას (ხატავენ ხეს) და შემდეგ გაკვეთილზე ასრულებენ აპლიკაციის ტექნიკით.

## სამუშაოს თანმიმდევრობა:

- ღია, მშვიდი ტონის ყვითელ ქაღალდზე უბრალო ფანქრით დახატეთ სახელმძღვანელოში მოცემული სქემის მსგავსი ხე, რომლის ტოტები სპირალურად ანუ ზამბარისებურად იქნება დახვეული. როცა ჩათვლით, რომ ტოტები ლამაზად განაწილდა და ნახატი დასრულდა, შემოავლეთ ხაზებს მსხვილი შავი მარკერი.

- დაჭერით ღია ნარინჯისფერი ქაღალდი ვიწრო ზოლებად – ხის ტანისთვის უფრო სქელ ზოლად (ცერის სისქის), ხოლო ტოტებისთვის უფრო წვრილ (ნეკის სისქის) ზოლებად.
- ეს ზოლები მოკლე, ფრჩხილისოდენა ნაჭრებად დააქუცმაცეთ.
- ფონისთვის განკუთვნილ ქაღალდზე, ხის ტანის გამოსახულების გაყოლებაზე, წაუსვით წებო და შავი მარკერით დახატულ კონტურულ ხაზებს შორის დააკარით სქელი ზოლებისგან დაჭრილი მოკლე ნაკუწები ხის ტანს.
- ფონისთვის განკუთვნილ ქაღალდზე, ხის ტოტების გამოსახულების გაყოლებაზე წაუსვით წებო და დააკარით წვრილი ზოლებისგან დაჭრილი მოკლე ნაკუწები ხის ტოტებს, შავი მარკერით დახატულ კონტურულ ხაზებს შორის. ტოტების კენწეროებისთვის განკუთვნილ ნაკუწებს მაკრატლით წააჭერით გვერდები, რომ წაწვეტებული ფორმა მისცეთ.
- ზემოთ მოცემული სქემების მიხედვით, ალაგ-ალაგ ფლომასტერებით მიახატეთ ორნამენტი. თეთრი დეტალებისთვის შეგიძლიათ კორექტორი გამოიყენოთ.
- ამოჭერით ფოტოებიდან ოჯახის წევრების თავები. ერთ მხარეს დედის და მისი მშობლების სურათები უნდა დაალაგოთ, ხოლო მეორე მხარეს – მამის. ზემოთ შემოთავაზებული სქემის მსგავსად, განსაზღვრეთ მათთვის კუთვნილი ადგილები ხის ტოტებზე ისე, რომ ხვეულები არ დაიფაროს. ეს ხომ ნამუშევრის მნიშვნელოვანი დეკორატიული ელემენტია!
- დააწებეთ ფოტოები მათთვის შერჩეულ ტოტებზე.

## აქტივობა:

მოსწავლეები ფერადი ქაღალდებით აპლიკაციის ტექნიკით აკეთებენ „საგვარეულო ხეს“.

# ბრეიგელის „ანდაზები“

## მიზანი:

ხელოვნების ნაწარმოების კონტექსტში განხილვისა და ცხოვრებასთან დაკავშირების უნარების განვითარება
მსოფლიოს შედევრებთან (პიტერ ბრეიგელის „ხალხურ ანდაზებთან“) გაცნობა
საკუთარი გამოცდილების ასახვის უნარის განვითარება
ხელოვნების მეშვეობით მოვლენებზე რეაგირების უნარის განვითარება;
საკუთარი აზრისა და დამოკიდებულების დაფიქსირების უნარების განვითარება.

## შედეგი:

**ს.გ.V.1. – 5, 6, 7, 11.**
**ს.გ.V.4. – 2, 3, 4, 5.**
**ს.გ.V.5. – 4, 5.**

## ასათვისებელი ტერმინები:

ფრაგმენტი

## მასალა:

სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები.

## ვიზუალური მასალა:

პიტერ ბრეიგელის „ნიდერლანდური ანდაზები“ და მისი რამდენიმე ფრაგმენტი.

# გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეების მიერ ტექსტის წაკითხვის დასრულებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სურათს.

„ძუნწი ქადას სახურავზე აცხობდაო“, „უგნური პირველი ისრის დასაბრუნებლად მეორეს ისროდაო“, „ქალი ეშმაკსაც გაკოჭავსო“, „ცალი ხელით წყალი მიაქვს, მეორეთი ცეცხლიო“, „გინდაც, თავი კედელს ურტყიო“, „ერთი ცხვარს პარსავს, მეორე კი გოჭსაო“, „მელა და წერო ერთად სადილობდნენო“, „მთელ ქვეყანას ცერა თითზე აბზრიალებსო“, „ღორებს წინ ვარდებს უფენდაო“, „ორი ძაღლი ერთ ძვალს ვერ გაიყოფსო“, „ერთდროულად ორ ნამცხვარს ვერ შეჭამო“, „გადმოსულ რძეს ქვაბში ვეღარ ჩააბრუნებო“, „პატარა თევზი დიდმა ჩაყლაპაო“, „ზღვაში მზის ანარეკლს ჩრდილავდაო“ „სხვის ქონებას წყალში ყრისო“, „სახლი ეწვოდა და ის კი ცეცხლით თბებოდაო“, „საითაც ქარი დაუბერავს, იქით მიცურავსო“, „ბატების მწყემსვა ეთაკილებაო“, „ბრმა ბრმას აეკიდაო“.

- ეცადეთ, ამოიცნოთ ანდაზების შესაბამისი ფრაგმენტები ნამუშევარზე.
- სად არის ეს ფრაგმენტი? ნამუშევრის წინა, შუა თუ უკანა ხედზე?
- ადამიანის კიდევ რომელ თვისებებს დასცინის ბრეიგელი? ახსენით ეს ფრაგმენტები.
- თქვენ როგორ ასახავდით ადამიანის ამ თვისებებს?
- პიტერ ბრეიგელი მე-16 საუკუნეში ცხოვრობდა. როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ადამიანები განსხვავდებიან იმდროინდელთაგან?

პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დროს (20 წთ), რომ შეასრულონ დავალება, ოღონდ საკუთარი ჩანაფიქრი ჯერჯერობით საიდუმლოდ შეინახონ. მასწავლებელი შეახსენებს, რომ ჩანაფიქრის უკეთ გადმოსაცემად სწორად შეარჩიონ სასურათე სიბრტყის (ჰორიზონტალური ან ვერტიკალური) პოზიცია; გამოსახულება გააზრებულად გაანაწილონ სიბრტყეზე; თუ საჭიროა, გამოიყენონ პერსპექტივის პრინციპი (წინა და უკანა ხედების გამოყენებით); ეცადონ ნამუშევარში გადმოსცენ ფიგურების მოძრაობა.

## შეჯამება:

- თხოვეთ თქვენს გვერდით მჯდომს გამოიცნოს, თუ რა ანდაზაა ასახული თქვენს ნახატზე. დაემთხვა მისი პასუხი თქვენს ჩანაფიქრს?

## შენიშვნა:

ნაწარმოებზე არის რამდენიმე უხამსი გამოსახულება, ამიტომ ყურადღება გაამახვილეთ მხოლოდ შემოთავაზებულ ფრაგმენტებზე, ნუ დაათვალიერებინებთ მოსწავლეებს ყველა დეტალს. საკმარისია, მოსწავლეებმა მოძებნონ შემოთავაზებული ფრაგმენტები სურათზე.

## შემაჯამებელი კითხვები:

- ვინ იყო პიტერ ბრეიგელი? ადრე თუ გსმენიათ რაიმე ამ მხატვრის შესახებ? რა გახსოვთ ბრეიგელის შემოქმედებასთან დაკავშირებით?
- რომელი ანდაზა შეარჩიეთ საკუთარი ნამუშევრისთვის?
- რა გამოგივიდათ კარგად?
- ხელახლა რომ გქონდეთ გასაკეთებელი, რაიმეს შეცვლიდით და სხვაგვარად დახატავდით?
- რა თვისება არ მოგწონთ ადამიანებში? როგორ ასახავდით თქვენს დამოკიდებულებას ხელოვნების ნამუშევარში?

## აქტივობა:

მოსწავლეები ეძებენ სურათზე ანდაზების შესაბამის ფრაგმენტებს. შემდეგ იხსენებენ მათთვის ნაცნობ ქართულ ანდაზებს და ფერადი ფანქრებით ხატავენ ერთ-ერთის ამსახველ ნახატს (თუ ვერ მოასწრებენ, დაამთავრებენ სახლში, საშინაო დავალებად.

# ანიმაცია

## მიზანი:

ანიმაციის საკუთარი ხელით დახატვის უნარი

## შედეგი:

**ს.გ. V.2. – 4.**
**ს.გ. V.4. – 2.**
**ს.გ. V.5. – 3.**
**ს.გ. V.6. – 3.**

## ასათვისებელი ტერმინები:

კადრი
ფაზა

## მასალა:

მოსახევი კვადრატული ფურცლების დასტა (სტიკერები)
ფანქარი
საშლელი

## ვიზუალური მასალა:

https://www.youtube.com/watch?v=3LG4OSk1gE0
https://www.youtube.com/watch?v=tJc1t_JeJFo (აქტიური ბმულები აგრეთვე იხილე ელექტრონულ რესურსებში)
ანიმაციის დახატვა: http://www.abcya.com/animate.htm

# გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწაავვლეებს, ჩამოთვალონ მხატვრის პროფესიები – ხელოვნების ის სფეროები, სადაც მხატვრის მონაწილეობა აუცილებელია.

(წიგნის გაფორმება - ილუსტრატორი, თეატრალური დეკორაციების და კოსტიუმების შექმნა – თეატრის მხატვარი, ნახატი ფილმების დახატვა – მულტიპლიკატორი...).

– რას აკეთებს მხატვარი ანიმაციაში?

ნახატი ფილმების შესაქმნელად, რეჟისორის და ოპერატორის გარდა, მხატვრების დიდი ჯგუფი მუშაობს: დამდგმელი მხატვარი და რეჟისორი ერთად ქმნიან პერსონაჟს, მოიფიქრებენ და ხატავენ მის გარეგნობას, ხასიათს, იმასაც კი განსაზღვრავენ, თუ როგორი მიხვრა-მოხვრა ექნება მომავალი ფილმის ყელა გმირს, ადამიანი იქნება ეს, ცხოველი თუ ფოთოლი. ასევე, დამდგმელი მხატვარი ხატავს ფონს – გარემოს, ფილმის გმირების სამყაროს.

შემდეგ იხატება მომავალი ფილმის ყველა საკვანძო კადრი. ამ სამუშაოს კადრირება ეწოდება.

მეორე მხატვარი ხატავს ფილმის ყველა გმირის მოძრაობის ძირითად ელემენტებს.

ამის შემდეგ მუშაობას უდგება ფაზების მხატვარი, რომელიც მოძრაობის ძირითადი ელემენტების შუალედურ ნახატებს ხატავს. სწორედ ფაზების მხატვარი ხატავს ფილმის ყვველა კადრს.

იმისთვის, რომ ნახატ ფილმში მოძრაობა თვალისთვის აღსაქმელად უწყვეტი და დინამიკური იყოს, წამში სულ ცოტა 12-16 კადრი უნდა დაიხატოს. 5 წუთიანი ნახატი ფილმისთვის, ფაზების მხატვარი 7200 კადრს ხატავს.

კიდევ ერთი მხატვარი ან მხატვრების ჯგუფი ყოველ კადრს აფერადებს.

ადრე, ნახატი ფილმები თავიდან ბოლომდე ხელით იხატებოდა. დღეს უმეტესი ნახატი ფილმების შექმნაში, მხატვართან ერთად, კომპიუტერული გრაფიკის სპეციალისტებიც მონაწილეობენ.

მართალია, კომპიუტერმა გააადვილა ნახატი ფილმის შექმნის პროცესი, ძალიან ბევრი შემოქმედი მაინც აგრძელებს ნახატი ფილმების ხელით ხატვას. რატომ?

(მასწავლებელს შეუძლია მაგალითისთვის აჩვენოს მოსწავლეებს ხელით და კომპიუტერით შექმნილი ნახატი ფილმების კადრები, რათა მოსწავლეებმა შეადარონ ისინი ერთმანეთს და იმსჯელონ, თუ რა განსხვავებაა მათ შორის).

(მაგ. კომპიუტერით შექმნილი იაპონური ანიმეს გმირებს გამომეტყველება თითქმის არ ეცვლებათ, ხელით დახატული მულტფილმების, მაგ. უოლტ დისნეის გმირები კი ნამდვილი მსახიობები არიან).

მე-19 საუკუნის ბოლოს გამოიგონეს კინეოგრაფი რაც მოძრავ ნახატებს ნიშნავს. კინეოგრაფი მულტიპლიკაციის ერთერთი ფორმაა. ეს არის ნახატებისგან ან ფოტოებისგან შემდგარი წიგნაკი, რომლის ყოველი ფურცელი ცალკეული კადრია. მაყურებელი, რომელიც სწრაფად ფურცლავს წიგნაკს, გაცოცხლებულ, მოძრავ ნახატებს ხედავს.

## აქტივობა:

მოსწავლეები ბლოკნოტის ფურცლებზე დახატავენ ბურთის მოძრაობის ფაზებს და დაამზადებენ კინეოგრაფს.

სხვა დროს, მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს ამავე მეთოდით დახატონ სახე, რომელიც გამომეტყველებას იცვლის, კაცუნა, ან მანქანა, რომელიც ფურცლის ერთი კიდიდან მეორემდე მივა, ან მისცეს მოსწავლეებს თავისუფლება, თავად მოიფიქრონ ახალი ანიმაციის პერსონაჟი და სიუჟეტი.



გამომეტყველების ცვლილების 5 ფაზიანი ნიმუში. მოძრაობის შესანელებლად, ყოველი ორ მეზობელ ფაზას შორის უნდა ჩაიხატოს შუალედური 1-2 კადრი.

## საშინაო დავალება:

მოსწავლეები მოიფიქრებენ მარტივ სიუჟეტს (მზის ამოსვლა, ბურთის თამაში, სახტუნაოთი ხტომა, საქანელა....) და დამოუკიდებლად გააკეთებენ კინეოგრაფს.

# პირველი არქეოლოგი

## მიზანი:

ვაჩვენოთ მოსწავლეებს თუ როგორ აისახება ისტორიული მოვლენები ხელოვნებაში

ვასწავლოთ ისტორიული სიუჟეტის და პერსონაჟების ამოცნობა ხელოვნების ნაწარმოებებში

## შედეგი:

**ს.გ. V.5. - 1, 3, 5.**

## ასათვისებელი ტერმინები:

იკონოგრაფია

მოციქულთასწორი

## მასალა:

სასურველია, ილუსტრაციების დასათვალიერებლად, მასწავლებელს ქონდეს დიდი ეკრანი, ან ილუსტრაციები ჩატვირთოს მოსწავლეების კომპიუტერებში, რათა მათ შეძლონ დეტალების კარგად დათვალიერება.

## გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი მოუყვება მოსწავლეებს მოციქულთასწორი ელენეს ისტორიას. მოსწავლეები დაათვალიერებენ სურათებს, რომლებზეც გამოსახულია ამბავი, რომელიც მათ მოისმინეს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გამოთქვან მოსაზრება:

როგორ აისახა ეს ამბავი ხელოვნებაში?

რამდენად შეესაბამება სურათები მათ წარმოდგენას იმ ეპოქაზე, გარემოზე - რომელი სურათის ფონი ჰგავს ყველაზე მეტად გოლგოთას... იმსჯელონ სურათებზე გამოსახული ადამიანების ჩაცმულობაზე, გარეგნობაზე.

დაათვალიერონ და შეადარონ სურათები ელენე დედოფლის გამოსახულებით.

რა შეუსაბამობას ხედავენ სურათებზე გამოსახულ და ისტორიაში აღწერილ პერსონაჟს შორის? (ელენე ყველა სურათზე ახალგაზრდაა - გვერდით ჯვარი რახან უხატია, უკვე მოხუცი უნდა იყოს).

რა არის მთავარი ნიშანი, რომლითაც ჩვენ ამოვიცნობთ სიუჟეტს, რითი მიგვანიშნებენ ავტორები პერსონაჟების ვინაობას? (ელენეს გვერდით აუცილებლად დიდი ჯვარია გამოსახული. ასევე, იკონოგრაფიული კანონით, ელენეს და კონსტანტინეს გამოსახულებებსშორის ყოველთვის დიდი ჯვარიაგამოსახული).

## აქტივობა1:

როდის გაკეთდა ქანდაკება, რომელიც კაპიტოლიუმის მუზეუმში ინახება?

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, კარგად დააკვირდნენ სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებს, შეადარონ ისინი ერთმანეთს და დაადგინონ ქანდაკების შექმნის მიახლოვებითი თარიღი - (მონეტა დამზადებულია 326 წელს. მონეტაზე გამოსახული წმ. ელენეს პროფილი ძალიან ჰგავს ქანდაკების პორტრეტს. ყველა სხვა სურათზე ელენეს გამოსახულება დახატულია წარმოსახვით. მონეტაზე და ქანდაკებაზე პორტრეტული მსგავსება კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ორივე უთუოდ დედოფლის სიცოცხლეში გაკეთდა. (ქანდაკება 320-325 წლებით თარიღდება)

## აქტივობა 2:

მოსწავლეები სახელმძღვანელოში მოყვანილ ტექსტში იპოვიან არქეოლოგიური სამუშაოს ჩატარების თანმიმდევრობის შესაბამის ეპიზოდებს.

შემდეგ მოსწავლეები გაიაზრებენ ტექსტს მისი დასურათების კუთხით - დაყოფენ ტექსტს ეპიზოდებად და მოუფიქრებენ ეპიზოდებს მოკლე აღწერებს (მაგ. იმპერატორი კონსტანტინე სთხოვს დედოფალ ელენეს, იერუსალიმში გამგზავრებას“).

## აქტივობა 3 (მეორე გაკვეთილი):

ეპიზოდების მიხედვით დაიხატება კომიქსის ტიპის ნახატები სათაურით „პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია“.

## III თემა: ქანდაკება

# გფარავდეთ შედუ!

### მიზანი:

ხელოვნების ნაწარმოების კონტექსტში აღქმის უნარის განვითარება
კომუნიკაციის, ინტერპრეტაციისა და წარმოსახვის უნარების განვითარება
შემოქმედებითი აზროვნების უნარების გაღვივება
მსოფლიოს ხელოვნების შედევრებთან (შუამდინარული ხელოვნება) გაცნობა.

### შედეგი:

**ს.გ.V.1. – 5, 6, 9, 12.**
**ს.გ.V.2. – 2, 5.**
**ს.გ.V.4. – 1, 2, 3, 4, 5.**
**ს.გ.V.5. – 1, 3, 4**

### ასათვისებელი ტერმინები:

მრგვალი ქანდაკება, რელიეფი.

### მასალა:

მოსწავლეების არჩევანით - სახატავი რვეული ან თეთრი ქაღალდი, უბრალო ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები. ან – თიხა, საძერწი დაფა და საძერწი დანა, წინსაფარი, სამკლავურები.

### ვიზუალური მასალა:

შედუს ქანდაკებები სარგონ II-ეს სასახლიდან.

## გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი წერს დაფაზე: „შედუ, იგივე ლამასუ“ და ეკითხება მოსწავლეებს:

- როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ეს სიტყვა?

მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეების ვარაუდებს. როდესაც ბავშვებს ვარაუდები ამოეწურებათ, სთხოვს, გადაშალონ წიგნი შესაბამის გაკვეთილზე და წაიკითხონ მხოლოდ პირველი აბზაცი.

- იყო სწორი ვერსია? ვისი ვერსია ყოფილა სწორი?

მასწავლებელი გამოავლენს გამარჯვებული ვერსიის ავტორს და შემდეგ ამბობს:

- შედუს ქანდაკებებს ერთი უცნაურობა ახასიათებთ. დააკვირდით სურათებს და სცადეთ, ეს შეუსაბამობა აღმოაჩინოთ.

თუ ბავშვები ვერ მიხვდნენ, მასწავლებელს შეუძლია მისცეს მინიშნება:

- შედუ დგას თუ მიაბიჯებს?

თუ მაინც ვერ მიხვდებიან, მასწავლებელი სთხოვს, დათვალონ ქანდაკების ფეხების რაოდენობა. პასუხის მიღების შემდეგ (5 ფეხი), მასწავლებელმა უნდა ჰკითხოს

- არსებობს ბუნებაში 5-ფეხა არსება? თქვენი აზრით, რატომ აქანდაკებდნენ შედუს 5 ფეხით?

მოსწავლეები საკუთარ ვერსიებს წამოაყენებენ. ამის შემდგომ შეუძლიათ განაგრძონ კითხვა ბოლო აბზაცამდე. ვიდრე უკანასკნელ აბზაცზე გადავიდოდნენ, მასწავლებელი ეკითხება:

- კიდევ ერთხელ დააკვირდით სურათებს. როგორ ფიქრობთ, ეს მრგვალი ქანდაკებაა თუ რელიეფი?

სავარაუდოდ, მოსწავლეები დაიბნევიან. ზოგი იტყვის, რომ რელიეფია, ზოგი კი – მრგვალ ქანდაკებას მიაკუთვნებს.

- სახელმძღვანელოს ბოლო აბზაცში თქვენ ამ კითხვაზე პასუხს იპოვით.

მოსწავლეები განაგრძობენ და ასრულებენ კითხვას, რის შემდეგაც მასწავლებელი აძლევს დავალებას.

## შემაჯამებელი კითხვები:

- რას ნიშნავს რელიეფი?
- რა დანიშნულება ჰქონდა შედუს ქანდაკებას?
- რა გძნობას იწვევს ის თქვენში? როგორ ფიქრობთ, განსხვავდება ის გრძნობა, რასაც თქვენ განიცდით, იმისგან, რასაც შედუს შემხედვარე, ძველი შუმერები განიცდიდნენ? რატომ? რა შეიცვალა?

## აქტივობა:

სახატავ რვეულში დახატეთ სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის, მწერისა თუ ქვეწარმავლის ნაწილებისგან შემდგარი ფანტასტიკური არსება. მიეცით გასაქანი თქვენს ფანტაზიას! შეგიძლიათ, თქვენი ჩანაფიქრი გარკვეულ თემას დაუკავშიროთ – ვთქვათ, მშრომელი არსება ჭიანჭველას ტანით, ფუტკრის ფრთებით, სპილოს ხორთუმითა და ხარის რქებით; გთავაზობთ ფანტასტიკური არსების ვარიანტებს – სუსტი, ნაზი, ღონიერი, მშიშარა, ჭკვიანი, შინაური, ერთგული, ყველაზე საშიში, სასაცილო და სხვა.

# ობელისკი და მზის საათი

## მიზანი:

მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობასთან გაცნობა,

საკუთარი ხელით დეკორატიულ-გამოყენებითი ნივთის გაკეთების უნარის შეძენა

## შედეგი:

**ს.გ. V.2. – 1, 3, 4.**

**ს.გ. V.5 – 1, 2, 3.**

## ასათვისებელი ტერმინები:

ობელისკი: მონუმენტი – კვადრატული, წაწვეტებული ქვის სვეტი.

წახნაგი – გვერდი

მონუმენტი – ქანდაკებასა და არქიტექტურაში, დიდი ზომის ძეგლი, რომელიც მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას ეძღვნება.

კვარცხლბეკი – არქიტექტურული ფუძე რომელზეც დგას ძეგლი, სვეტი.

## მასალა:

ერთჯერადი ქაღალდის თეფში (შემოსახაზად)

მუყაოს კვადრატული ფურცელი (A4-ის კვადრატი)

მუყაოს მართკუთხა სამკუთხედი (შუაზე გაჭრილი 10X10სმ. კვადრატი)

მაკრატელი

ფანქარი

წებო

შავი ფლომასტერი

## ვიზუალური მასალა:

ობელისკების და მზის საათების ფოტოები

# გაკვეთილის მსვლელობა:

ჩვენ ხშირად ვხმარობთ ცნებას – ორგანზომილებიანი და სამგანზომილებიანი.

რას ნიშნავს ეს ორი სიტყვა და რა შემთხვევაში ვხმარობთ მათ?

ორგანზომილებიანი ნიშნავს ფიგურას, რომელსაც მხოლოდ ორი განზომილება აქვს – სიგრძე და სიგანე. ასეთი ფიგურები ბრტყელები არიან.

- დაასახელეთ ორგანზომილებიანი ფიგურები (კვადრატი, წრე, სამკუთხედი...)

სამგანზომილებიან ფიგურებს, ბრტყელი ფიგურებისგან განსხვავებით, აქვთ მესამე განზომილება – მოცულობა, ანუ სისქე. სიღრმე.

- დაასახელეთ სამგანზომილებიანი ფიგურები. (კუბი, სფერო, პირამიდა...).

ითვლება, რომ ჩვენი სამყარო სამგანზომილებიანია. ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო არსებობს, აქვს სიმაღლე, სიგანე და სისქე.

თურმე, არსებობს კიდევ ერთი, მეოთხე განზომილება, რომელშიც ჩვენი სამყარო არსებობს – ეს არის დრო.

რითი ვზომავთ დროს?

– საათით.

– რა არის საათი და რისთვის გვჭირდება საათი? რატომ ვითვლით და ვზომავთ დროს?

საათის მეშვეობით, ჩვენ შეგვიძლია ზუსტად დავგეგმოთ ჩვენი ცხოვრება, გავთვალოთ ყოველი წუთი - შევათანხმოთ მეგობრებთან შეხვედრის დრო, სამუშაოს ან მგზავრობის ხანგრძლივობა, დავგეგმოთ წარმოდგენის დაწყების, გამოფენის გახსნის დრო, არ დავაგვიანოთ გაკვეთილზე, არ ველოდოთ და არ ვალოდინოთ, არ დავკარგოთ ტყუილად დრო...

ოდესმე თუ გიფიქრიათ, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები საათის გარეშე? როგორ ითვლიდნენ დროს მაშინ, როდესაც საათები ჯერ არ იყო გამოგონილი?

საათები დაახლოვებით 2 ათასი წლის წინ, დედამიწის ყველაზე მზიან ქვეყანაში, ეგვიპტეში, გამოიგონეს.

ძველ ეგვიპტეში, მოედნებსა და ტაძრების წინ, მიღებული იყო ვებერთელა, ერთი მთლიანი ქვისგან გამოთლილი, ოთხკუთხა და წაწვეტებული სვეტების აღმართვა. ასეთ მონუმენტებს ბერძნები ობელისკებს, ანუ შამფურებს ეძახდნენ. ეგვიპტეში ობელისკები მზის სიმბოლოდ ითვლებოდა - ლეგენდის თანახმად, იმ ადგილას, საიდანაც პირველად ამოვიდა მზე, ადამიანებმა დიდი სვეტი აღმართეს.

ობელისკების წაწვეტებული თავები ოქრონარევი მეტალით იფარებოდა და მზესავით ელვარებდა. ობელისკების **წახნაგებზე** კი ამოჭრილი იყო მზის ღვთაების და ფარაონების სადიდებელი წარწერები.

ობელისკებს დღემდე შემორჩათ ეს ფუნქცია – მათ დღესაც აღმართავენ რაიმე დიდი მოვლენის, საბრძოლო გამარჯვების ან გმირების სადიდებლად.

ობელისკების მიწაზე დაცემული ჩრდილით, რომელიც დღის განმავლობაში, მზის ამოსვლიდან მის ჩასვლამდე, არასრულ წრეს შემოხაზავდა, ეგვიპტელები ადგენდენ დროს – მათ მიწაზე, აღნიშნული ქონდათ მანძილი, რომელსაც გადიოდა ჩრდილი დროის თანაბარ მონაკვეთებში.

ძველი ბერძნები მზის საათის ღერძს გნომონს უწოდებდნენ, ფილას კი, რომელზეც გნომონის ჩრდილი ეცემა, კადრანს. მზის საათებს დღემდე გნომონს უწოდებენ.

მოსწავლეები დაათვალიერებენ სხადასხვა ტიპის მზის საათების გამოსახულებებს. მასწავლებელი დასვავს შეკითხვას:

- თქვენი აზრით, როგორ აჩვენებს დროს მზის საათი?

რა არის გნომონის მუშაობის პრინციპი?

(ვინაიდან, დღის განმავლობაში, მზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიემართება, შესაბამისად, ადგილს იცვლის ღერძიდან კადრანზე, ანუ ციფერბლატზე დაცემული ჩრდილიც. ჩრდილი ეცემა ციფერბლატის დანაყოფებს, რომლებზეც ციფრებით ან ასოებით საათებია აღნიშნული.

- რა ნაკლი შეიძლება ქონდეს მზის საათს?
- მზის საათი არ იმუშავებს მაშინ, როდესაც მზე არ ანათებს – მოღრუბლულ ამინდში, შებინდებისას და ღამით.

ძველად, მზის საათებს მოედნებზე დგავდნენ ან შენობების მზით განათებულ, სამხრეთიკენ მიმართულ კედლებზე ათავსებდნენ.

## აქტივობა:

მოსწავლეები მუყაოს კვადრატულ ფურცელზე შემოხაზავენ დიდ წრეს, იპოვიან და ფანქრით მონიშნავენ ცენტრს. ცენტრიდან კიდემდე დახაზავენ ერთ რადიუსს.

45 გრადუსის კუთხის სამკუთხა მუყაოს ნაჭერზე დახატავენ რაიმე ორნამემტულ მოტივს, გააფერადებენ ან

გამოჭრიან მას და დაამაგრებენ მუყაოს დისკოზე რადიუსის გასწვრივ. სამკუთხედის ძირი შეიძლება ჩამაგრდეს რადიუსზე, წინასწარ ჩაჭრილ ღრიჭოში, ან დაწებდეს გარედან სკოჩით ან ქღალდის ზოებით.

მასწავლებელს შეუძლია აჩვენოს მოსწავლეებს რამდენიმე მზის საათის სურათი, რათა ბიძგი მისცეს მათ ფანტაზიას.

## საშინაო დავალება:

შაბათ ან კვირა დღეს, მოსწავლეებმა მზის საათი უნდა დადონ აივანზე, ან სხვა მზიან ადგილას.

ყოველ ერთ საათში ფლომასტერით მონიშნონ ციფერბლატზე ჩრდილის მდებარეობა და დააწერონ შესაბამისი საათის აღმნიშვნელი ციფრი.

ყოველ ორ დანაყოფს შორის, შეიძლება გაკეთდეს თანაბარი მანძილით დაშორებული დანაყოფები, რომლებითაც დროის მცირე (5, 10 ან 30 წუთი) მონაკვეთები მოინიშნება.

მოსწავლეებს, სურვილისამებრ შეუძლიათ გააფერადონ თავიანთი მზის საათები.

# პიგმალიონი და გალათეა

## მიზანი:

მითებთან გაცნობა

ხელოვნების ძალის გაცნობიერება

წარმოსახვის, წაკითხულის ილუსტრირებისა და წარდგენის უნარების განვითარება.

## შედეგი:

**ს.გ.V.1. – 5, 6, 10, 12.**

**ს.გ.V.4. – 1, 2, 3, 4, 5.**

## მასალა:

სახატავი ფურცელი, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

## ვიზუალური მასალა:

მე-19 ს-ის ამერიკელი მსახიობი მერი ანდერსონი გალათეას როლში სპექტაკლიდან „პიგმალიონი“. ფოტო ღია ბარათზე.

## გაკვეთილის მსვლელობა:

– ძველი რომაელი პოეტი ოვიდიუსი ერთ მითს გვიამბობს:

კუნძულ კვიპროსს მართავდა მეფე პიგმალიონი, რომელიც, გარდა იმისა, რომ მეფე იყო, საოცრად ნიჭიერი, შესანიშნავი მოქანდაკეც ყოფილა.

ერთხელ პიგმალიონმა სპილოს ძვლისგან უმშვენიერესი ქალი გამოაქანდაკა. სილამაზით მას ვერც ერთი ცოცხალი ქალი ვერ შეედრებოდა. თურმე მართლაც ცოცხალს ჰგავდა, თითქოს სუნთქავდა კიდეც! მნახველები თვალს ვერ აშორებდნენ. ამბობდნენ, ასე გვგონია, ახლა ხმას ამოიღებსო. პიგმალიონმა მას გალათეა დაარქვა. ქალის სილამაზით მოჯადოებული, ძვირფას ტანსაცმელს აცმევდა, სამკაულებითა და ყვავილებით რთავდა. მისი სინატიფისა და სინაზის ცქერით საათობით ტკბებოდა.

ერთხელაც, სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთის დღესასწაულზე ტაძარში მისულმა აფროდიტეს შესთხოვა, მშვენიერებით საკუთარი ქმნილების მსგავსი ცოლი შეეხვედრებინა. წყალობის ნიშნად სამჯერ აბრიალებულა ცეცხლი სამსხვერპლოზე. ამგვარი უცნაური სიყვარულით აღტაცემულმა ქალღმერთმა პიგმალიონს ნატვრა აუსრულა და სახლში მისული მეფის თვალწინ ქანდაკება გააცოცხლა.

წყვილი მალევე დაქორწინდა. ამ საოცარ სიყვარულს ღმერთებიც ადღეგრძელებდნენ და ადამიანებიც. პიგმალიონს და გალათეას შვილებიც შეეძინათ და დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად.

შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

– როგორ ფიქრობთ, რატომ შეუყვარდა პიგმალიონს გალათეა? (სხვათა შორის, მითში ქალის სახელი ნახსენები არ არის. ფრანგმა მწერალმა ჟან ჟაკ რუსომ დაარქვა მას გალათეა – ერთ-ერთი მითოლოგიური ნერეიდას სახელი).

– ამ მითის გარშემო ბევრი ნაწარმოები დაწერილა. განსაკუთრებით ცნობილია ირლანდიელი დრამატურგის ბერნარდ შოუს პიესა (თუმცა, იქ სიუჟეტი შეცვლილია – ფონეტიკის პროფესორს შეუყვარდება საკუთარი მოს-

წავლე, რომელსაც უკულტურო გოგონადან ნამდვილ დახვეწილ ქალბატონად გადააქცევს). ის ხშირად იდგმება მსოფლიოს სხვადასხვა თეატრში, მათ შორის, საქართველოშიც. ამ პიესის მიხედვით არის გადაღებული ფილმი „ჩემი მშვენიერი ლედი“ ოდრი ჰეპბერნის მონაწილეობით. როგორ ფიქრობთ, რატომ არის ეს თემა ასე საინტერესო დღემდე? რა ძალა ჰქონია ხელოვნებას? ხელოვნებას შეუძლია უსულო საგანში სიცოცხლე შთაბეროს.

– დაასურათეთ მითი. შეარჩიეთ ფურცლის ორიენტაცია იმის მიხედვით, თუ როგორი კომპოზიციის აგება გსურთ, რამდენი პერსონაჟი გინდათ განათავსოთ, რომელ ეპიზოდს აირჩევთ და სხვა. ბოლოს, წარადგინეთ თქვენი ნამუშევარი კლასის წინაშე.

## აქტივობა:

მოსწავლეები ხატავენ მითის ილუსტრაციას და წარადგენენ კლასის წინაშე.

# ᲛᲝᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲒᲘᲚᲘ

## ᲛᲘᲖᲐᲜᲘ:

უჩვეულო, არატრადიციული მასალების გამოყენების შესაძლებლობის დანახვა და მათი მეშვეობით ნამუშევრის შექმნის უნარი

## ᲨᲔᲓᲔᲒᲘ:

**ს.გ. V.2. – 1, 2, 3, 4.**

## ᲛᲐᲡᲐᲚᲐ:

ფერადი ქაღალდები
მავთული
მაკრატელი
წვრილცხვირიანი ბრტყელტუჩა
წებო
ძუა ან სქელი ძაფი
ქაღალდის სკოჩი

## ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲒᲐ

ფერადი ქაღალდები, მავთული, მაკრატელი
წვრილცხვირიანი ბრტყელტუჩა
წებო
სქელი ძაფი ან ძუა

## ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ:

მუყაოს პატარა ნაჭერი
წებო
ფერადი ქაღალდი
მაკრატელი

## ᲕᲘᲖᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ:

ალექსანდრე კალდერის ნამუშევრები

## გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ამბობს:

– ერთად გავიხსენოთ და ჩამოვთვალოთ, ხელოვნების რომელ დარგს რა მასალა და იარაღი ან მოწყობილობა ჭირდება.

მასწავლებელს შეუძლია ამ აქტივობას მისცეს ტესტის სახე და მოსწავლეებს პასუხები ჩამოაწერინოს ინდივიდუალურად, ან მოაწყოს შეჯიბრი, რომელშიც გამარჯვებულად ჩაითვლება მოსწავლეთა ის ჯგუფი, რომელიც ყველა კითხვაზე გასცემს სწორ პასუხს და ყველაზე მრავალფეროვან მასალას და იარაღებს ჩამოთვლის.

### აქტივობა 1:

მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე ხელოვნების დარგებს, მოსწავლეები ან მოსწავლეთა ჯგუფები კი ფურცელზე დაწერენ შესაბამის პასუხებს.

– ქვა, თიხა, პლასტილინი,

მუსიკა – მუსიკალური ინსტრუმენტები, ნოტები, ნოტების დასადები პიუპიტრი, დირიჟორის ჯოხი, მუსიკის ჩასაწერი მოწყობილობა...

ფერწერა – საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი, ტილო, მოლბერტი, ჩარჩო

თეატრი – სცენა, კოსტიუმი, ნიღაბი, გრიმი

კინო – კამერა, ეკრანი, კოსტიუმები, გრიმი,

გრაფიკა – ქაღალდი, ფანქარი, კალამი, მელანი, ნახშირი, პასტელი

ლიტერატურა – ქაღალდი, კალამი, კომპიუტერი, წიგნი,

გამოკითხვის შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ალექსანდრე კალდერის ნამუშევრებს და სთხოვს მათ, დააკვირდნენ და გამოიცნონ, თუ რა მასალით გააკეთა ავტორმა ეს ნამუშევრები (მავთული, კენჭები, შუშის ნატეხები, ღილები, ბოთლის საცობები, მექანიზმების ნაწილები, მუყაო...)

ადამიანის ფანტაზიას არა აქვს საზღვარი - ძალიან ბევრი ხელოვანი, ტრადიციული მასალების გარდა, ხელოვნების ნაწარმოების შესაქმნელად იყენებს ყველაფერს, რასაც საჭიროდ ჩათვლის თავისი ჩანაფიქრის განსახოციელებლად. ყველაზე ჩვეულებრივი, უღიმღამო ნივთიც კი, შეიძლება ხელოვნების ნაწარმოებად ვაქციოთ, თუ მას საინტერესო კუთხით დავანახებთ მაყურებელს.

მოსწავლეები გაეცნობიან ალექსანდრე კალდერის ბიოგრაფიას.

### აქტივობა 2: „მობილი“

მოსწავლეები სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციის თანახმად, გააკეთებენ მობილს.

## აქტივობა 3: „სტაბილი“




მოსწავლეები მუყაოს ნაჭერზე სქელი ფერადი ქაღალდებით ააგებენ კონსტრუქციას.

# მავთულის ქანდაკება

## მიზანი:

არატრადიციული მასალებით მუშაობის უნარის განვითარება
სივრცობრივი აზროვნების, ა და სამგანზომილებიანი კონსტრუირების უნარების განვითარება
მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობასთან (ალექსანდრე კალდერის შემოქმედებასთან) გაცნობა.

## შედეგი:

**ს.გ.V.2. – 1, 2, 3.**

## ასათვისებელი ტერმინები:

მონუმენტური ქანდაკება
სკულპტურა

## მასალა:

მავთული, თიხა ან პლასტილინი

## ვიზუალური მასალა:

ალექსანდრე კალდერის ნამუშევრები
კალდერის ცირკის წარმოდგენის ამსახველი, 5-წუთიანი ვიდეოჩანაწერი:
https://www.youtube.com/watch?v=t6jwnu8Izy0
ხოლო ამ 26-წუთიანი, ძალიან სახალისო ვიდეოჩანაწერის ნახვა შეიძლება შინ დაავალოთ მოსწავლეებს:
https://www.youtube.com/watch?v=u4LdlxaxAFA

# გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა გააფრთხილოს, დაიცვან უსაფრთხოების წესები. ამისთვის მავთულს ბოლოებზე დაუმაგრონ ბოთლის საცობი ან პლასტილინის გუნდა.

თუ მასწავლებელს მაინც დააბრკოლებს უსაფრთხოება, მავთულის გარდა, შესაძლებელია ძაფის გამოყენებაც, ოღონდ ამ შემთხვევაში, გამოსახულება მუყაოს საფუძველზე, ბრტყლად „დაიხატება“.

მოსწავლეებმა მავთულის მზა ქანდაკება უნდა დაამაგრონ თიხის ან პლასტილინის ბლოკზე.

## აქტივობა:

მოსწავლეები ქმნიან ქანდაკებას მავთულით.

## ჯაკომეტის აჩრდილები

### მიზანი:

ქანდაკების არატრადიციული მასალით შექმნის ტექნიკის ათვისება
კონტექსტში ხელოვნების აღქმის უნარის განვითრება
ინდივიდუალურად ნამუშევრის შექმნის უნარების განვითარება
მსოფლიოს სკულპტურული შედევრების (ალბერტო ჯაკომეტის შემოქმედება) გაცნობა.

### შედეგი:

**ს.გ.V.2. – 3, 5.**
**ს.გ.V.4. – 1, 2, 3.**
**ს.გ.V.5. – 4.**

### ასათვისებელი ტერმინები:

კარკასი

### მასალა:

დრეკადი მავთული (ერთი ცალი 50 სმ. სიგრძის და ერთი – 30 სმ. სიგრძისა, თითოეული მოსწავლისთვის), ფოლგა (თუ ფოლგა არ გაქვთ, იხმარეთ პლასტილინი. წყალში დამბალი და გაწურული გაზეთიც გამოდგება, რომ მავთულის კარკასს ანუ ჩონჩხს „ხორცი შეასხათ“), ასანთის კოლოფები, წვრილი კენჭები/ქვიშა ან რაიმე სხვა მასალა, რაც ასანთის კოლოფში ჩაეტევა და მას დაამძიმებს.

### ვიზუალური მასალა:

ალბერტო ჯაკომეტის ქანდაკებები.

## გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი, ტექსტის კითხვის პარალელურად, აჩვენებს ალბეტო ჯაკომეტის ქანდაკებების ფოტოებს და ეკითხება:

- როგორ ფიქრობთ, ჯაკომეტიმ გადმოსცა ომის სასოწარკვეთილი მსხვერპლი ადამიანების მდგომარეობა? რა მხატვრული ხერხის დახმარებით მიაღწია ამას?
- შვეიცარიელებმა დააფასეს საკუთარი თანამემამულე ხელოვანის შემოქმედება იმით, რომ ფულის კუპიურაზე გამოსახეს მისი პორტრეტი და ქანდაკება. გახსენდებათ რომელიმე ქართველი ხელოვანი, რომელიც ლარის კუპიურაზეა გამოსახული?

თუ ვერ გაიხსენეს, მასწავლებელი შეახსენებს:

- ნიკო ფიროსმანის ნამუშევარი „მეთევზე“ და „კალო“ გამოსახულია ხუთლარიანზე და დავით კაკაბაძის ფერწერული ტილო „იმერეთი, დედაჩემი“ – ათლარიანზე.

შემდეგ, მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ინსტრუქციას და ავალებს, შექმნან ქანდაკებები ჯაკომეტის სტილში. მავთულად შეიძლება წინა წლების სახატავი რვეულების სპირალების გამოყენება.

## სამუშაოს თანმიმდევრობა:

- მასწავლებელი დაგირიგებთ წინასწარ დაჭრილ მავთულის ნაჭრებს - თითო 50 სმ. სიგრძისას და თითოს – 30 სმ-იანს.
- 50 სმ-იან მავთული შუაზე გაკეცეთ და გადაკეცვის ადგილი ქინძისთავივით გადაუგრიხეთ. ეს ქანდაკების თავია.
- კისრიდან გადაგრიხეთ მავთულის ორივე ღერი ერთმანეთზე დაახლოებით იმდენზე, რომ ტანი გამოვიდეს. თავისუფლად დარჩენილი გრძელი მავთულები – ფეხებია.
- აიღეთ 30 სმ.-იანი მავთული, გაუყარეთ ტანის პირველივე გრეხილის ნახვრეტში ისე, რომ ორსავ მხარეს თანაბარი სიგრძის ბოლოები დაგრჩეთ. ეს ხელები იქნება.
- ხელის მავთულები შუაზე გაკეცეთ და ბეჭების ადგილზე ერთმანეთზე გადაგრიხეთ.
- აიღეთ ფოლგის ნაჭრები და რამდენიმე ფენად, მჭიდროდ შემოაგრაგნეთ მავთულის კარკასს.
- თავისთვის ფოლგა რაგბის მოგრძო ბურთივით უნდა დაამრგვალოთ და კარკასს „კისერზე“ ჩამოაცვათ.
- თავი რომ არ მოძვრეს, ზემოდან ფოლგის კიდევ ერთი, მოგრძო ნაჭერი შემოახვიეთ ისე, რომ ხელებზეც გადავიდეს.
- მიეცით მავთულის კარკასს თქვენთვის სასურველი პოზის შესაბამისი მდგომარეობა – მოღუნეთ ფიგურის კიდურები, მოხარეთ წელში, დასვით, ფეხი ფეხზე გადაადებინეთ და ა.შ.
- ჩაყარეთ ასანთის კოლოფებში ქვიშა ან წვრილი კენჭები, რომ კოლოფები დამძიმდეს.
- ჩაარჭეთ ფიგურის ფეხებიდან გამოშვერილი მავთულის ბოლოები ასანთის კოლოფებში. წვივების ადგილზე, ასანთის კოლოფთან, დაამატეთ ცოტაოდენი ფოლგა, რომ ფიგურა კვარცხლბეკზე ტერფებით „დადგეს“.

## აქტივობა:

სახელმძღვანელოში მოყვანილი ეტაპობრივი ინსტრუქციის მიხედვით, მავთულებითა და ფოლგით მოსწავლეები აკეთებენ ქანდაკებებს ჯაკომეტის სტილში.

# IV თემა: არქიტექტურა

## მალევიჩის არქიტექტონები

### მიზანი:

ხელოვნების ნიმუშების აღქმის უნარის ჩამოყალიბება
სივრცობრივი აზროვნების განვითარება
ნატიფი მოტორიკის განვითარება
სამგანზომილებიანი კონსტრუქციის შექმნის უნარის ჩამოყალიბება,
სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიციების გარჩევისა და შექმნის უნარის ჩამოყალიბება,
წყვილებში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება
კაზიმირ მალევიჩის შემოქმედებასთან გაცნობა

### შედეგი:

**ს.გ.V.2. – 3**
**ს.გ.V.3. – 1, 2**

### ასათვისებელი ტერმინები:

დინამიკა, კონსტრუქცია.

### მასალა:

პლასტილინი, საძერწი დაფა, პლასტილინის დანა, ასანთის ღერები. მუყაოს ნაჭერი.

### ვიზუალური მასალა:

კაზიმირ მალევიჩის კომპოზიციები
მალევიჩის არქიტექტონები
მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა
დევიდ სმიტი (მე-20 ს-ის ამერიკელი მოქანდაკე): ელ.რესურსებში

## გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კიხულობენ ტექსტს. მასწავლებელი აჩვენებს დამატებით საილუსტრაციო მასალას ელექტრონული რესურსიდან. უამბობს, რომ პოლონური წარმოშობის უკრაინელი მხატვრის, მალევიჩის ხელოვნებამ დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო თაობების შემოქმედებაზე. მაგალითად, ქანდაკე დევიდ სმიტი მსგავსი კონსტრუქციის ქანდაკებებს ქმნის. შემდეგ უხსნის მოსწავლეებს სამუშაოს თანმიმდევრობას.

### ინსტრუქცია:

- პლასტილინის ბრიკეტები დაჭერით არათანაბარ ოთხკუთხედებად – კვადრატებად და მართკუთხედებად.
- მუყაოს მომცრო დაფაზე დაამაგრეთ და დააკავშირეთ ისინი ერთმანეთთან ასანთის ღერებით (ღერი გადატეხეთ, რომ არ გამოჩნდეს).
- მეწყვილესთან ერთად ააგეთ პლასტილინის ფერადი ფორმებისგან საინტერესო ასიმეტრიული კონსტრუქცია.

## აქტივობა:

მოსწავლეები წყვილებში პლასტილინით აგებენ სამგანზომილებიან კონსტრუქციას მალევიჩის კომპოზიციების მიხედვით.

## შემაჯამებელი კითხვები:

- როგორ ფორმებს იყენებდა მალევიჩი?
- შეიძლება ასიმეტრიული კომპოზიცია გაწონასწორებული იყოს?
- თქვენ როგორი კონსტრუქცია შექმენით?
- თქვენ მიერ შექმნილი კონსტრუქცია მყარია, მდგრადი და სტატიური თუ ასიმეტრიული და დინამიკური?

# ქალაქის დაგეგმარება

გრძელვადიანი პროექტი

## მიზანი:

არქიტექტურული ნაგებობების ფუნქციების გააზრებისა და გარჩევის უნარის განვითარება
ერთობლივ პროექტზე მუშაობის უნარის განვითარება

## შედეგი:

**ს.გ. 5.3. – 1, 2, 3.**
**ს.გ. 5.4. – 2, 4.**
**ს.გ. 5.5. – 2, 3**

## ასათვისებელი ტერმინები:

ინფრასტრუქტურა
იმპრესიონიზმი

## მასალა:

დიდი ზომის მუყაოს ფორმატი
კოლოფები, თხელი მუყაო
მაკრატელი
წებო
საღებავები
ფლომასტერები
ქაღალდის სკოჩი

## ვიზუალური მასალა:

## გაკვეთილის მსვლელობა:

ვინ არის არქიტექტორი – ხელოვანი თუ ინჟინერი?

ხეოპსის პირამიდა, ბურჯ-ხალიფას ცათამბჯენი, გრაფ დრაკულას სასახლე, სიდნეის ოპერა, პიზის კოშკი, პრაღის მოცეკვავე სახლი, პეკინის სტადიონი, მცხეთის ჯვარი. რა აერთიანებს ამ შენობებს? ყველა ეს და კიდევ სხვა უთვალავი შენობა არქიტექტორის ქმნილებაა.

არქიტექტორი ერთერთი ყველაზე ძველ პროფესიათაგანია.

არქიტექტურა არის სარკე, რომელშიც ასახულია კაცობრიობის ისტორია – ცივილიზაციების წარმოშობა, განვითარება, დაცემა და აღორძინება. არქიტექტურაში აისახება ხელოვნების ისტორიაც – სხვადასხვა მიმდინარეობის წაარმოქმნის და განვითარების ეტაპები.

არქიტექტურა მუდმივად იცვლება, არქიტექტორის სამუშაოს არსი კი მუდამ ერთია – მან უნდა მოიფიქროს და ააგოს შენობა, რომელიც შეკვეთის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

არქიტექტორები ქმნიან საცხოვრებელ სახლებს, საზოგადოებრივ და საწარმო შენობებს და ნაგებობებს, მათ ეხება ძველი შენობების აღდგენაც.

შენობის პროექტის შექმნისას, არქიტექტორმა უნდა და დაგეგმოს, თუ როგორ შეერწყმება მომავალი ნაგებობა გარემოს და მოიფიქროს არა მარტო მისი იერ-სახე და შინაგანი სივრცის მოწყობილობა, არამედ გაითვალისწინოს, თუ როგორი წყალგაყვანილობა, ელექტრო მომარაგება, განიავება, განათება, გათბობა და სხვა, ადამიანებისთვის საჭირო ფუნქციები ექნება შენობას.

არქიტექტორმა უნდა იცოდეს როგორ ნიადაგზე შეიძლება შენობის დადგმა და როგორზე არა, იცოდეს სამშენებლო მასალების თვისებები – როგორ უძლებენ ისინი სიმძიმეს, სიცხესა თუ სიცივეს, რა პირობებში რა მასალის და კონსტრუქციის გამოყენება შეიძლება ან არ შეიძლება.

არქიტექტურის ერთერთი მნიშვნელოვანი განხრაა საცხოვრებელი ადგილების – ქალაქების, სოფლების დაგეგმარება.

ეს სფერო განაგებს ქალაქის ან სოფლის ტერიტორიის მოწყობას ისე, რომ ადამიანები მასში მოხერხებულად გრძნობდნენ თავს.

## აქტივობა:

მოსწავლეები ჩამოთვლიან და ჩაინიშნავენ, თუ სახოვრებელის გარდა, რა დანიშნულების შენობები უნდა იყოს ქალაქში (მერია, საავადმყოფო, პოლიცია, სახანძრო, მაღაზია, სკოლა, სპორტული დაწესებულება, კაფე, ბიბლიოთეკა, საპარიკმახერო და სხვა).

მოსწავლეების ჯგუფები, დიდ ფორმატებზე დაგეგმავენ ქალაქს საცხოვრებელი სახლებითა და ინფრასტრუქტურით (ქუჩებს, მოედანს, საცხოვრებელ, ადმინისტრაციულ, საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობებს და სხვა. ქაღალდისგან დამზადებული მოცულობითი ფიგურებით ან სხვადასხვა ზომის მზა კოლოფებით გააკეთებენ მარტივ შენობებს, რომლებსაც განალაგებენ თავიანთ ქალაქში.

მოსწავლეები განიხილავენ ერთმანეთის ნამუშევრებს და იმსჯელებენ, თუ ვისი ქალაქი გამოვიდა უფრო კარგი და რატომ - ხომ არ გამორჩათ ისეთი დანიშნულების შენობა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ქალაქში, უდგება თუ არ ყველა შენობას გზა, რამდენად ახლოსაა საცხოვრებელ სახლებთან მაღაზია და საავადმყოფო, გაითვალისწინეს თუ არა დასასვენებელი ადგილები – მაგ. პარკი, სპორტული მოედანი და სხვა.

# ქალაქური პეიზაჟი

ელენე ახვლედიანი

## მიზანი:

ქალაქური პეიზაჟის ჟანრთან გაცნობა
ქართულ მხატვრობასთან (ელენე ახვლედიანის შემოქმედება) გაცნობა
ქალაქის არქიტექტურული იერის გააზრების უნარი
ნატურაზე დაკვირვებით ხატვის უნარის განვითარება

## შედეგი:

**ს.გ.V.1. – 5, 7, 8, 12.**
**ს .გ.V.5. – 1, 2.**
**ს.გ.V.6. – 1, 2, 3**

## ასათვისებელი ტერმინები:

პლენერი

## მასალა:

სახატავი რვეული, ფანქარი, საშლელი, სათლელი

## ვიზუალური მასალა:

ელენე ახვლედიანის ფოტოპორტრეტი,
ქალაქური პეიზაჟები
მოსწავლეების ნამუშევრები

# გაკვეთილის მსვლელობა:

სასურველია, ეს გაკვეთილი თბილ ამინდში ჩატარდეს, რომ მოსწავლეები ექსკურსიაზე წაიყვანოთ პლენერზე, ქალაქური პეიზაჟების დასახატად. წაიღოთ თან სახატავი რვეულები, ფანქრები, შეარჩიოთ რომელიმე კუთხე და ჩანახატები გააკეთოთ. პირველ გაკვეთილზე გაეცანით გაკვეთილის ტექსტს. შეგიძლიათ ამავე გაკვეთილზე გაეცნოთ მორის უტრილოს პარიზულ პეიზაჟებს – ის ხომ ელენე ახვლედიანის საყვარელი მხატვარი იყო. შეადარეთ ერთმანეთს პარიზისა და ქართული ქალაქების ხედები.

ჩართეთ მოსწავლეები ექსკურსიის დაგეგმვის პროცესში.

## შემაჯამებელი კითხვები:

- რა განწყობას გიქმნით ელენე ახვლედიანის ქალაქური პეიზაჟები?
- როგორ ფიქრობთ, რა იწვევს ამგვარ განწყობას?
- თქვენთვის ნაცნობ რომელ უბანს ან ქუჩას შეარჩევდით დასახატად? რა არის ამ ადგილას ისეთი განსაკუთრებული, რომ თქვენი ყურადღება მიიპყრო?
- როგორ ქალაქში ისურვებდით ცხოვრებას – თანამედროვე, ხმაურიან, ცათამბჯენებიან დედაქალაქში თუ

მყუდრო, ისტორიულ პატარა ქალაქში, სადაც გარშემო ყველაფერი ნაცნობი და მშობლიურია?

## აქტივობა:

მოსწავლეები გადიან პლენერზე (ექსკურსია ქალაქის რომელიმე უბანში) და ხატავენ ქალაქურ პეიზაჟს ნატურიდან.

# ნაჭრის ქალაქი

## მიზანი:

ქალაქური პეიზაჟის ჟანრში ნამუშევრის შექმნა არატრადიციული მასალით
კოლაჟის ტექნიკის ცოდნის გაღრმავება
შემოქმედებითი აზროვნების განვითარება

## შედეგი:

**ს.გ.V.1. – 5, 6, 7.**
**ს.გ.V.2. – 1, 2, 5.**

## მასალა:

მუყაო, ტილო, ქსოვილებისა და მაქმანების ნარჩენები, პვა წებო, მაკრატელი.

## ვიზუალური მასალა:

ქსოვილის ნაკუწებისგან შეკერილი გადასაფარებელი

# გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელმა ერთი კვირით ადრე უნდა გააფრთხილოს მოსწავლეები, მოიტანონ სახლიდან უსარგებლო ქსოვილებისა და მაქმანების ნაკუწები. შეგროვილი მასალა უნდა განაწილდეს თანაკლასელებს შორის.

როდესაც „ქალაქები“ მზად იქნება, დაარქვან მათ სახელები. მასწავლებელს შეუძლია უთხრას, რომ ქალაქების სახელწოდებები ხშირად სიტყვა „ქალაქით“ სრულდება. ბერძნულად ქალაქს „პოლისი“ ჰქვია – არგირუპოლი, ტრიპ-ოლი, ილიუპოლი, პეტრუპოლი და სხვა; გემანულად „ბურგ“– ნაუმბურგი, ჰამბურგი, ფრაიბურგი, მაგდებურგი, ბრანდერბურგი. რუსულად – ნოვგოროდი, ზვენიგოროდი. მოსწავლეებმა ჩამოთვალონ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების სახელები, დააკვირდნენ ბოლოსართებს – „-ისი“, „-ეთი“, „-ციხე“ და სხვ. და მოიფიქრონ მათ მიერ შექმნილი ქალაქების სახელები.

## აქტივობა:

ქსოვილების ნარჩენებისგან, კოლაჟის ტექნიკით, მოსწავლეები ქმნიან ქალაქურ პეიზაჟს.

# კორპუსი და ძველი სახლი

## მიზანი:

წარმოსახვის უნარისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება;
არქიტექტურული გარემოს ესთეტიკური აღქმის უნარის გაღვივება;
მიღებული შთაბეჭდილებების ვერბალურად გადმოცემის და ვიზუალურად ასახვის უნარის განვითარება;
პატივისცემის გრძნობის განვითარება წარსულის კულტურული ძეგლების მიმართ.

## შედეგი:

**ს.გ.V.1. – 5, 6, 10.**
**ს.გ.V.4. – 1, 2, 3, 4, 5.**
**ს.გ.V.5.**

## მასალა:

ქაღალდი, უბრალო და ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, კალამი, სათლელი, საშლელი.

## გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნებისა და წარმოსახვის უნარის განვითარების გარდა, ეს გაკვეთილი მათ უფრო მგრძნობიარეეებს გახდის არქიტექტურული გარემოს მიმართ. მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეებში ფანტაზიის შეუზღუდავად გამოვლენას. მასწავლებელი სვამს კითვებს, რათა გააღვივოს მათში შემოქმედებითი აზროვნება:

- ეს სახლები დასცინიან, ებუზღუნებიან, ეჩხუბებიან თუ მოწიწებითა და პატივისცემით ესაუბრებიან ერთ-მანეთს? რატომ?
- მოწონთ მათ ერთმანეთი თუ არა?
- რა შეიძლება კორპუსს ხიბლავდეს ან არ მოსწონდეს ძველ სახლში?
- რა შეიძლება ძველ სახლს ხიბლავდეს ან არ მოსწონდეს კორპუსში?
- თქვენ როგორი სახლები მოგწონთ? როგორში ისურვებდით ცხოვრებას?

ყველა პასუხი თანაბრად მისაღებია.

## აქტივობა:

მოსწავლეები წერენ დიალოგს ძველ სახლსა და მის მეზობლად მდგომ ახალ კორპუსს შორის და ხატავენ ილუს-ტრაციას.

## შემაჯამებელი კითხვები:

- რა გამოგივიდათ კარგად? რას შეცვლიდით თქვენს ილუსტრაციასა და დიალოგში?
- თქვენი ილუსტრაცია ზუსტად ხსნის პერსონაჟის ხასიათს და გარეგნობას თუ კიდევ დამატებით ცნობებს გვაწვდის?
- ვისი დიალოგი ან ილუსტრაცია მოგეწონათ ყველაზე მეტად და რატომ?

# V თემა: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება

## რას გვიამბობს თიხა

### მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს კერამიკული ჭურჭლის ისტორია.
დაზიანებული ნივთის შეკეთების უნარ-ჩვევების შეძენა,

### შედეგი:

**ს.გ. V.2. – 2, 4.**
**ს.გ. V.3. – 4.**

### ასათვისებელი ტერმინები:

არტეფაქტი

### მასალა:

პატარა, თეთრი, (ნახატების გარეშე) ფაიფურის ერთნაირი თეფშები (იმდენი, რამდენი მოსწავლეცაა კლასში), რომლებსაც მასწავლებელი წინასწარ დაამტვრევს. ყოველი თეფშის ნამტვრევები სრულად (ნამცეცების ჩათვლით), შეინახება კონტეინერში ან ქაღალდის პარკში.

მასწავლებელს შეუძლია სთხოვოს მოსწავლეებს, სახლიდან წამოიღონ უვარგისი თეფშები.

კერამიკის დასაწებებლად განკუთვნილი წებო ან პვა

**! მასწავლებლის საყურადღებოდ: მოსწავლეების უსაფრთხოების დასაცავად, არ გამოიყენოთ ჩინური „სუპერ წებო“!**

ხის წვეტიანი ჩხირები ან წებოს ფუნჯები
ქაღალდი, მაგიდაზე დასაფენად
ღრუბელი ან ჭინჭი ზედმეტი წებოს მოსაშორებლად

### მასალა II აქტივობისთვის:

აღდგენილი თეფში
შავი მარკერი
გუაშის საღებავები
პვა წებო
ფუნჯი
წყალი
პალიტრა

### ვიზუალური მასალა:

განათხარი კერამიკის ნიმუშები
აღდგენილი კერამიკული ჭურჭელი

## გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- საიდან ვგებულობთ, თუ როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები და რა ხდებოდა ამა თუ იმ ქვეყანაში საუკუნეების წინ? ვინ მეფობდა, ვინ ვის ეომებოდა, ვინ აშენებდა და ვინ ანგრევდა, რაზე საუბრობდნენ, რას ფიქრობდნენ, ჩვენი წინაპრები?

ყოველივე ამას ჩვენ გვიყვევება ისტორია, მეცნიერება, რომელიც ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, შეისწავლის ადამიანთა წარსულს.

- რა არის ისტორიული წყარო?
- ისტორიული წყარო არის სხვადასხვა დროს მცხოვრები ადამიანების მონათხრობი, დაწერილი ამბები და საბუთები.

ისტორია არის მეცნიერება, რომელიც ემყარება ადამიანების მონაყოლს, ადამიანები კი ხშირად ტყუიან – ამბავს ყვებიან ისე, როგორც თვითონ ესმით, აწყობთ, ან ისე, როგორც მოითხოვს მათი თანამედროვე რეალობა. სულ უბრალო მაგალითიც საკმარისია ამის დასამტკიცებლად – ერთი და იგივე ამბის მომსწრე ორი ადამიანი, ამ ამბავს სხვადასხვანაირად ყვება – ერთმა ასე გაიგო, მეორემ ისე, ერთმა რაღაც შეამჩნია, მეორეს გამორჩა, ერთმა თავი მოიწონა და თვითონ გახდა ამბის გმირი, მეორეს კი რაღაცის შერცხვა და თავის მონაწილეობა დამალა....„

და კიდევ ერთი საინტერესო შეკითხვა – საიდან ვიცით იმ შორეული დროის ამბები, როდესაც ადამიანებმა ჯერ წერა არ იცოდნენ?

„არქეოლოგია არის ფაქტების ძიება“ – თქვა ფილმის გმირმა, არქეოლოგმა ინდიანა ჯონსმა.

ეს გამონათქვამი ზუსტად შეეფერება არქეოლოგიას. არქეოლოგია არის მეცნიერება, რომელიც განიხილავს მითებს, თქმულებებს, ჭორებს, მაგრამ დასკვნა კი მხოლოდ ნივთიერ ფაქტებზე დაყრდნობით გამოაქვს.

რა ნივთიერ ფაქტებს პოულობენ არქეოლოგები ადამიანების ნამოსახლარის გათხრების დროს ყველაზე ხშირად და ყველაზე დიდი რაოდენობით? – კერამიკულ ნაწარმს – გამომწვარი თიხისგან გაკეთებულ ფიგურებს, ჭურჭელს, ნივთების, ნაგებობის, კონსტრუქციების დეტალებს...

გამომწვარი თიხა არ ფუჭდება და მიწაში ათასწლეულების მანძილზე ინახება.

ძველი ბერძნების ენაზე „კერამოს“ თიხას ნიშნავს. აქედან გაჩნდა სიტყვა კერამიკა, რომელსაც გამომწვარი თიხისგან დამზადებულ ნივთებს ვეძახით.

სთავგადასავლო რომანებსა და ფილმებში არქეოლოგები ცნობილ ისტორიულ ნივთს (მაგ. წმინდა გრაალს) ან ოქრო–ვერცხლით გატენილ განძს ეძებენ. სინამდვილეში, არქეოლოგებისთვის ნივთის ფასეულობა იზომება არა იმით თუ რა მასალისგანაა იგი დამზადებული, არამედ იმ ინფორმაციით, რასაც ნაპოვნი ნივთი გვაწვდის თავის შემქმნელებზე, იმ დროზე, როდესაც ეს ნივთი იყო ხმარებაში. ხშირად, არქეოლოგებისთვის თიხის ქოთნის პატარა ნატეხი ბევრად ძვირფასი მონაპოვარია, ვიდრე ოქროს ზოდების გორა.

- რატომ პოულობენ არქეოლოგები უფრო ხშირად კერამიკულ ნამტვრევებს, ვიდრე მთელ ნაკეთობებს?

კერამიკული ჭურჭელი ადვილად იმსხვრევა. ვინაიდან, მისი წარმოება ყველა ეპოქაში ძალიან იაფი იყო, ადმიანებს დამტვრეული კერამიკული ჭურჭელის შეკეთებას, ახლის დამზადება ერჩივნათ და ნატეხებს სანაგვეზე ყრიდნენ. ამიტომ, ადამიანების ნამოსახლარი ყოველთვის სავსეა ჭურჭლის ნატეხებით. არქეოლოგებისთვის ეს დიდი დანაკლისი არ არის – კერამიკული ნატეხებით შესაძლებელია ნივთის პირვანდელი სახის აღდგენა.

პირველი კერამიკული ჭურჭელი გაჩნდა ძველი წელთაღრიცხვით მერვე-მეშვიდე ათასწლეულში, მაშინ, როდესაც ადამიანებმა მიწათმოქმედება აითვისეს და დაიწყეს ერთ ადგილას დასახლება. გამომწვარი თიხის ისტორია კი ბევრად ადრე დაიწყო – ჩეხეთის დასახლებაში, სახელად დოლნი-ვესტონიცა ნაპოვნია თიხისგან დამზადებული ადამიანის და ცხოველების პატარა ფიგურები, რომელთა ასაკი ძველი წელთაღრიცხვით 29 - 27 ათასი წელია.

## აქტივობა 1:

მასწავლებელი დაურიგებს მოსწავლეებს კონტეინერბში შენახულ ჭურჭლის ნატეხებს.
მოსწავლეები მაგიდაზე დაფენილ ქაღალდზე დაალაგებენ ნატეხებს და ნამცეცებს,

მიაზომებენ მათ ერთმანეთს და უპოვიან თავ-თავის ადგილს,

მოიფიქრებენ მათი დაწებების თანმიმდევრობას, ერთმანეთს შეაწებებენ ჯერ პატარა ნატეხებს,

შემდეგ შეწებებული ნატეხებით ააწყობენ მთლიან თეფშს.
ღრიჭოებს ამოავსებენ თეთრი წებოთი ან წებოში არეული ცარცის ფხვნილით.
მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ მათ მოუწევთ დეტალების შეწებების დროს დაეხმარონ ერთ-მანეთს – დაუჭირონ თეფშის შეწებებული ნაწილები, ან დაეხმარონ მეგობარს წებოს წასმაში.

## აქტივობა 2:

მოსწავლეები პვა წებოში არეული გუაშის საღებავებით მოხატავენ რესტავრირებულ ჭურჭელს.

# შუამდინარეთი

## მიზანი:

მსოფლიოს კულტურულ საგანძურთან (შუამდინარეთთან) გაცნობა;
წარსულისა და თანამედროვეობის შედარების უნარი.

## შედეგი:

**ს.გ.V.5. – 1, 3.**

## ასათვისებელი ტერმინები:

შუამდინარეთი, მესოპოტამია, შუმერები, ლურსმული დამწერლობა.

## მასალა:

კროსვორდის ქსეროასლები

## ვიზუალური მასალა:

შუმერული ცილინდრული საბეჭდავები

# გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს.

მასწავლებელი სვამს კითხვებს: – რით განსხვავდება დღევანდელობა შუამდინარული ყოფისგან – რა ზღაპრებს უამბობენ შუამდინარელ ბავშვებს ძილის წინ? როგორია თანამედროვე კალენდარი? როგორი ტაძრებს აშენებდნენ შუამდინარეთში? მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან, რომელი ეკუთვნის შუამდინარულ კულტურას? რა მასალაზე წერდნენ ტრქსტებს შუამდინარეთში? და სხვა.

მასწავლებელი დაურიგებს მოსწავლეებს წინასწარ ამობეჭდილი კროსვორდის ასლებს (მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით) შესავსებად. მოსწავლეებს შეუძლიათ ჩაიხედონ სახელმძღვანელოში და ტექსტში იპოვონ კროსვორდის პასუხები. ამ სიტყვების დაზეპირება არ არის ჩვენი მიზანი. მათი ორჯერ წაკითხვა და დაწერა საკმარისია, რომ ბავშვებს ისინი პასიურ ცოდნაში დაელექოთ და თუ მომავალში რომელიმე ეს ტერმინი შეხვდებათ, გაახსენდეთ, რას ნიშნავს ან რას უკავშირდება იგი.

**გონების სავარჯიშო – შეავსეთ კროსვორდი:**

**მინიშნება – ცენტრში შვეულად:** შუამდინარეთი;
თარაზულად:

1. სიტყვების ჩასაწერი გრაფიკული ნიშნები;
2. შუამდინარეთის ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ხალხი;
3. სოლისებრი ანბანი, რომლითაც სარგებლობდნენ შუამდინარეთის ხალხები;
4. ვარსკვლავთმრიცხველობა, მეცნიერება ციური სხეულების შესახებ;
5. მდინარე ბერძნულად;

6. მდინარე შუამდინარეთში;
7. მდინარე შუამდინარეთში;
8. ქვეყანა, რომელიც დღეს შუამდინარეთის ტერიტორიაზე მდებარეობს;
9. შუამდინარეთის ერთ-ერთი მთავარი ღმერთი;
10. ურუქის ლეგენდარული მეფე;
11. შუამდინარული ტაძარი.

**კროსვორდის სწორი პასუხები:**

**შვეულად:** მესოპოტამია

**თარაზულად:**

1. დამწერლობა
2. შუმერები
3. ლურსმული
4. ასტრონომია
5. პოტამი
6. ტიგროსი
7. ევფრატი
8. ერაყი
9. მარდუკი
10. გილგამეში
11. ზიკურატი

## აქტივობა:

მოსწავლეები ავსებენ კროსვორდს.

# ხამურაბის კანონები

## მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს ხამურაბის კანონების შექმნის ისტორია
საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბების უნარის განვითარება
ჯგუფური მუშაობის უნარის გამოვლენა

## შედეგი:

ს.გ.V.2. – 1, 4, 5.
ს.გ.V.3. – 1.

## ასათვისებელი ტერმინები:

სტელა – ვერტიკალურად მდგარი ქვის სვეტი წარწერით ან რელიეფური გამოსახულებით
თიხის ფირფიტა
ლურსმნული დამწერლობა
ორნამენტი
კოდექსი
მოტივი

## მასალა:

საწერი ფურცლები
უბრალო ფანქარი
მუყაოს დიდი ნაჭრები ჯგუფების რაოდენობის მიხედვით
შავი ფერის პლასტილინი

## ვიზუალური მასალა:

ხამურაბის კანონების სტელა; თიხის ფირფიტების გამოსახულებები

## გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისშივე გაყოფს კლასს ორ ჯგუფად, რათა მოგვიანებით ამ პროცედურამ არ გამოიწვიოს აურზაური.

მასწავლებელი მოუყვება მოსწავლეებს ხამურაბის კოდექსის ისტორიას, გააცნობს რამოდენიმე კანონს კოდ-ექსიდან (კოდექსში სულ 282 კანონია. კანონები საკმაოდ მკაცრი, სასტიკიც კი იყო. მაგ.:

- თუ ერთი მეორეს მკვლელობას დასწამებს, მაგრამ ბრალდებას ვერ დაუმტკიცებს, ბრალმდებელი სიკვ-დილით დაისჯება.
- თუ მოსამართლე გადაწყვეტილებას მიიღებს, მაგრამ  გაირკვევა, რომ ის მცდარი იყო, მან თორმეტჯერ მეტი უნდა გადაიხადოს ვიდრე ბრალდებულმა და მოსამართლის უფლებას სამუდამოდ დაჰკარგავს.
- თუ ქურდი მოპარვისას დაიჭირეს, ის სიკვდილით უნდა დაისაჯოს.
- თუ მავანი მასზე დაბალი რანგის მამაკაცს გაარტყამს, მაშინ დაზარალებულმა იგივე ზიანი უნდა მიაყენოს მას.

- თუ მშენებელი სახლს ააგებს საგულდაგულოდ, მფლობელმა სახლის ყოველი ზედაპირისთვის მას 2 შეკელი უნდა უზღოს.
- თუ მშენებელი კარგად ვერ ააშენებს და შენობა დაინგრევა, იგი მოკლულ იქნება.
- თუ მავანი სახლის კედელს გაანგრევს მის გასაძარცვად და მას დაიჭერენ, სასჯელის სახით მას კედელში ჩააშენებენ.
- თუ ვაჟიშვილი დედას ხელს გაარტყამს, მას ხელებს მოჰკვეთენ.
- თუ ვაჟიშვილი იტყვის რომ მისი დედა ან მისი მამა მისი მშობელი არაა, მას ენას მოჰკვეთენ.
- თუ სახლს ცეცხლი გაუჩნდება და ის ვინც მის ჩასაქრობად მოვა, ხელი წაუცდება ოჯახის საკუთრებაზე, დაისჯება იმავე ცეცხლში დაწვით.
- თუ ერთი მეორეს კბილებს ჩაუმტვრევს, მასაც ჩაუმტვრევენ კბილებს.
- ადამიანის შეურაცხყოფისთვის დამნაშავე სახალხოდ, მათრახის 60 დარტყმით ისჯება.

მასწავლებელი დასვამს შეკითხვას:

- რა არის კანონი?
- რას განაპირობებს კანონი სახელმწიფოსთვის?
- რაზე იყო დაწერილი ხამურაბის კანონები?
- როგორ განსხვავდება მაშინდელი სასჯელი დღევანდელისგან?

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, შექმნან თავიანთი კოდექსი: მოიფიქრეთ სკოლაში, ქუჩაში, მეგობრებთან ქცევის კანონები. ჩამოვწეროთ ისინი, გავაფორმოთ, დავკიდოთ კლასში და შევეცადოთ მათი შესრულება.

– ჯგუფის ყოველმა წევრმა დამოუკიდებლად, ან მეგობართან ერთად მოიფიქროს, და ფურცელზე, ჩამოწეროს 2-3 სავარაუდო კანონი ქცევის შესახებ – რისი გაკეთება არ შეიძლება, ან რისი გაკეთებაა აუცილებელი. კანონები უნდა ჩამოყალიბდეს მოკლედ, ორი-სამი სიტყვით, მაგ:

- იზრუნე ცხოველებზე.
- მოაგვარე კონფლიქტი მშვიდობიანად.
- იყავი ბეჯითი.
- გაუფრთხილდი სხვის ნამუშევრებს.
- ილაპარაკე ხმადაბლა.
- იყავი ხალისიანი...

ჯგუფის წევრები ამოარჩევენ და ფურცელზე ჩამოწერენ ყველაზე საინტერესო დებულებებს. მასწავლებელი ხმამაღლა წაიკითხავს მათ, მოსწავლეები კი ცერის ზევით აწევით ან ქვევით დაწევით (როგორც ძველ რომში), ხმას მისცემენ ყოველ წინადადებას.

კანონები, რომლებიც მეტ ხმას მიიღებს, ჩამოიწერება დაფაზე და თემატურად დაჯგუფდება. თუ კლასში ბევრი მოსწავლეა, კანონების რიცხვი შესაბამისად გაიზრდება ისე, რომ თითო გჯუფს 4-5 კანონი შეხვდეს.

მასწავლებელი თანაბრად გაანაწილებს გადარჩეულ, დაჯგუფებულ „კანონებს“ ჯგუფებში და დასვამს შეკითხვას:

– როგორ წერდნენ ადამიანები იმ დროს, როცა ქაღალდი ჯერ არ იყო გამოგონებული?

– წარმოიდგინეთ, ვითომ ჩვენ იმ დროს ვცხოვრობთ, როდესაც ადამიანები თიხის ფირფიტებზე წერდნენ. თიხის ნაცვლად, ჩვენი კოდექსის ჩამოსაწერად, მუყაოთი და პლასტილინით დავამზადოთ ფირფიტები. ამისთვის, მუყაოს ნაჭრები მთლიანად დაფარეთ შავი პლასტილინის თხელი ფენით. დღეს, მოვამზადებთ ფირფიტებს, რომლებზეც კანონები უნდა ჩამოვწეროთ, მომდევნო გაკვეთილზე კი ჩამოვწერთ ამ ფირფიტებზე კანონებს და გავალამაზებთ მათ ორნამენტებით.

## აქტივობა:

ყოველი ჯგუფი მოამზადებს ერთ „ფირფიტას“ – მოსწავლეები თითებით გადაგლესენ და თანაბრად გაანაწილებენ პლასტილინს მუყაოს ზედაპირზე.

# II გაკვეთილი

## მასალა:

ფერადი პლასტილინი

ბრინჯის, წიწიბურას, მუხუდოს, სიმინდის და სხვა მსგავსი მარცვლები

ფერადი პლასტილინი

სახაზავი

ხის წვეტიანი ჩხირები

პლასტილინის დანა

## აქტივობა:

ყოველი ჯგუფი სახაზავით მონიშნავს მუყაოზე იმდენ სრტიქონს, რამდენი კანონიც ექნება დასაწერი.

სწორი ხაზების გასწვრივ, წვეტიანი ჩხირით ჩამოწერენ კანონებს.

პლასტილინის დანით შეასწორებენ შეცდომებს და ზედმეტ ხაზებს.

მასწავლებელი გააფრთხილებს მოსწავლეებს, რომ მუყაოს კიდეებზე უნდა დარჩეს ადგილი ჩარჩოს გასაკეთებლად.

წვეტიანი ჩხირებით, ხაზების გაყოლებაზე ჩამოწერენ კანონებს.

ღია ფერის პლასტილინით დაამზადებენ წვრილ თოკებს, რომლებითაც ამოავსებენ მუყაოზე ამოჩხაპნილ ასოებს.

პლასტილინის დანით გაასწორებენ შეცდომებს.

ამასობაში, რომელიმე ჯგუფის წევრი, განსხვავებული ფერის პლასტილინს დაჭრის თანაბარი სისქის ზოლებად. ამ ზოლებს დააგრძელებს და როდესაც ყველა ასო დაიწერება, დააწებებს მათ ჩარჩოსთვის განკუთვნილ ადგილას.

ვარიანტი 1 - ორნამენტი გაკეთდება ჩარჩოზე ჩაწნეხილი წიწიბურას, ბრინჯის და სხვა მარცვლებით.

ვარიანტი 2 – ჩარჩოებს გააფორმებენ პლასტილინის დანით გაკეთებული ხაზებით.

გამზადებულ კოდექსებს ჩამოკიდება საკლასო ოთახში.

# შუმერული „ომი და მშვიდობა“

## მიზანი:

თანამშრომლობის, ინტერპრეტაციისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება;
ხელოვნების კონტექსტში აღქმის უნარის განვითარება
მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობასთან (შუამდინარული ხელოვნების შედევრთან) გაცნობა

## შედეგი:

**ს.გ.V.2. – 3, 4, 5.**
**ს.გ.V.3. – 1, 2, 3, 4.**
**ს.გ.V.4. – 2, 3.**
**ს.გ.V.5. – 1, 2, 3, 4, 5.**

## ასათვისებელი ტერმინები:

რიტმი
ფრიზი

## მასალა:

თეთრი თაბახის ფურცელი, ცისფერი ფერადი ქაღალდი, უბრალო ფანქარი, ლურჯი და წითელი ფლომასტერები, წებო, მაკრატელი.

## ვიზუალური მასალა:

ურის შტანდარტის ილუსტრაციები

# გაკვეთილის მსვლელობა:

როდესაც მოსწავლეები ტექსტის კითხვას დაასრულებენ. მასწავლებელი მათ აჩვენებს ურის შტანდარტის ფოტოებს. სთხოვს, ყურადღება გაამახვილონ დეტალებზე, მაგალითად, სკამების წინა ფეხებზე, რომლებსაც თხის ფეხის ფორმა აქვთ. მასწავლებელი სვამს კითხვებს:

– სად არის გამოსახული „ომი“? როგორია მათი იარაღი, აღჭურვილობა (შუბები), სამხედრო ეტლები? რომელია „მშვიდობის“ ამსახველი ეპიზოდები? როგორ ზეიმობენ სამხედრო გამარჯვებას შუმერები (საზეიმო ლხინით)? როგორ აცვიათ (მუზარადები, გრძელი ლაბადები...)? რით ირთობენ თავს (არფაზე დაკვრით)? რომელია მათ შორის მეფე? რა ნიშნით გამოყო იგი ხელოვანმა სხვა ფიგურებისგან? (დიდი ზომით). ხომ არ გახსენდებათ სხვა უძველესი ხელოვნების ნიმუშები, სადაც მეფის ფიგურა სხვებთან შედარებით დიდი ზომისაა (ეგვიპტური ხელოვნების ნიმუში, ნარმერის ფილა). კიდევ რაიმე მსგავსებას ხომ არ ხედავთ ადამიანის გამოსახვის ეგვიპტურ წესთან (რაკურსების აღრევა – თავი და ფეხები პროფილში, ტანი კი – ანფასში).

მასწავლებელი მოისმენს მოსწავლეების მიერ გამოთქმულ ვარაუდებს სცენათა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით.

## ინსტრუქცია:

- თეთრი ფურცელი გაყავით სამ გრძივ ნაწილად და გაინაწილეთ, რომ თითო მოსწავლეს შეხვდეს თითო გრძივი ზოლი.
- თითო ზოლზე უბრალო ფანქრით დახატეთ სახლსა და სკოლაში თქვენი ცხოვრების ამსახველი ყოფითი სცენები.
- გაჭერით ცისფერი ფურცელი შუაზე გრძივად.
- გამოჭერით და დააწებეთ დახატული გამოსახულებები ცისფერ ფურცელზე.
- გადააწებეთ თქვენი ზოლები ერთმანეთს. ფრიზი მზადაა.

## აქტივობა:

ინსტრუქციის მიხედვით, მოსწავლეები ხატავენ და აკეთებენ საკუთარ ფრიზს.

# შუმერობანა

## მიზანი:

თიხით ძერწვის უნარის განვითარება
მითითებების შესრულებისა და ხანგრძლივი სამუშაოს ეტაპობრივად განხორციელების უნარების განვითარება
მსოფლიოს კულტურულ საგანძურთან (შუმერულ საბეჭდავებთან) გაცნობა
წარსულისა და თანამედროვეობის შედარების უნარის განვითარება.

## შედეგი:

**ს.გ. V.2 – 3, 4**
**ს.გ.V.5. – 1, 3.**

## ასათვისებელი ტერმინები:

რელიეფი, ბარელიეფი, საბეჭდავი.

## მასალა:

უბრალო ფანქარი, თიხა, პლასტილინის დანა.

## ვიზუალური მასალა:

შუმერული ცილინდრული საბეჭდავები, მოსწავლის ნამუშევრების ნიმუშები

# გაკვეთილის მსვლელობა:

ეს გაკვეთილი ორ აკადემიური საათს დაიკავებს. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს, აზრი გამოთქვან  სახელმძღვანელოში დასმული კითხვის გარშემო – როგორ შეიძლება საბეჭდავის დამზადება, რა მასალით, რა პროცედურით. მოსწავლეების მიერ გამოთქმული აზრის მოსმენის შემდეგ მასწავლებელი აცნობს ინსტრუქციის I ეტაპს. მოსწავლეები ადარებენ მათ მიერ გამოთქმულ ვარაუდებს ინსტრუქციის ეტაპებს და საუბრობენ, რამდენად დაემთხვა მათი მოსაზრება რეკომენდაციას (სწავლა აღმოჩენით).

შემდეგ მოსწავლეები შეუდგებიან ამ ეტაპის განხორციელებას. II ეტაპი შემდეგ გაკვეთილზე უნდა შესრულდეს.

## სამუშაოს თანმიმდევრობა:

### I ეტაპი

- თიხის ბრიკეტი ორად გაყავით. ერთი ნაწილი ახლა დაგჭირდებათ. მეორე ისევ შეფუთეთ და სკოჩით დააწებეთ, რომ შიგ ჰაერი არ შევიდეს და თიხა არ გამაგრდეს.
- თიხის ნაჭერი ხელის გულებს შორის აგორავეთ და მიეცით განიერი ცილინდრის ფორმა.
- შემდეგ აგორავეთ ბრტყელ ზედაპირზე, სანამ ცილინდრს გლუვი ფორმა არ მიეცემა.
- ცილინდრს შუაგულში გაუყარეთ ფანქარი ისე, რომ ფანქარი ღერძის ფუნქციას ასრულებდეს.
- ცილინდრზე პლასტილინის დანით დახატეთ მარტივი კონტურული გამოსახულებები. ეცადეთ, მხოლოდ სილუეტებით შემოიფარგლოთ. ერიდეთ დეტალებს და წვრილ ხაზებს (სქელი ხაზები დაიტანეთ).

- ამოიღეთ კონტურებს შორის არეები პლასტილინის დანით ისე, რომ ჩაღრმავებული სილუეტები მიიღოთ.
- პლასტილინის დანით ან ნეკით გაგლისეთ, მოასწორეთ ჩაღრმავებები, რომ გაათანაბროთ.
- თქვენი ცილინდრული საბეჭდავი მზადაა. ახლა ის უნდა გაშრეს და გამაგრდეს. ამას დრო სჭირდება. ამიტომ, შემდეგ გაკვეთილამდე სადმე შეინახეთ.
- როცა თიხა გამაგრდება, შესაძლოა უკვე შემდეგ გაკვეთილზე, გადადით II ეტაპზე.

## II ეტაპი:

- წინა გაკვეთილზე გადანახული თიხის ნარჩენი გააბრტელეთ ნეკა თითის სისქის ფირფიტად. ფირფიტის ზომა ცილინდრის დიამეტრის სიგრძისა უნდა იყოს. სიმაღლე კი – ცილინდრის სიმაღლისა.
- სველი ხელით მოასწორეთ ზედაპირი, რომ გლუვი და თანაბარი სისქისა იყოს. შეგიძლიათ ამისთვის ჭიქა გამოიყენოთ, ჩიპსის მუყაოს ყუთი ან კონსერვის ქილა. თუ ზედაპირი მაინც უსწორმასწოროა, გადმოაბრუნეთ ფირფიტა. ზურგის მხარე, რომელიც მყარ ზედაპირზე იდო, უფრო სწორი იქნება.
- განსაზღვრეთ, სად არის ცილინდრზე ნახატის თავი და ბოლო. დაადეთ ცილინდრი ფირფიტის კიდეს ისე, რომ ზედ ნახატის დასაწყისი მოხვდეს. დააწექით ხელით და ცილინდრი ფირფიტაზე გადააგორეთ. გადაგორებისას დაწოლა თავიდან ბოლომდე თანაბარი ძალის უნდა იყოს. რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? – მაშინ ნახატი ფირფიტაზე მკაფიოდ და თანაბრად აღიბეჭდება. ცილინდრზე ჩაღრმავებული ფიგურები ფირფიტაზე რელიეფურად ამოიბურცება. ასეთ გამოსახულებას ბარელიეფი (bas-relief) ანუ დაბალი რელიეფი ჰქვია. ხომ გსმენიათ სიტყვა ბას გიტარა (bas guitar)? ის დაბალ, ბოხ ხმებს გამოსცემს. მასაც, საფუძვლად იგივე ფრანგული სიტყვა „bas~ ანუ „დაბალი“ უდევს.
- ახლა შეგიძლიათ გახვრიტოთ ფირფიტის ზედა კუთხეები, რომ შემდგომ, როცა თიხა გამაგრდება, თოკი გაუყაროთ და კედელზე დაკიდოთ.

მოგეწონათ შუმერობანა?

თუ დრო დაგრჩათ, შეგიძლიათ სახატავ რვეულში ლურსმული დამწერლობით, თქვენი სახელი დაწეროთ. გთავაზობთ ლურსმული ასოების შესატყვის ქართულ ნიშნებს. რა თქმა უნდა, აქ ყველა საჭირო ასოს ვერ ნახავთ, მაგრამ შეგიძლიათ სხვა, მსგავსი ბგერის აღმნიშვნელი ნიშნით შეცვალოთ. მაშ, შუმერობანა გრძელდება!

## აქტივობა:

მოსწავლეები თიხით აკეთებენ ცილინდრულ საბეჭდავს და მის ანაბეჭდს.

# მინანქარი

## მიზანი:

დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებასთან, კერძოდ, ტიხრულ მინანქართან და მის ტექნიკურ სპეციფიკასთან გაცნობა,

სიმეტრიული დეკორატიული ნაკეთობის შექმნის უნარი.

## შედეგი:

**ს.გ. V.1. – 9**

**ს.გ. V.2. – 3, 4**

**ს.გ. V.5. – 1, 3**

**ს.გ. V.6. – 1, 2**

## ასათვისებელი ტერმინები:

მინანქარი, ორნამენტი

## მასალა:

მუყაოს ოთხკუთხა ან წრიული ნაჭერი, უბრალო ფანქარი, პლასტილინი, საძერწი დაფა.

## ვიზუალური მასალა:

ნამუშევრების ნიმუშები;

ხახულის კარედი ხატი

თანამედროვე მინანქრის ჯვრები

# გაკვეთილის მსვლელობა:

ტექსტის კითხვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, ტიხრული მინანქრის ტექნოლოგიის იმიტაციის შექმნას პლასტილინით.

## სამუშაოს თანმიმდევრობა:

- მუყაოს მართკუთხა ან წრიულ ნაჭერზე მონიშნეთ ცენტრი და მის გარშემო ფანქრით დახატეთ მარტივი სიმეტრიული, დეკორატიული კომპოზიცია – ოთხმკლავა ჯვარი, მკლავებს შორის გეომეტრიული ან მცენარეული ორნამენტით.
- რადგან ოქროსფერთან ყველაზე ახლოს ყვითელი ფერია, ტიხრებისთვის დაამზადეთ ყვითელი ფერის პლასტილინის მოგრძო, წვრილი „მავთულები“ და დააკარით ტიხრები ხაზების გაყოლებაზე.
- ტიხრებს შორის ჩადეთ სხვა ფერის პლასტილინის მომცრო ნაჭრები და გაგლისეთ ისინი თითით ისე, რომ ბუდე ამოივსოს. როდესაც ყველა უჯრედი ამოივსება, თქვენი ნაკეთობა მზადაა.

## აქტივობა:

მოსწავლეები პლასტილინით აკეთებენ დეკორატიულ, სიმეტრიულ, ორნამენტულ კომპოზიციას ტიხრული მინანქრის ტექნიკის იმიტაციით.

# VI თემა: პროექტები

## პროექტი 1 – მუზათა ტაძარი

(6 გაკვეთილი)

### გაკვეთილი 1: მუზეები

#### მიზანი:

მუზეუმის წარმომავლობასთან გაცნობა;

კავშირების დანახვის (პერსონაჟთან ატრიბუტის დაკავშირების) უნარის განვითარება;

#### შედეგი:

**ს.გ.V.1. – 5, 6, 10, 11, 12.**

**ს.გ.V.3. – 1, 2, 3, 4, 5, 6.**

**ს.გ.V.4. – 2, 3, 4, 5**

#### ასათვისებელი ტერმინები:

მუზეუმი, კოლექცია, ექსპონატი.

#### მასალა:

სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები.

#### ვიზუალური მასალა:

მე-16 ს., რაფაელ სანტი, ვატიკანი, სტანცა დელა სინიატურა, „პარნასი“, აპოლონი და მუზები.

მე-19 ს., ბერტელ ტორვალდსენი, აპოლონი და მუზები.

## გაკვეთილის მსვლელობა:

ალბათ გსმენიათ გამოქმა – „მუზა მეწვიაო“ – რა შემთხვევაში ვამბობთ ამას?

– როდესაც რაღაცას გატაცებით ვაკეთებთ, რაღაცას ვქმნით, ვიგონებთ...

– ვინ არის მუზა?

ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ჭექა-ქუხილის ღმერთს, ზევსს და მეხსიერების ქალღმერთ მნემოზინეს ცხრა ქალიშვილი ყავდათ, რომლებსაც მუზებს, ანუ მოაზროვნეებს ეძახდნენ. მუზებს შეეძლოთ წარსულის დანახვა და მომავლის განჭვრეტა. ისინი პარნასის მთაზე ცხოვრობდნენ და ხელოვნების მფარველ ღმერთს, აპოლონს ექვემდებარებოდნენ.

მუზების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი მეცნიერები და ხელოვანი ადამიანები – მუსიკოსები, მომღერლები, პოეტები და მხატვრები იყვნენ.

ძველ საბერძნეთში, მუზების საპატივცემლოდ შენდებოდა განსაკუთრებული ტაძრები – მუსეიონები, რომლებიც საბერძნეთის კულტურული ცხოვრების ცენტრებს წარმოადგენდნენ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რამდენჯერმე ხმამაღლა და დაფიქრებით გაიმეორონ სიტყვა „მუსეიონი“

და გაიხსენონ, თუ რა სიტყვას აგონებს მათ ეს სახელი. მუსეიონი, მუზეუმის წინაპარია - საუკუნეების შემდეგ, ხელოვნების ტაძრის პრინციპიც და სახელიც თანამედროვე „მუზეუმების“ საფუძველი გახდა.

იმ შორეულ დროს კი, ყველაზე მეტად სახელი ალექსანდრიის მუსეიონმა გაითქვა.

ალექსანდრე მაკედონელმა, მის მიერ დაბყრობილ ეგვიპტეში, დააარსა ქალაქი ალექსანდრია. ამ ქალაქში, ალექსანდრე მაკედონელის თანამოაზრემ, და შემდგომში ეგვიპტის მეფემ, პტოლემეი I სოტერმა, მუზების დიდი ტაძარი ააგო. ამ ტაძარში გაერთიანებული იყო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ობსერვატორია, ბოტანიკური ბაღი და ზოოპარკი, ბიბლიოთეკა და მუზეუმი.

მუზების ტაძარში ხელოვანი ადამიანები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ოსტატობაში, აქვე ქმნიდნენ და წარმოადგენდნენ თავიანთ ნაწარმოებებს. ალექსანდრიის მუსეიონის ჭერქვეშ იკრიბებოდნენ იმ დროის უდიდესი მეცნიერები და ხელოვანი ადამიანები – მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ინჟინრები, ექიმები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, მუსიკოსები, მსახიობები, მხარვრები და პოეტები.... მათი მუშაობისვის მუსეიონში ყველა პირობა იყო შექმნილი. გარდა კარგი სამუშაო პირობებისა, მეცნიერებს საშუალება ქონდათ ერთმანეთს შეხვედროდენ, ემუსაიფათ, ემსჯელათ, ეკამათათ, ერთმანეთის გამოცდილებას გაცნობოდნენ, ერთმანეთის რჩევები გაეზიარებიათ... შედეგად, მივიღეთ უდიდესი აღმოჩენები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

ეხლა კი, დავუბრუნდეთ მუზებს.

ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილი მუზები ხელოვნების წარმომადგენლებს აჯილდოვებდნენ თავიანთი ნიჭით, მხარს უჭერდნენ და ამხნევებდნენ მათ, მაგრამ თუ ვინმე გაბედავდა მათთან ასპარეზობას, სასტიკად სჯიდნენ.

კალიოპე საგმირო პოეზიას მფარველობდა,
ევტერპე – მუსიკას,
მელპომენე – ტრაგედიას,
თალია – კომედიას,
ერატო – სასიყვარულო პოეზიას,
პოლიჰიმნია – პანტომიმას და სახოტბო ჰიმნებს,
ტერფსიქორა – ცეკვას,
კლიო – ისტორიას,
ურანია – ასტრონომიას.

მასწავლებელი მუზების სკულპტურული გამოსხულებების ჩვენებისას, ყურადღებას გაამახვილებს მათ ატრიბუტებზე, რომლებიც ყოველი მუზის განსაკუთრებულ მისწრაფებას უსვამს ხაზს:

1. კლიო – გრაგნილით ხელში, გრაგნილში წარსული დროის ამბებიიყო ჩაწერილი.
2. კალიოპე – ცვილით დაფარული დაფით ხელში, რომელზეც ასოების ამოსაკაწრი ჩხირით, ოტილით საგმირო სიმღერებს იწერდა.
3. ევტერპე – მუსიკალური ინსტრუმენტით, ფლეიტით ხელში
4. ტალია – კომედიის სიმბოლო - გაცინებული ნიღაბი
5. მელპომენა – თავზე ვაზის ფოთლების გვირგვიინით, ტრაგედიის სიმბოლური ნიღბით ერთ ხელში და ხმით ან კვერთხით მეორე ხელში
6. ტერფსიქორა – გუნდური სიმღერის და ცეკვის მუზა – მუდამ გაღიმებული სახით, თავზე გვირგვინით და მუსიკალური ინსტრუმენტით - ლირით ხელში
7. ურანია – სამყაროს სიმბოლო - გლობუსით და საჩვენებელი ჯოხით ხალში

8. პოლიჰიმნია – ჩაფიქრებულ პოზაში, სახოტბო ლექსების ჩასაწერი გრაგნილით ხელში.

კალიოპე (გრაგნილით ხელში), ტალია (ნიღბით), ერატო, ევტერპე (ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტებით), პოლიჰიმნია, კლიო, ტერფსიქორე (კიფარით), ურანია (გლობუსით და საჩვენებელი ჯოხით), მელპომენე (თავზე თეატრალური ნიღბით)

დღეს მუზები დავიწყებას მიეცნენ. აღარავის ჭირდება მათი მხარდაჭერა, აღარავინ უხმობს მუზებს გასამხნევებლად. მხოლოდ პოეზიაში თუ გაიელვებს მუზას სახელი.

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, გაიხსენონ თანამედროვე ადამიანის საქმიანობის დარგები, რომლებსაც არ აწყენდა ზეციური მხარდაჭერა და მოიგონონ ამ დარგებისთვის ახალი მუზები.

## აქტივობა:

„XXI საუკუნის მუზები“

მოსწავლეები დაიყოფიან ჯგუფებად.

ყოველი ჯგუფის წევრები მოილაპარაკებენ ერთმანეთში და დაასახელებენ 10 სფეროს, რომლებსაც დღეს მუზების მფარველობა სჭირდებათ.

დახატავენ მუზებს იმ ატრიბუტით, რომელიც მიგვანიშნებს მათ მიერ მოგონილი მუზას მფარველობის სფეროზე.

ჯგუფები განიხილავენ ერთმანეთის ნამუშევრებს და შეეცდებიან ამოიცნონ, თუ რა დარგის მუზა გამოსახეს მეგობრებმა. იმსჯელებენ, თუ რამდენად საჭიროა ასეთი მუზა დღევანდელობაში და ამოარჩევენ ცხრა ძალიან საჭირო მუზას.

# მუზათა ტაძარი. გაკვეთილი 2

## მუსეიონიდან მუზეუმამდე

**მუზეუმში ქცევის წესები. ამ გაკვეთილის შემდეგ უკვე უნდა ჩატარდეს პროექტის III, გასვლითი გაკვეთილი მუზეუმში – ექსკურსია**

## მიზანი:

მუზეუმის რაობასა და დანიშნულებასთან გაცნობა;

თანამშრომლობისა და საორგანიზაციო უნარების გამომუშავება.

## შედეგი:

**ს.გ.V.3. – 1, 2, 3, 4, 5, 6.**

**ს.გ.V.4. – 2, 3, 4, 5.**

## მასალა:

A4 ფორმატის ფურცლები, წითელი და შავი ფლომასტერები.

### ვიზუალური მასალა:

მუზეუმში ქცევის წესების ამსახველი ნიშნები

## გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები ეცნობიან მუზეუმში ქცევის წესებს და ასრულებენ დავალებას.

### აქტივობა:

მოსწავლეები მოიფიქრებენ და დახატავენ მუზეუმში ან ხელოვნების გაკვეთილზე ქცევის წესების ამსახველ სიმბოლურ ნიშნებს, განიხილავენ მათ, ამოარჩევენ საუკეთესოებს და დაკიდებენ კლასში.

## მუზათა ტაძარი. გაკვეთილები IV-V-VI

### საგანძურის მცველი

### მიზანი:

**ს.გ.V.2. – 3.**
**ს.გ.V.3. – 1, 2, 3, 4, 6.**
**ს.გ.V.4. – 4, 5.**
**ს.გ.V.5. – 2, 3.**

### მასალა:

მუყაოს ყუთი, წებო, მაკრატელი, ა4 ფორმატის ფურცლები, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

### ვიზუალური მასალა:

ექვთიმე თაყაიშვილის ფოტო;
მე-12 ს-ის ხახულის კარედი ხატი

## გაკვეთილის მსვლელობა:

გაკვეთილის ტექსტი მიმოხილვითია.

გირჩევთ ანახოთ მოსწავლეებს რევაზ თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმი „საქართველოს მეჭურჭლეთუ-ხუცესი“ (ბმული: https://www.youtube.com/watch?v=DiYDObeVyts). მასწავლებელი ორგანიზებას უკეთებს ფილმის დემონსტრირებასა და ატარებს დისკუსიას ფილმის გარშემო.

გარდა ამისა, ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ უფრო ვრცლად გიამბობენ... სკოლის მოსწავლეები. თბილისის 183-ე საჯარო სკოლის XI-კლასელებმა მის ცხოვრებას და ღვაწლს მთელი კვლევა მიუძღვნეს.

მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს პროექტის ყველა საფეხურის შესრულებაში.

## აქტივობა:

IV გაკვეთილზე მოსწავლეები ეცნობიან ქართული განძის შეგროვებისა და გადარჩენის ისტორიას და ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლს ამ საქმეში. შემდეგ იყოფიან ჯგუფებად და ინაწილებენ მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებს კვლევის ჩასატარებლად. ჯგუფებში ინაწილებენ საკვლევ საკითხებს.

V გაკვეთილზე მოსწავლეები ჯგუფებში, მუყაოს ყუთებში ამზადებენ მუზეუმის პირობით მაკეტებს უმნიშვნელოვანესი ექსპონატებითურთ.

VI გაკვეთილზე ჯგუფები წარადგენენ მაკეტსა და კვლევის შედეგებს.

## პროექტი 2 – ჩრდილების თეატრი

### მიზანი:

მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენა
ჯგუფური სამუშაოს კეთების უნარის განვითარება

### შედეგი:

**ს.გ.V.3. - 1, 2, 3, 4, 5, 6**

### ასათვისებელი ტერმინები:

ჩრდილების თეატრი
მარიონეტი

### მასალა:

დიდი ზომის კოლოფი
ნახევრად გამჭვირვალე ქაღალდი (პერგამენტი) ან მიტკალი
(წარმოდგენის დროს - განათების წყარო – ფარანი ან ნათურა)
შავი, 120 გრამინი (სქელი) ქაღალდი
ფანქარი
მაკრატელი
წებო
ხის ჩხირები
ქაღალდის სკოჩი
სტეპლერი

### ვიზუალური მასალა:

მარტივი ვიდეო ინსტრუქცია ჩრდილების თეატრის დამზადებისთვის:
ეკრანის დამზადება

## გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს რამდენიმე ვიდეოფრაგმენტს, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ კეთდება ჩრდილების თეატრი და მარიონეტები.

შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს ამოსარჩევად შესთავაზებს რამდენიმე  იგავს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“-დან, ან ყველასთვის კარგად ცნობილ ზრაპრებს „სამი გოჭი“ და „წითელქუდა“. სასურველია, შედგეს მოსწავლეთა 5-6 წევრიანი ჯგუფები. ყოველმა ჯგუფმა მოამზადოს თავისი პიესა.

ყველა ჯგუფისთვის გაკეთდება ერთი საერთო ეკრანი.

## აქტივობა 1:

კლასი ხმის მიცემით ამოირჩევს ერთ ან ორ იგავს, (მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე).

დაგეგმავს წარმოდგენის ჩატარების პირობებს, თარიღს, მოსამზადებელი სამუშაოების ვადებს:

1. იგავის პიესად გადაკეთება, 2. ეკრანის, დეკორაციის და პერსონაჟების მომზადება, 3. წარმოდგენის დადგმა, 4. წარმოდგენის (ღონისძიების) ორგანიზება და ჩატარება.

მოსწავლეები გაინაწილებენ ფუნქციებს იმის მიხედვით, თუ ვის რა უფრო ეხერხება:

პიესის მომზადება (წერა), წარმოდგენის დადგმა (რეჟისურა), პერსონაჟების და დეკორაციების მომზადება (ხატვა, გამოჭრა, აწყობა) თუ წარმოდგენის წარმართვა (მსახიობობა).

სასურველია, მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა, წარმოდგენისთვის მოამზადოს აფიშა.

## აქტივობა 2:

მოსწავლეები მუყაოს კოლოფით დაამზადებენ ეკრანს,
დაამზადებენ დეკორაციებს და პერსონაჟებს
დახატავენ აფიშას

## აქტივობა 3:

იგავის მიხედვით დაწერენ პიესას
დადგავენ წარმოდგენას
გამართავენ წარმოდგენას.

# პლაკატი

## მიზანი:

ნასწავლი მასალის გახსენება, განმტკიცება, ცოდნის შემოწმება;

წყვილებში მუშაობის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება.

## შედეგი:

ს.გ. V.1. – 3, 5, 6.

ს.გ. V.3. – 1, 2.

ს.გ. V.4. – 1, 2.

ს.გ. V.5. – 3.

## მასალა:

კოლოფში ჩაყრილი ბილეთები პლაკატის თემების დასახელებებით

უბრალო ფანქრები,

სახაზავები,

გუაშის საღებავები, ფერადი ფლომასტერები ან პასტელი

A4 სახატავი ფურცლები,

A3 ფორმატის სახატავი ფურცლები ყოველ წყვილს.

## ვიზუალური მასალა:

პლაკატების ნიმუშები

# გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ და იმსჯელონ, თუ რას წარმოადგენენ სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციები – აღწერონ, რა არის გამოსახული, რას გვამცნობს, რა დანიშნულებისაა, მხატვრობის რომელ ჟანრს მიეკუთვნება თითოეული სურათი, რა განსხვავებაა პლაკატსა და მათთვის ცნობილ სხვა გრაფიკულ სურათებს შორის (შედარებისთვის, მასწავლებელს შეუძლია აჩვენოს მოსწავლეებს დაზგური გრაფიკის სხვა ნიმუშები).

მოსწავლეები კიდევ ერთხელ დააკვირდებიან პლაკატებს და იმსჯელებენ, თუ რა იპყრობს მათ ყურადღებას პირველ რიგში – რაზე ჩერდება თვალი და რატომ; რაზე არის გამახვილებული პლაკატში ყურადღება – რა არის მთავარი, ნახატი თუ წარწერა; რა ხერხით არის გამოყოფილი მთავარი, (კომპოზიცია, კონტრასტი, ზომა, ფერი, ხაზი, წარწერა).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ პლაკატის დამახასიათებელი ნიშნები:

პლაკატი უნდა ჩანდეს შორი მანძილიდან, გამოსახულება უნდა იყოს ადვილად აღსაქმელი და გასაგები. წარწერა კი, რომელიც აზუსტებს, ავსებს გამოსახულების შინაარსს, უნდა იყოს მოკლე, მკაფიო და კარგად იკითხებოდეს შორი მანძილიდან.

## აქტივობა:

მოსწავლეები, წყვილებად, კოლოფში ჩაყრილი ბილეთებიდან ამოიღებენ ერთერთ თემას, მოიფიქრებენ იდეას

და მისი განხორციელების გზას - თუ რა მასალით და ხერხით შეასრულებენ ნამუშევარს.

შემდეგ A4 ფურცლებზე ფერადი ფანქრებით დახატავენ პლაკატის ესკიზს.

პლაკატის ესკიზის დახატვისას მოსწავლეები უნდა ეცადონ, კომპოზიცია ააგონ ისე, რომ გამოიყოს და თვალში საცემი გახდეს იდეის მთავარი კომპონენტი.

დასრულებული ესკიზები დაიდება იატაკზე მწკრივად. მოსწავლეები გააცნობენ ერთმანეთს თავიანთ ჩანაფიქრებს; იმსჯელებენ, ასახავს თუ არა ესკიზი იდეას; გაარჩევენ, თუ რა ხარვეზები აქვთ მათ ნამუშევრებს, მისცემენ ერთმანეთს რჩევებს და ჩაინიშნავენ მათ მომდევნო გაკვეთილისთვის.

მომდევნო გაკვეთილზე, მოსწავლეები A3 ფორმატის სახატავ ფურცლებზე გადაიტანენ მომზადებულ ესკიზს და გააფორმებენ მას წინასწარ მოფიქრებული ხერხით.

პატარა ესკიზის დიდ ფორმატზე გადასატანად შეიძლება ესკიზები ფანქრით, მკრთალად დაიყოს კვადრატებად. ამდენივე კვადრატად დაიყოფა დიდი ფორმატებიც. მოსწავლეები ესკიზის პატარა უჯრაში დახატულ გამოსახულების მონაკვეთს გადაიხატავენ დიდი ფორმატის შესაბამის უჯრაში. შემდეგ მოსწავლეები ღრუბელით ან დიდი ფუნჯებით მოამზადებენ ფონს და გააფერადებენ ნახატებს და წარწერას.

პლაკატის ფონის მომზადებისას, მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ სასურველია, გამოსახულება და წარწერა მკვეთრად გამოიყოფოდეს ფონზე – (პლაკატში მიღებულია კონტრასტული ფერების ხმარება).

## სავარაუდო თემები:

„დედამიწა – ჩემი სახლი“, „იმოგზაურე საქართველოში“, „ჩვენი ოთხფეხა მეგობრები“.

## პროექტი 3: ფესტივალი

(6 გაკვეთილი)

## I გაკვეთილი: გოძაიმას!

### მიზანი:

მსოფლიოს კულტურებთან გაცნობა;
განსხვავებული კულტურის დაფასების უნარის განვითარება.
გრძელვადიან პროექტზე მუშაობის უნარის განვითარება.

### შედეგი:

**ს.გ.V.1. – 12.**
**ს.გ.V.2. – 1, 2, 3, 4.**
**ს.გ.V.5. – 1, 4.**

### ასათვისებელი ტერმინები:

კიმონო, სამურაი, ორიგამი

### მასალა:

თხელი მუყაო, უბრალო ფანქარი, ფლომასტერები, მაკრატელი, თეთრი და ფერადი ქაღალდები.

### ვიზუალური მასალა:

ჩაის ცერემონია მხატვრობაში
ჩაის ცერემონია. ფოტო
კიმონოს ფოტო:
კიტაგავა უტამარო. წარჩინებული ქალები
სამურაი
ფეხსაცმელი
სამურაის მარაო
საშინაო დავალების – ორიგამის ფოტოინსტრუქცია
კიმონო და სამურაის კოსტიუმი ქაღალდის თოჯინისთვის: ელექტრონულ რესურსში
საშინაო დავალება (ელ. რესურსში)

## გაკვეთილის მსვლელობა:

კლასში შემოსულ მოსწავლეებს მასწავლებელი იაპონურად ესალმება: „გოძაიმას!“

ეს გაუგებარი სიტყვა უკვე აღძრავს მოსწავლეთა ინტერესს და სავარაუდოდ, იკითხავენ, რას ნიშნავს ეს უცნაური სიტყვა. მასწავლებელი ეტყვის, რომ პასუხი სახელმძღვანელოშია.

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს.

მასწავლებელს შეუძლია მიაწოდოს მათ დამატებითი ინფორმაცია იაპონური კულტურის შესახებ. მაგალითად ის, რომ იაპონელი, ისევე, როგორც ჩინელი ქრისტიანები, „მამაო ჩვენოს“ ლოცვისას ამბობენ – „ბრინჯი ჩვენი არსობისა“, რადგან სწორედ ბრინჯია მათი ყოველდღიური საკვები, და არა პური.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ კულტურებს შორის განსხვავება განპირობებულია გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატით, ხალხის წამყვანი საქმიანობით, ისტორიული ვითარებითა და რელიგიით. და რომ განსხვავებული არ ნიშნავს ცუდს. მოსწავლეებს უნდა განუვითარდეთ პატივისცემისა და დაფასების გრძნობა განსხვავებული კულტურებისადმი.

რადგან მთავარი დავალება კიმონოს დიზაინია და არა ფიგურის აგება, მასწავლებელს შეუძლია დაურიგოს მოსწავლეებს დანართიდან ამობეჭდილი, ქაღალდის თოჯინების თარგები. მოსწავლეები თარგის მეშვეობით გამოჭრიან გამოსახულებას მუყაოსგან და გაუკეთებენ სადგამს (იხ. ორი სავარაუდო ხერხი ფოტოებზე).

## შემაჯამებელი კითხვები:

რა მოგწონთ ან რა მიგაჩნიათ უცნაურად იაპონურ კულტურაში და რატომ?

კიდევ რა გაინტერესებთ იაპონური კულტურის შესახებ?

## აქტივობა:

მოსწავლეები აკეთებენ მუყაოს თოჯინებს; ხატავენ, ჭრიან და აცვამენ მათ კიმონოს.

## საშინაო დავალება:

ფოტოინსტრუქციის მიხედვით წიგნის სანიშნის გაკეთება.

# II გაკვეთილი: ნამასტე!

## მიზანი:

მსოფლიოს კულტურებთან გაცნობა;

განსხვავებული კულტურის დაფასების უნარის განვითარება;

გრძელვადიან პროექტზე მუშაობის უნარის განვითარება.

## შედეგი:

**ს.გ.V.2. – 1, 3.**

**ს.გ.V.5. – 1, 3, 4.**

## მასალა:

სახატავი ფურცელი, ფლომასტერი.

## ვიზუალური მასალა:

მინიატურა
ფოტოები
ჩალმა
საშინაო დავალება – მეჰენდი (ხელების მოხატვა ინით)
კალამკარი

## გაკვეთილის მსვლელობა:

სასურველია, მასწავლებელს თავადაც ჰქონდეს სარივით შემოხვეული ქსოვილი და შუბლზე წერტილი ეკრას. თუ მეორე ქსოვილიც ექნება, გოგონები ტანზე, ბიჭები კი თავზე ჩალმასავით დაიხვევენ. წებოვანი ბარათებისგან შეუძლიათ გამოჭრან „ბინდი“ – (ინდ. წვეთი) და დაიკრან შუბლზე. ეს უფრო დასამახსოვრებელს გახდის გაკვეთილს. ტექსტის კითხვის შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ დავალებას.

## აქტივობა:

მოსწავლეები ხატავენ ინდურ კოსტიუმებს და აცმევენ მუყაოს თოჯინებს.

## საშინაო დავალება

დავალებად ეძლევათ საკუთარი ხელის მტევნის კონტურული ნახატის მეჰენდის სტილში, ორნამენტებით მოხატვა. მასწავლებელი გაუმახვილებს მოსწავლეებს ყურადღებას იმაზე, რომ მეჰენდის სტილში ხშირად გამოიყენება ორნამენტი – მანი. სთხოვს გაიხსენონ, უნახავთ თუ არა ასეთი ორნამენტი (მესამე კლასში მათ ისწავლეს ქართული ტრადიციული ლურჯი სუფრის დიზაინი, რომელიც ჩვენში სწორედ ინდოეთიდან შემოვიდა. მასწავლებელი უამბობს, რომ მეჰენდი – სადღესასწაულოდ ინის მცენარეული, ორგანიზმისთვის უვნებელი საღებავით სხეულის მოხატვის წესი, ჯერ კიდევ 5000 წლის წინ იყო ცნობილი. ინდოელებს სწამდათ, რომ მეჰენდი მათ ავი თვალისგან იცავდა და ბედნიერება მოჰქონდა. დღეს მეჰენდი უკვე ტრადიციაა.

## გაკვეთილი III: გამარჯობა!

## მიზანი:

ქართულ ეროვნულ სამოსთან გაცნობა;
დეკორატიულ-გამოყენებითი დარგის ნაკეთობის შექმნა;
გრძელვადიან პროექტზე მუშაობის უნარის განვითარება.

## შედეგი:

**ს.გ.V.2. – 4.**
**ს.გ.V.5. – 1, 3, 4.**
**ს.გ.V.6. – 2.**

## მასალა:

თხელი მუყაო, ფლომასტერები ან ფერადი ქაღალდები, წებო, მაკრატელი, თასმები.

## ვიზუალური მასალა:

რუკა

ფოტო

ნახატები: ნინო ბრაილაშვილი; ოსკარ შმერლინგი; სოლომონ ვირსალაძე; თამარ მეფის ფრესკული პორტრეტი; იმერული ფაფანაკი

## გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ეკითხება, თუ უნახავთ როდესმე ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ადამიანი. რასთან დაკავშირებით ეცვა მას ქართული კოსტიუმი? იქ სიახლოვეს ფოლკლორული ანსამბლის კონცერტი ან ქორწილი ხომ არ იყო? საქართველოში ევროპული სამოსის ტარება დამკვიდრდა. თუკი კიმონო და სარი ყველა იაპონელი და ინდოელი ქალის კარადაში მოიძებნება, ქართული კოსტიუმი უკვე მხოლოდ განსაკუთრებულ სადღესასწაულო შემთხვევებში იხმარება და ძირითადად, ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების წევრებზე თუ ნახავთ. ნაბდიანი თოვლის პაპა, რომელსაც მხარზე ტკბილეულით დამძიმებული ხურჯინი აქვს გადადებული, წითელფორმიან სანტა-კლაუსებს შორის აღარც კი ჩანს.

ქართული კოსტიუმების მსგავსია კავკასიის სხვა ხალხების კოსტიუმებიც – სომხების, ყაბარდოელების, დაღესტნელებისა და სხვ. ისინიც ხომ მთის და თანაც, ისტორიულად მეომარი ხალხია.

ელექტრონული რესურსიდან მასწავლებელი აჩვენებს სვანურ და კახურ ქუდებს, ყაბალახს, მწყემსის ფაფახს, ქალის ლეჩაქსა და ჩიხტიკოპს. უამბობს, რომ მჭიდროდ მოთელილი თექის ქუდი წყლის დასალევად თასის მაგივრობას სწევდა მგზავრობის დროს. მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს, რატომ ეხურათ მწყემსებს ფაფახები – მთაში სიცივეა და მატყლის თბილი ქუდი მათ იცავდა.

შეკითხვაზე, რატომ არა აქვს კინტოს კოსტიუმს სამასრეები, მოსწავლეები, სავარაუდოდ, მიხვდებიან, რომ კინტო, ქუჩის ხელის ვაჭარი, არ ომობდა. შესაბამისად, არც თოფი ჰქონდა და არც თოფის წამალი სჭირდებოდა.

ტექსტის კითხვის შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ ფაფანაკს.

## აქტივობა:

მოსწავლეები თხელი მუყაოსგან ჭრიან და მოხატავენ ფაფანაკს.

# IV გაკვეთილი: ფარდაგი

## მიზანი:

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგში ნამუშევრის შექმნა

ფარდაგის ტექნიკასთან გაცნობა

## შედეგი:

**ს.გ.V.2. – 1, 4.**

**ს.გ.V.6. – 2.**

## მასალა:

მუყაოს მოგრძო ნაჭერი, კანაფი, საქსოვი ძაფები, ყაისნაღი, სახაზავი, ფანქარი, მაკრატელი.

## ვიზუალური მასალა:

ინსტრუქცია
ხურჯინი

## გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელმა წინასწარ უნდა დაიჭიროს თადარიგი და მოიმარაგოს ან მოატანინოს მოსწავლეებს მასალა. ძაფების ნაცვლად გამოდგება ლენტები, თასმები, ზონარებად დაჭრილი ქსოვილი.

ცხადია, მოსწავლეები ამ გაკვეთილზე მოასწრებენ მხოლოდ კანაფის დაჭიმვას მუყაოზე და ძაფის 2-3 რიგის გაყრას. ნამუშევარი სახლში უნდა დაასრულონ და ამისთვის მათ 1-2 კვირა უნდა მიეცეთ.

ფოტოინსტრუქციაზე ახსნილია ტექნიკის პრინციპი. ნამუშევარი უნდა იყოს გრძელი, რომ გადაიკეცოს და აბგასავით გაიკეროს.

**მინიშნებები:**

გადაზომეთ მუყაოს გრძივ კიდეებზე 1 სმ-იანი მონაკვეთები და მონიშნეთ ხაზებით. ჩაჭერით ნიშნულები. უკანა მხარეს კანაფი ერთი კიდის ჭრილებს შორის გააბით, ხოლო წაღმა პირზე – ორ კიდეს შორის, გრძივად.

მსხვილ გორგალს დაჭიმულ კანაფში ვერ გაატევთ. ამიტომ, მოჭერით ძაფის დაახლოებით 1 მეტრიანი მონაკვეთები, დაახვიეთ ბრტყელ წვრილ მუყაოზე და ის ადვილად გაეტევა კანაფსა და მუყაოს შორის.

თუ ქვედა რიგში საქსოვ ძაფს კანაფის ზემოდან გაატარებთ, ზედა რიგში ის ქვემოდან უნდა გაატაროთ.

თუ ძაფის შეცვლა გსურთ, განასკვეთ ორი ძაფის ბოლო და განაგრძეთ ქსოვა

## აქტივობა:

სახელმძღვანელოს ტექსტის კითხვის შემდეგ მოსწავლეები ფოტო ინსტრუქციის მიხედვით ქსოვენ ცალმხრივ ხურჯინს.

# V გაკვეთილი: ფოტოხელოვნება

## მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს ალექსანდრე როინაშვილის შემოქმედება

## შედეგი:

**ს.გ. 5.3.**

## ასათვისებელი ტერმინები:

ეთნოგრაფია

## მასალა:

სახატავი ფურცლები
უბრალო ფანქრები
ფერადი ფანქრები

## ვიზუალური მასალა:

ალექსანდრე როინაშვილის ფოტოები

## გაკვეთილის მსვლელობა:

სახვითი ხელოვნების დარგები – ქანდაკება, ფერწერა და გრაფიკა უხსოვარი დროიდან არსებობენ, მათი ისტორია ათასწლეულებს ითვლის. ფოტოგრაფია და კინო კი სულ მთლად ახალგაზრდა დარგებია – ფოტოგრაფია მე-19 საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა, კინო კი მე-19 საუკუნის მიწურულს.

ფოტო ლათინურად სინათლეს ნიშნავს, გრაფია კი წერას – გამოდის, ფოტოგრაფია სინათლით წერას ნიშნავს.

ფოტოხელოვნების ძირითადი ჟანრები იგივეა, რაც მხატვრობაში - პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი, ყოფითი ფოტოგრაფია; ფოტოს სპეციფიური ჟანრია რეპორტაჟი და არქიტექტურული ძეგლების ფოტოგრაფია.

რა განსხვავებაა მხატვრობას და ფოტოგრაფიას შორის?

ფოტოს გამოგონებამდე, მხატვრობა გარემოს ასახვის ერთადერთი საშუალება იყო. ამიტომ, იგი მით უფრო ფასობდა, რაც უფრო ზუსტად ასახავდა რეალურ სამყაროს.

ნახატი უცებ არ იქმნება, ფოტო კი ერთი დაჩხაკუნებით მზად არის.

ფოტო, სამყაროს ასახავს ზუსტად ისეთს, როგორიც ის იმ წამს, იმ დაჩხაკუნების მომენტში არის. მხატვარი ნამუშევარს ქმნის დიდხანს, ნამუშევრის შექმნისას, რაც არ უნდა ზუსტად ასახავდეს გარემოს, მაინც თავისი გემოვნებით ცვლის მას – ოდნავ ცვლის კომპოზიციას, რაკურსს, ფერს, სურათს აკლებს ან ამატებს დეტალებს... მხატვარი ნამუშევარში გადმოგვცემს თავის ხედვას, თავის დამოკიდებულებას, ფოტო კი ზუსტად გადმოგვცემს იმას, რაც იმ წამს დაინახა ფოტოკამერამ.

პირველი ქართველი ფოტოგრაფი ალექსანდრე როინაშვილი იყო. როინაშვილმა ფოტოგრაფიის ხელობის სწავლა 14 წლისამ დაიწყო. ხელობას ისე კარგად დაეუფლა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, მისმა მასწავლებელმა, განთქმულმა ფოტოგრაფმა ხლამოვმა, მას აჩუქა ყველაფერი, რაც დამოუკიდებლად მუშაობისთვის იყო საჭირო, მათ შორის საკუთარი ფოტოაპარატი, რის მერეც როინაშვილმა თბილისის ცენტრში, ახლანდელ რუსთაველის გამზირზე, საკუთარი ფოტო-სახელოსნო გახსნა. სახელოსნოს სახელად „სასურათხატო“ უწოდა.

ალექსანდრე როინაშვილი იყო ერთერთი იმ პირველი მოღვაწეთაგანი, რომლებიც ქართული ეროვნული მუზეუმის დაარსებას ცდილობდნენ. როინაშვილმა მოიარა კავკასია, გადაიღო ისტორიული ძეგლები, კავკასიის სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებელი, სხვადასხვა ეროვნების ადამიანის ფოტოები. შეისყიდა და შეაგროვა ისტორიული მნიშვნელობის და ეთნოგრაფიული ნივთების დიდი კოლექცია, შექმნა კავკასიის ხედების ფოტოალბომი.

როინაშვილის დამსახურებით, დღეს ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, როგორი იყო ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები 150 წლის წინ, როგორ იცვამდნენ, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები იმ დროს.

ალექსანდრე როინიშვილმა შექმნა მისი თანამედროვე, ყველა დამსახურებული ადამიანის პორტრეტი, რომელთა სურათები დღესაც ამშვენებს ბევრ დაწესებულებას – იაკობ გოგებაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ალ. ყაზბეგის და სხვა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანების სახეები სწორედ როინაშვილის წყალობით შემორჩა ისტორიას.

მასწავლებელი გაამახვილებს მოსწავლეების ყურადღებას როინაშვილის მიერ გადაღებულ სურათებზე გამოსახული სხვადასხვა ხელობის და ეროვნების წარმომადგენელი ადამიანების ჩაცმულობაზე და იტყვის:

– დააკვირდით ფოტოებზე გამოსახული ადაამიანების ჩაცმულობას, ტანისამოსის დეტალებს, ამოარჩიეთ ერთერთი ფოტო და დახატეთ ადამიანი მსგავსი ჩაცმულობით.

## აქტივობა 1:

მოსწავლეები ამოარჩევენ ფოტოს და გადაიხატავენ მას, ან დამოუკიდებლად, შთაბეჭდილებით დახატავენ 1 ან 2 ადამიანს ისეთივე ჩაცმულობით, როგორიც ფოტოზეა გამოსახული.

## აქტივობა 2:

მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს. გარკვეულ ვადაში, შეაგროვონ ან თავად გადაიღონ ფოტოები, გაა-კეთონ ჩანახატები, რომლებიც წარმოაჩენენ თანამედროვე ადამიანების ჩაცმულობას (მოხუცები, ახალგაზრდები, სხვადახვა პროფესიის ადამიანები, როგორ ვიცვამთ შინ და გარეთ....

დათქმულ ვადაში, მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად, განიხილავენ შეგროვებულ მასალას – დააჯგუფებენ თემატურად ფოტოებსა და ჩანახატებს, მოუფიქრებენ მათ სათაურებს და განმარტებით წარწერებს; მოიფიქრე-ბენ, თუ რა ფორმით წარადგენენ ნამუშევრებს (ალბომი, ციფრული პრეზენტაცია, პლაკატები...) და ჩაატარებენ პრეზენტაციას თემაზე „თანამედროვე მოდა“.

# VI გაკვეთილი: კალიმერა!

## მიზანი:

მსოფლიოს კულტურებთან გაცნობა;
განსხვავებული კულტურის დაფასების უნარის განვითარება;
გრძელვადიან პროექტზე მუშაობის უნარის განვითარება.

## შედეგი:

**ს.გ.V.2. – 1, 2, 3, 4.**
**ს.გ.V.3. – 1, 3, 4.**
**ს.გ.V.5. – 1, 2, 3, 5.**

## ასათვისებელი ტერმინები:

ელადა, მიმიკა

## მასალა:

ქაღალდი, მაკრატელი, წებო, ან თიხა.

## ვიზუალური მასალა:

ძველი ბერძნული თეატრის შენობისა და თეატრალური ნიღბების ფოტოები
მოსწავლეების ნამუშევრები

## გაკვეთილის მსვლელობა:

კალიმერა! – მასწავლებელი ბერძნულად ესალმება კლასში შემოსულ მოსწავლეებს. სასურველია, თავზე დაფნის გვირგვინი ან მისი ქაღალდის იმიტაცია ეკეთოს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა იციან საბერძნეთის შესახებ (ვთქვათ, მითები).

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. მასწავლებელი სთხოვს, სახეებზე სხვადასხვა ემოცია გამოხატონ. აუხსნის, რომ სიტყვების გარეშე, მხოლოდ მიმიკით, ადამიანს ბევრი რამის „თქმა“ შეუძლია. სთხოვს, გამოაჯავრონ, როგორი მიმიკა აქვს მასწავლებელს, როცა მოსწავლის წარმატებით კმაყოფილია ან პირიქით, ბრაზობს. როგორ შეიძლება ასახო ჩაფიქრებული, შეშინებული, გაკვირვებული, აღტაცებული გამომეტყველება.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს, გაიხსენონ, თუ არიან ნამყოფი თეატრში, როგორია თანამედროვე თეატრის დარბაზი (დახურული სივრცე, უკან ჩაკეტილი სცენა, ფარდებს მიღმა დამალული კულისები, ფოიე). მასწავლებელი უამბობს, რომ ძველ საბერძნეთში თეატრალური წარმოდგენა ღმერთ დიონისოსადმი მსხვერპლშეწირვით იწყებოდა და ამიტომ, ორხესტრას (სცენის წინ მდებარე ნახევარწრიული სივრცის) შუაში ფიმელა - სამსხვერპლო იდგა. დღევანდელი თეატრი კი, რელიგიასთან აღარაა დაკავშირებული. თუმცა ის, რომ მაყურებელთა სკამები აღმართს უნდა მიუყვებოდეს, ძველ ბერძნულ და თანამედროვე თეატრებისთვის საერთოა.

მასწავლებელი გაუმახვილებს ბავშვებს ყურადღებას იმაზე, რომ ღია ცის ქვეშ გამართულ ძველ ბერძნულ თეატრში დეკორაციის როლს თავად ბუნება ასრულებდა. სთხოვს, გაიხსენონ, როგორია დეკორაცია თანამედროვე თეატრში.

მასწავლებელი ასევე უამბობს:

– ბერძენ მსახიობებს ფეხზე მაღალძირიანი კოტურნები ეცვათ, რომ შორიდან კარგად გამოჩენილიყვნენ. თავდაპირველად, ყველა როლს ერთი მსახიობი თამაშობდა. ხოლო ქორო ანუ გუნდი მთხრობელის ფუნქციას ასრულებდა. შემდეგ გაჩნდა მეორე მსახიობიც. ასე გახდა შესაძლებელი დიალოგების წარმართვა. მოგვიანებით, მესამე მსახიობიც დაემატა. ზოგჯერ სპექტაკლი მთავრდებოდა „ღმერთის“ ცაში ფრენით – მსახიობი თოკით ეკიდა ამწეზე, ე.წ. „მახინაზე“ და სცენას გადაუფრენდა ხოლმე. ძველ საბერძნეთში მსახიობები მხოლოდ მამაკაცები იყვნენ (სხვათა შორის, იაპონიაში ახლაც ინარჩუნებენ ტრადიციულ თეატრს – კაბუკისა და ნოოს, სადაც ქალების როლებსაც, დღემდე მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ).

მასწავლებელს, ხელმისაწვდომი მასალებიდან გამომდინარე, შეუძლია აარჩიოს, რა მასალით შეასრულონ მოსწავლეებმა აქტივობა – გააკეთონ ძველი ბერძნული თეატრალური ნიღაბი ქაღალდით, პაპიემაშეთი თუ თიხით. ქაღალდის ნიღბის ფოტოინსტრუქცია მოცემულია დავალებაში.

პაპიემაშეს ტექნოლოგიის გამოყენება სახალისოა და ამასთანავე, მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ამით უსარგებლო, უკვე გამოყენებული ქაღალდი (საუკეთესოა ძველი გაზეთები) ახალ სიცოცხლეს შეიძენს და რომ ამით ბავშვები დაზოგავენ ნარჩენებს და გადაარჩენენ ხეებს გაჩეხვისგან. გთავაზობთ პაპიემაშეს დამზადების წესს:

- მოსწავლეებს წინ უნდა ედოთ ჯამი, რომელშიც ასხია თხევადი წებო პვა-ნარევი წყალი; თავის ზომაზე გაბერილი ბუშტი, რომელიც სკოტჩით არის დაწებებული მაგიდაზე, რომ მუშაობისას ხელიდან არ გასხლტეს.
- ნახმარი ქაღალდი ან ძველი გაზეთები დახიეთ თითის სიგრძისა და სიგანის ნაკუწებად.
- ჩაალბეთ ნაფლეთები წებოიან წყალში.
- თუ რაიმე საკარნავალო ნიღაბი მოგეპოვებათ, დაფარეთ მზა მოდელი სველი ქაღალდის ფენებით. თუ ნიღბის მზა მოდელი არ გაქვთ, სახის ფორმის მისაცემად გაბერილი ბუშტი გამოიყენეთ.
- დაფარეთ ბუშტის ნახევარი სველი ქაღალდის ფენებით. ორი ფენის შემდეგ დაჭმუჭნილი ქაღალდით გააკეთეთ სამკუთხა შემაღლება ცხვირის ადგილზე. წარბების, ტუჩებისა და ნიკაპის ადგილზე კი, დადეთ სველი ქაღალდის მეტი ფენები, რომ ეს ადგილები ამოიბურცოს.

- როდესაც ქაღალდი გაშრება, გახეთქეთ ბუშტი, შემოაცალეთ ნიღბის ფორმა, გამოჭერით თვალები და პირი. გაუყარეთ თასმა ყურების ადგილებზე.

თუ სპექტაკლის გამართვას გადაწყვეტთ, შეარჩიეთ ბერძნული მითი, ვთქვათ, ჰერაკლეს რომელიმე გმირობა. თეთრი ქსოვილისგან (გამოდგება ზეწრები) გააკეთეთ კოსტიუმები და დაპატიჟეთ თანასკოლელები ან მშობლები. აფიშა და მოსაწვევი ბარათები არ დაგავიწყდეთ!

ამ პროექტის ფარგლებში, მასწავლებელს შეუძლია დაავალოს მოსწავლეებს, ჯგუფებში ჩაატარონ კვლევა ესპანური, გერმანული, შოტლანდიური, მექსიკური, ინდიელთა და სხვა ხალხთა კულტურებისა და კოსტიუმების შესახებ, საკუთარი ხელით გააკეთონ აქსესუარები და გამართონ საერთაშორისო ფესტივალი ან აღლუმი.

### აქტივობა:

მოსწავლეები აკეთებენ ძველ ბერძნულ თეატრალურ ნიღბებს.

## შემაჯამებელი კითხვები:

- ვინ იყო თოჯინების მუზეუმის ერთ-ერთი დამაარსებელი?
- ვინ გადაარჩინა საქართველოს მუზეუმის საგანძური?
- ვინ შექმნა „კავკასიური  მოძრავი მუზეუმი“?

# სამყაროს ენა

## მიზანი:

ხელოვნების სამყაროზე ცოდნის გაღრმავება;
მშვენიერების განცდის უნარის განვითარება;
ხელოვნებისადმი მუდმივი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება;
ხელოვნების, როგორც კომუნიკაციის საშუალების გააზრება.

## ასათვისებელი ტერმინები:

უნივერსალური ენა

## მასალა:

სახატავი ფურცელი, მარკერები, ჭიკარტი.

## ვიზუალური მასალა:

გამონათქვამების ავტორების პორტრეტები.

# გაკვეთილის მსვლელობა:

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ, თუ როგორ ესმით ცნობილი ადამიანების გამონათქვამები. ცდილობენ, ჩამოაყალიბონ საკუთარი განსაზღვრება, რა არის ხელოვნება. სასურველია, ყველამ გამოთქვას აზრი. სითამამისთვის, მასწავლებელს შეუძლია მისცეს ბავშვებს ფანქარი და უთხრას, რომ მიკროფონია. ბავშვებმა ერთი წინადადებით უნდა ჩამოაყალიბონ, რა არის მათთვის ხელოვნება და „მიკროფონი“ გვერდით მჯდომს გადასცენ. ამგვარად, ყველა ჩაერთვება. ერთმანეთის აზრის მოსმენის შედეგად ჩამოუყალიბდებათ საკუთარი ფორმულირება, გაჰყვებათ ეს ფიქრი სახლში, რაც საშინაო დავალების შესრულებაში დაეხმარება მათ.

## აქტივობა:

მოსწავლეები მსჯელობენ, რა არის ხელოვნება, განიხილავენ ცნობილი ადამიანების გამონათქვამებს, ამოარჩევენ მათთვის ყველაზე საინტერესოს, დაწერენ ლამაზი კალიგრაფიითა და მსხვილი ასოებით და გამოაკრავენ კლასში.

## საშინაო დავალება:

ერთი წინადადებით ჩამოაყალიბე და დაწერე, შენი აზრით, რა არის ხელოვნება. მომდევნო გაკვეთილზე განიხილეთ ერთმანეთის ნამუშევრები და საუკეთესო ფრაზები გააფორმეთ და გამოაკარით კლასში.

## სიტყვობანა

თამაში ტერმინების ცოდნაზე

### მიზანი:

ნასწავლის გახსენება, განმტკიცება, ცოდნის შემოწმება;
წყვილებში მუშაობის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება.

### შედეგი:

**ს.გ.V.3. – 1, 2, 4, 6.**
**ს.გ.V.4. – 1, 2, 3, 4, 5.**

### მასალა:

ქუდი, თასი ან ჯამი, პატარა ბარათები, წითელი და მწვანე ფანქრები, საათი წამზომით.

## გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელმა წინა გაკვეთილზე თანაბრად უნდა დაუნაწილოს მოსწავლეებს სახელმძღვანელოს გაკვეთილები და დაავალოს, ამოწერონ რაც შეიძლება მეტი სიტყვა და ტერმინი – დარგების, ჟანრების, მასალებისა და ტექნიკების, ელემენტებისა და პრინციპების სახელწოდებები, ხელოვანთა გვარები, ცნობილი ნაწარმოებების სათაურები, ძეგლები და სხვ. ტერმინი დაწერონ წითლად, განმარტება- მწვანედ. რაც შეიძლება, მეტი ბარათი უნდა იყოს. დაკეცეთ ბარათი ოთხად და ჩააგდეთ საერთო ჯამში ან ქუდში.

რადგანაც ბარათებს სხვადასხვა მოსწავლეები ერთმანეთთან შეუთანხმებლად ამზადებენ, ტერმინები შეიძლება გამეორდეს. ეს კარგიცაა – „გამეორება ცოდნის დედაა!“

ამ თამაშისთვის მერხების ერთ რიგად გადაადგილება მოგიწევთ. მეწყვილეები ერთმანეთის პირისპირ უნდა დასვათ მწკრივში, რომ თასი ერთმანეთს ადვილად და სწრაფად გადასცენ.

მასწავლებელი ან რომელიმე მოსწავლე აკონტროლებს დროს წამზომით. თითო წყვილს თითო წუთი ეძლევა.

თამაშის მსვლელობა:

- ჯერ ერთ მხარეს მსხდომი ბავშვები უხსნიან მეწყვილეებს ტერმინის მნიშვნელობას. მეწყვილემ ტერმინი უნდა გამოიცნოს (ხმამაღლა თქვას წითლად დაწერილი სიტყვა).
- წამზომის ჩართვისთანავე, ამოიღეთ ბარათი თასიდან და სწრაფად წაიკითხეთ ხმამაღლა ტერმინის მნიშვნელობა (მწვანედ დაწერილი). თუ მეწყვილე ტერმინს გამოიცნობს, ბარათი წინ დაიდეთ (თამაშის ბოლოს დათვლით). თუ ვერ გამოიცნობს, წითლად დაწერილი სიტყვა არ გაამხილოთ, ბარათი თასში ჩააბრუნეთ და სწრაფად ამოიღეთ შემდეგი ბარათი. ეცადეთ, თქვენთვის რეგლამენტით გამოყოფილ ერთ წუთში რაც შეიძლება მეტი ტერმინი გამოიცნოთ. რეგლამენტის ამოწურვისას თასი სხვა წყვილთან გადადის.
- ახლა შემდეგი მოსწავლე იღებს ბარათებს და ასევე ხმამაღლა კითხულობს მწვანედ დაწერილ განმარტებას. როგორც კი მეწყვილე ტერმინს გამოიცნობს, დაიდეთ ეს ბარათი წინ და ამოიღეთ შემდეგი.
- როდესაც თასი რიგის ბოლოს მიაღწევს, მერხების მეორე მხარეს მსხდომი მოსწავლეების ჯერი დგება. ამჯერად ისინი, ვისაც მანამდე ტერმინის გამოცნობა ევალებოდა, განმარტებას უკითხავენ პირისპირ მსხდომ მეწყვილეებს.
- ამგვარად, თასი რიგში ორ გზასგადის. როდესაც თასი ისევ პირველ წყვილს დაუბრუნდება, თამაში სრულდება.

- დათვალეთ ბარათები, რამდენი სიტყვა გამოიცანით წყვილში. გამარჯვებული წყვილები ექსპერტებად ცხადდებიან და ტაშს იმსახურებენ!

ამ თამაშის გართულებული ვარიანტისთვის, მოაჭერით ბარათებს ტერმინების განმარტებები. დატოვეთ მხოლოდ ტერმინი. მოსწავლეებმა თავად უნდა აუხსნან მნიშვნელობა მეწყვილეს.

## აქტივობა:

მოსწავლეები თამაშობენ სიტყვობანას.

# დანართი

## თემა: რას გვიამბობს პომპეი

კროსვორდი:

**შვეულად,** ცენტრში: ადამიანის უძველესი კულტურის შემსწავლელი მეცნიერება.

თარაზულად:

1. მოედანი ძველი რომის იმპერიაში, რომელზედაც იმართებოდა ასპარეზობა და სხვა სანახაობები;
2. ძველ საბერძნეთსა და რომში ბიჭების ფიზიკური აღზრდის სკოლა, სადაც მათ ავარჯიშებდნენ;
3. მასალა, რისგანაც ამზადებდნენ მოზაიკის ნატეხებს;
4. ძველი რომის განთქმული ქალაქი;
5. იტალიის თანამედროვე ქალაქი, რომლის მახლობლად მდებარეობს ვულკანი ვეზუვი;
6. ძველი რომის ქალაქი, რომლის დაარსება მიეწერება გმირ ჰერაკლეს.
7. გამოსახულება, შედგენილი ცემენტის ფენაზე დამაგრებული, ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი ფერადი კენჭებისაგან;
8. მებრძოლი ძველ რომში, რომელიც სხვა მებრძოლს ან ცხოველს ეჭიდებოდა მაყურებელთა გასართობად;
9. მესამე რომაული ქალაქი, რომელიც ვეზუვის ამოფრქვევას ემსხვერპლა 79 წელს.
10. მდიდარი მოქალაქის კერძო სახლი ძველ რომში.



## თემა: მოზაიკის სახელოსნო

შემაჯამებელი დავალება. კრიტერიუმებისა და კომენტარების ნიმუში:

კრიტერიუმი: მოსწავლე აზროვნებს შემოქმედებითად

| | კომენტარი |
|---|---|
| | შენ შეგეძლო მეტი ფერის მარცვლები გამოგეყენებინა;<br>შემდგომში ეცადე, გამოსახულება ფონისგან განსხვავებული ფერისა იყოს;<br>ჩარჩო დაგვიწყებია.<br>ეცადე, თავად მოიფიქრო, რა გამოსახო და არ გაიმეორო სხვისი იდეა; |
| | შენ შეგეძლო მეტი, კონტრასტული ფერის მარცვლები გამოგეყენებინა;<br>შემდგომში ეცადე, გამოსახულება უფრო მკაფიოდ, კონტრასტული ფერით გამოყო ფონისგან;<br>ეცადე, იყო აკურატული.<br>თავად მოიფიქრე, რა გამოსახო. იყავი განსხვავებული; |
| | კარგია, რომ რამდენიმე ფერის მარცვლები გამოიყენე. კარგი იქნებოდა, ჩარჩო ფონისგან განსხვავებული ფერით გამოგესახა;<br>შენი გამოსახულება კარგად იკითხება ფონზე. ცოტა აკურატულობა აკლია.<br>კარგია, რომ დამოუკიდებლად მოიფიქრე, რა გამოსახო. იყავი განსხვავებული; |
| | ყოჩაღ, რომ კონტრასტული ფერის მარცვლები გამოიყენე.<br>ჩარჩო, ფონი და გამოსახულება მკაფიოდ იკვეთება; ნამუშევარი სუფთადაა შესრულებული;<br>ყოჩაღ, შენი მოზაიკა ყველასგან განსხვავებულია; |

**კრიტერიუმი: მოსწავლე აუმჯობესებს პრეზენტაციის უნარს**

| | კომენტარი |
|---|---|
| | ისე ჩუმად საუბრობდი, ძალიან გამიჭირდა შენი ხმის გაგონება. ეს ნამუშევარი უფრო თავდაჯერებულ წარდგენას იმსახურებდა;<br>სხვა დროს მიმართე მთელ კლასს და არა მასწავლებელს. ნამუშევარი უკეთ დაგვანახე და მეტი ისაუბრე მუშაობის პროცესისა და შედეგის შესახებ.<br>სხვა დროს ეცადე, სხვებსაც უსმინო. შენი კეთილგანწყობა და თავაზიანობა სხვების მიმართ კონფლიქტებს აგარიდებს. |
| | მომეჩვენა, რომ ჩქარობდი საუბრის დასრულებას. მგონი, შენი ნამუშევარი უფრო თავდაჯერებულ წარდგენას იმსახურებდა;<br>სხვა დროს ეცადე, მიმართო მთელ კლასს და არა მასწავლებელს ან ერთ მეგობარს. ეს ნამუშევარი ხომ ნამდვილად თავად გააკეთე, მაშ, რატომ გაგიჭირდა კითხვებზე პასუხის გაცემა? შენ ნაწილობრივ ისაუბრე მუშაობის პროცესისა და შედეგის შესახებ.<br>სხვა დროს ეცადე, სხვებს უფრო ყურადღებით უსმინო. შენი კეთილგანწყობა და თავაზიანობა სხვების მიმართ კონფლიქტებს აგარიდებს. |
| | კარგია, შენი პრეზენტაცია გამართული იყო;<br>სათქმელი გასაგებად გადმოეცი, ხშირად მიმართავდი მთელ კლასს. სასურველია, ყოველთვის მათ მიმართო და არა მასწავლებელს. შენ კარგად წარმოაჩინე საკუთარი ნახელავი, უმეტეს კითხვებზეც გაეცი პასუხები; შენ თითქმის ამომწურავად ისაუბრე მუშაობის პროცესისა და შედეგის შესახებ.<br>სხვისი მოსმენის უნარი გქონია. სხვა დროს სასურველია, შეკითხვები დასვა. ეცადე, უფრო კეთილგანწყობილი და თავაზიანი იყო სხვების მიმართ. |
| | ყოჩაღ, შენი პრეზენტაცია დამაჯერებელი და გამართული იყო;<br>სათქმელი ნათლად და გასაგებად გადმოეცი, მიმართავდი მთელ კლასს, ეფექტურად წარმოაჩინე საკუთარი ნახელავი, კითხვებზე ბრწყინვალედ გაეცი პასუხები; ამომწურავად ისაუბრე მუშაობის პროცესისა და შედეგის შესახებ.<br>სხვისი ყურადღებით მოსმენის უნარი გქონია. საინტერესო შეკითხვებს სვამდი. კეთილგანწყობილი და თავაზიანი იყავი სხვების მიმართ. ასე განაგრძე! |

კრიტერიუმი: მოსწავლე ჩართულია აქტივობაში

| | კომენტარი |
|---|---|
| | სხვა დროს ყურადღებით მოისმინე და შეასრულე მითითებები. ნამუშევრის დასრულებასაც მოასწრებ და შედეგით თავადაც კმაყოფილი დარჩები;<br>სხვა დროს ჩაიწერე ჩამონათვალი და მასალის მოტანა აღარ დაგავიწყდება. შენი სამუშაო ადგილი ისევე სუფთად უნდა დატოვო, როგორც დაგხვდა. |
| | შენ შეასრულე ზოგიერთი მითითება. ყველა ეტაპზე რომ ყურადღებით გემუშავა, შედეგიც უკეთესი გამოგივიდოდა;<br>კარგია, რომ საჭირო მასალა ნაწილობრივ მოიტანე. სხვა დროს ჩაიწერე ჩამონათვალი და მასალის მოტანა აღარ დაგავიწყდება. შენი სამუშაო ადგილი ისევე სუფთად უნდა დატოვო, როგორც დაგხვდა. სხვა დროს ეცადე, შენი მონდომება დასაწყისიდან ბოლომდე გაგყვეს. მაშინ ნამუშევრის დასრულებასაც მოასწრებ. |
| | კარგია, რომ თავიდან კარგად შეასრულე ყველა მითითება. ბოლო ეტაპზეც რომ ყურადღებით გემუშავა, შედეგიც უკეთესი გამოგივიდოდა;<br>კარგია, რომ თითქმის ყველა საჭირო მასალა მოიტანე, შენი სამუშაო ადგილი მიალაგე და დროში თითქმის ჩაეტიე. სხვა დროს ეცადე, შენი მონდომება დასაწყისიდან ბოლომდე გაგყვეს. |
| | ყოჩაღ, შენ თავიდანვე კარგად შეასრულე ყველა მითითება და შედეგიც შესანიშნავი გამოგივიდა;<br>ყოჩაღ, რომ ყველა საჭირო მასალა მოიტანე, სხვებსაც გაუნაწილე, შენი სამუშაო ადგილი მიალაგე და ყველაფერი დროულად მოასწარი. |

# გაკვეთილი: კორპუსი და ძველი სახლი

მე-5 კლასის მოსწავლე ———————————————————————— თარიღი————————



# გაკვეთილი: შუამდინარეთი

მე-5 კლასის მოსწავლე ———————————————————————— თარიღი————————

მეხსიერების სავარჯიშო – შეავსე კროსვორდი:

**მინიშნება – ცენტრში შვეულად**: შუამდინარეთი;

**თარაზულად:**

1. სიტყვების ჩასაწერი გრაფიკული ნიშნები;
2. შუამდინარეთის ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ხალხი;
3. სოლისებრი ანბანი, რომლითაც სარგებლობდნენ შუამდინარეთის ხალხები;
4. ვარსკვლავთმრიცხველობა, მეცნიერება ციური სხეულების შესახებ;
5. მდინარე ბერძნულად;
6. მდინარე შუამდინარეთში;
7. მდინარე შუამდინარეთში;
8. ქვეყანა, რომელიც დღეს შუამდინარეთის ტერიტორიაზე მდებარეობს;
9. შუამდინარეთის ერთ-ერთი მთავარი ღმერთი;
10. ურუქის ლეგენდარული მეფე;
11. შუამდინარული ტაძარი.

კროსვორდი:



## თემა: პროექტი „ფესტივალი“

მუყაოს თოჯინის თარგი:





# თემა: პროექტი „ფესტივალი“

## ტესტი

V კლასის მოსწავლე ———————————————————— თარიღი ——————————————

I ნაწილი: ცოდნა და წვდომა (თითო კითხვა – თითო ქულა).

**1. რომელ ქვეყანას უწოდებენ „ამომავალი მზის ქვეყანას“?**

ა) საქართველოს
ბ) ინდოეთს
გ) სპარსეთს
დ) იაპონიას

**2. ისრებით დააკავშირე სამოსის სახელწოდება ქვეყანასთან:**

| | |
|---|---|
| სარი | იაპონია |
| ქიტონი | ინდოეთი |
| კიმონო | საქართველო |
| ჩოხა | საბერძნეთი |

**3. ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:**

იაპონელები სახეს ითეთრებენ . . . . . ფქვილით.

ა) ხორბლის
ბ) ჭვავის
გ) ქერის
დ) ბრინჯის

**4. ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:**

. . . . . მტრის ნასროლ ისრებს მარაოთი იგერიებდნენ.

**5. ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:**

ფარდაგი და ხურჯინი . . . . . –გან დამზადებული ძაფით იქსოვება.

**6. დაწერე, საქართველოს რომელი კუთხიდანაა ქუდები ან მიუწერე ქუდის სახელწოდება:**

_____

_____

_____ _____

რომელი ცეკვის კოსტიუმი შექმნა სოლომონ ვირსალაძემ ვარძიის თამარ მეფის ფრესკის მიხედვით?

_____

7. განმარტე, რას ნიშნავს „მიმიკა“

_____

_____

_____

_____

8. რას და ვის უკავშირდებოდა ძველ საბერძნეთში თეატრალური წარმოდგენები?

_____

_____

_____

_____

9. ვენის დიაგრამაში ჩაწერე, რა მსგავსება-განსხვავებაა ძველ ბერძნულ და თანამედროვე თეატრებს შორის.



II ნაწილი. მაქსიმალური შეფასება – 10 ქულა.

კრიტერიუმი: უნარების განვითარება (2 ქულა)

კრიტერიუმი: შემოქმედებითობა და თვითგამოხატვა (2 ქულა)

კრიტერიუმი: ჩართულობა (1 ქულა)

**11. უბრალო ფანქრით მოხატე ხელის მტევნის გამოსახულება მეჰენდის ორნამენტით (მაქს. 5 ქულა).**



**12. უბრალო ფანქრით დახატე უჯრებში მეანდრის ორნამენტი (მაქს. 5 ქულა)**

კრიტერიუმი: უნარების განვითარება (3 ქულა).

კრიტერიუმი: ჩართულობა (2 ქულა).



საბოლოო ———————————————————— მაქსიმალური შეფასება – 20 ქულა=10.

**შემაჯამებელი შეფასება:**











*მუზეუმიდან შთაბეჭდილებებით სავსე დავბრუნდი. დაღლილს მალე ჩამეძინა. უცებ სხვაგან აღმოვჩნდი. დავინახე, რომ _____*

*_____*

*ვიგრძენი, რომ _____*

*გამეღვიძა და მივხვდი, რომ დამესიზმრა _____*

*_____*

*_____*

*(რა პერიოდის) ცნობილი (სადაური) _____*
*მხატვრის (სახელი და გვარი), _____, (რომელი ჟანრის)*
*_____ სურათი, სახელწოდებით _____.*

*თხზულების ავტორი _____ მე-5 კლასის მოსწავლე*
*_____ თარიღი _____*

## აქტიური ბმულები ისტის დავალებებისთვის

| გვ. | გაკვეთილის სათაური | დავალება |
|---|---|---|
| 48 | „აკტრისა“ და „მეეზოვე“ | მოსწავლეები მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ ბმულზე დაათვალიერებენ ნიკო ფიროსმანის ნამუშევრებს და მოკლედ, წერილობით ჩამოაყალიბებენ თავიანთ შთაბეჭდილებას ამ ხელოვანის შესახებ. |
| 60 | მოზაიკის სახელოსნო | მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს სახალისო ინტერაქტიულ ბმულს, სადაც შესაძლებელია მოზაიკური ნახატის სხვადასხვა ხერხით დახატვა. |
| 63 | კაკაბაძის ნავები | მასწავლებელი დავით კაკაბაძის შემოქმედებასთან გაცნობის მიზნით შესთავაზებს მოსწავლეებს ბმულს: https://burusi.wordpress.com/art/david-kakabadze/ |
| 68 | გიფი შაგალის თემაზე | მოსწავლეები ამუშავებენ საკუთარ ნახატებს (ვთქვათ, მარკ შაგალის მიხედვით დახატულს, რომ შექმნან ამ გამოსახულებების ცაში ფრენის შთაბეჭდილება) Ms Paint-ის პროგრამაში. შემდეგ ატვირთავენ ნახატებს ინტერნეტის რეკომენდებულ პროგრამაში (იხ. შესაბამისი სცენარი), მზა გიფს ჩამოტვირთავენ და გაუგზავნიან მასწავლებელს ელექტრონული ფოსტით. |
| 77 | ანიმაცია | მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, მოსინჯონ მარტივი ციფრული ანიმაციის დახატვა. ეს მარტივი პროგრამა საშუალებას მისცემს მათ ეკრანზე გააცოცხლონ საკუთარი ნახატები. http://www.abcya.com/animate.htm |
| 101 | კორპუსი და ძველი სახლი | მასწავლებლის მიერ მითითებული ბმული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, წიგნის ან სტატიის ფორმატში დაწერონ კომპიუტერში და გააფორმონ ციფრული ნახატებით ან ატვირთული სურათებით საკუთარი თხზულება. გაუზიარონ მეგობრებს და ამობეჭდონ ნამუშევარი. |
| 117 | პროექტი „მუზათა ტაძარი“ | http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=31 ამ ბმულზე მოსწავლეები მიიღებენ ინფორმაციას საქართველოში არსებული მუზეუმების შესახებ. |
| 122 | პლაკატი | მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, საჭიროებისამებრ, პლაკატის წარწერები აკრიფონ კომპიუტერულ პროგრამაში (MS WORD), ამობეჭდონ და დააწებონ დახატულ პლაკატებს. |